საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 27 ივლისი, 1997 წელი.
№178 (2551)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.
ფასი 40 თეთრი.
თბილისის გარეთ 45 თეთრი.

## ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

26 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის — კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის 1997 წელს სოციალური დახმარების გაწევის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

სხდომაზე განიხილეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოზე საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლასთან და აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ჟენევის შეხვედრის შედეგებიდან გამომდინარე ზოგიერთი საკითხი.

სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

## „ვიზიტი უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა და დასაბამი მისცა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობის თვისებრივად ახალ ეტაპს, უფრო მასშტაბურს და, შეიძლება ითქვას, — ყოვლისმომცველს“



1997 წლის 18 ივლისი. საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახელდახელო ბრიფინგი თეთრ სახლში. სერგო ედიშერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

როგორც ცნობილია, 16-21 ივლისს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სამუშაო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

23 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც ვიზიტის შედეგების შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირველი ვიზიტი შეერთებულ შტატებში სამი წლის წინათ გაიმართა. ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი სამოქალაქო ომი, მძვინვარებდა ქაოსი და ანარქია. ჩვენი ქვეყნის წინაშე ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა და სწორედ ამან განსაზღვრა მაშინდელი ვიზიტის მიზნები და ამოცანები, გარკვეულწილად, მისი შედეგებიც.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო იმ პოლიტიკური, მატერიალური და მორალური დახმარების მნიშვნელობა, რაც ჩვენმა ქვეყანამ ამერიკის შეერთებული შტატებისგან მიიღო, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. — მას შემდეგ, რაც საქართველომ დემოკრატიული განვითარების გზა აირჩია, მატერიალური გამოხატულებით ამ დახმარებამ 400 მლნ დოლარს გადააჭარბა. ამერიკის მთავრობის, ხალხის ამგვარი გულისხმიერი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ჩვენ მოვახერხეთ, ძირითადად მაინც, უმძიმესი კრიზისიდან გამოსვლა, დავადექით დემოკრატიული საზოგადოების და საბაზრო ურთიერთობების მშენებლობის გზას. როგორც ცნობილია, საერთო აღიარებით, ჩვენში მიმდინარე სასიკეთო გარდაქმნების მაღალი ტემპები, მასშტაბი და შინაარსი მსოფლიოს ქვეყნებს, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებს, აგრეთვე, საერთაშორისო საფინანსო ცენტრებს აძლევს საშუალებას საქართველო სიღრმისეული გარდაქმნების თვალსაზრისით სამაგალითო ქვეყნად მიიჩნიონ.

იხ. მე-2 გვ.

## აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

### საქართველოს შეუძლია და უნდა განვითარდეს კიდევ სტაბილურად და დინამიურად

როგორც ვიუწყებოდით, 25 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა მთავრობის გაფართოებული სხდომა, განიხილეს ეკონომიკის ფუნქციონირებისა და 1997 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ძირითადი შედეგები, აგრეთვე, უახლოესი ამოცანები. სხდომაზე მოწვეული იყვნენ პარლამენტის წევრები, ადგილობრივ ადმინისტრაციათა მეთაურები, მათი მოადგილეები ეკონომიკური საკითხების დარგში, მხარეების, ქალაქებისა და რაიონების საფინანსო-ეკონომიკური სამსახურების, მსხვილ სახელმწიფო და კერძო სამეურნეო სტრუქტურათა ხელმძღვანელები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

იხ. მე-3 გვ.

## მართლწესრიგი

### თუ კორუფციის შენობის დანგრევა გვინდა, მას ჯერ „სახურავი“ უნდა მოვხადოთ

საქართველოს გენერალური პროკურორის **ჯამლეთ ბაბილაშვილის** გამოსვლა მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 1997 წლის 24 ივლისს

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თითოეული ჩვენგანი ჯერ კიდევ არ გამოსულა იმ დიდი და წარუშლელი შთაბეჭდილებებიდან, რაც თან ახლდა საქართველოს პრეზიდენტის ისტორიულ ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მთელმა მსოფლიომ ერთხელ კიდევ გაიგონა საქართველოს პრეზიდენტის ხმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი ტრიბუნიდან, აგრესიული სეპარატიზმის საერთაშორისო საშიშროებისა და ეთნიკური კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების ახლებური მიდგომების თაობაზე. გაიგონა და გამოხატა სრული გაგება და მხარდაჭერა. საქვეყნოდ კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში საქართველო მარტო არ არის და ჩვენს ძალისხმევას ამერიკის შეერთებული შტატებისა და მსოფლიოს სხვა წამყვანი ქვეყნების სახით ჭეშმარიტი მხარდამჭერები ჰყავს.

ყოველივე ეს იმედით ავსებს თითოეულ ჩვენგანს და ახალ სტიმულს აძლევს მინდობილი საქმის ერთგულებისა და სახელმწიფოებრივად გადაწყვეტისათვის.

ამ მხრივ გამონაკლისს არც ქვეყნის სამართალდაცვითი სისტემის მუშაკები წარმოადგენენ, რომლებმაც კარგად იციან, რომ საქართველოში წესრიგი და სტაბილურობა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საფუძველთა საფუძველია, რომ აღარაფერი ვთქვათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე.

მთავრობის გაფართოებულ სხდომას უნდა მოვახსენო, რომ ასეთი განწყობა მკვეთრ შტრიხად გასდევდა ჩვენს საქმიანობას საანგარიშო პერიოდში, რომელიც რეგლამენტირებული იყო საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 30 იანვრის ცნობილი ბრძანებულებით — „ქვეყანაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, მართლწესრიგის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ“.

ამ მიმართებით პროკურატურამ, სხვა სამართალდამცავებთან ერთად, განახორციელა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული, საგამოძიებო, ოპერატიული და კანონით დადგენილი სხვა ღონისძიებები.

შედეგად, ქვეყანაში შენარჩუნებულია როგორც საერთო, ისე მძიმე დანაშაულთა კლების პოზიტიური ტენდენცია და ოპერატიულ ვითარებას მტკიცედ აკონტროლებს სახელმწიფო, წესრიგი და სტაბილურობა, კვლავ ჩვენი ცხოვრების შეუქცევად პროცესად რჩება. თუმცა გადაუჭრელი პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია, რომელთა შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდები.

იხ. მე-4 გვ.

## აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

### მორიგი რაუნდი სექტემბერში გაიმართება

ჟენევა. აქ დასრულდა ქართველ-აფხაზთა მოლაპარაკება, მხარეებმა კონსენსუსს ვერ მიაღწიეს, მაგრამ შეთანხმდნენ, რომ ყველა წამოჭრილ პრობლემას მშვიდობიანი გზით გადაწყვეტენ, იუწყება OPT. შემდეგი რაუნდი სექტემბერში გაიმართება.

### უახლოესი სხდომა აფხაზეთის საკითხს მიეძღვნება

„იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ უახლოეს მომავალში დაგეგმილია გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც მიეძღვნება აფხაზეთის საკითხს. მოსალოდნელია, რომ საქართველოს ხელისუფლების წინადადებით უშიშროების საბჭოს სხდომა 1998 წლის 31 იანვრამდე გააგრძელებს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მყოფი გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მანდატის ვადას. ამჟამად კონფლიქტის ზონაში სულ 116 გაეროს სამხედრო დამკვირვებელია სხვადასხვა ქვეყნიდან.

### შეიქმნა უშიშროების საბჭო

როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახური იტყობინება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების საბჭო, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი უხელმძღვანელებს.

## გვწერენ

### მოთმინებითა შენითა...

რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ რუსეთის თანადგომის გარეშე ვერ აღსრულდება ქართველი ხალხის სწრაფვა, დაიბრუნოს აფხაზეთი და შიდა ქართლი.

ჩაცხრა განვლილი წლების ეიფორიული აღტყინება და დავრჩით იმ რეალობის ამარა, რასაც ჰქვია ტერიტორიადაკარგული საქართველო.

მეგობრობა რწმენის, იმედისა და სიყვარულის გამონათებაა. მისმა ნაკლებობამ განსაკუთრებით დააზარალა ჩვენი ხალხი. შეხედეთ, როგორ იმძლავრა ღვარძლმა, სიძულვილმა, ძალადობამ, ქედმაღლობამ, როგორ დაინგრა და გაჩანაგდა ათწლეულების მანძილზე შექმნილი ფასეულობანი.

ყველამ დავინახეთ, თუ რა მოგვცა მაქსიმალისტურმა მოთხოვნებმა საერთოდ და, კერძოდ რუსეთის მიმართაც.

რუსეთ-საქართველოს შორის არაკეთილმეზობლური ურთიერთობა ხელს აძლევს საქართველოს მტრებს, ათასი ჯურის სეპარატისტებს. როდემდე უნდა სარგებლობდნენ ისინი ჩვენი დაუკვირვებლობით?

განურჩევლად რუსეთის ხელისუფლების მეფერილობისა, საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) ინტერესებიდან გამომდინარე, უფრო მშვიდად და დინჯად უნდა განვსაჯოთ არა მარტო საერთო პოლიტიკის საკითხები, არამედ კონკრეტული პრობლემებიც.

თუნდაც რუსეთის სამშვიდობო ძალების აფხაზეთიდან გასვლის საკითხი ავიღოთ.

ხელაღებით იმის მოთხოვნა, რომ დაუყოვნებლივ დატოვონ მათ აფხაზეთის ტერიტორია, რას მოგვცემს? მე მგონი, ეს იქნება არა მარტო დამაბულობის ახალი ესკალაცია, არამედ, პირდაპირ ვთქვათ, — ახალი ომი. ვაკუუმი, რომელიც მათი გასვლით გაჩნდება, დაუყოვნებლივ შეივსება სეპარატისტთა შეიარაღებული ნაწილებით. ენგურის აქეთა მხარეს კი ჩვენი ჯარი დადგება, და მაშინ ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ ნებისმიერი პროვოკაცია ახალი უბედურების დასაწყისი არ იქნება?

ბევრო მხარს უჭერს საქართველოს პრეზიდენტის წინადადებას მრავალეროვნული ნაწილებით ჩანაცვლების შესახებ, რუსეთიც თანახმაა, მაგრამ ამ დაპირების რეალიზაციას სჭირდება დრო.

და სანამ ის დრო დადგება, მიუხედავად ბევრი ნაკლოვანებისა, რუსეთის ცისფერჩაფხუტიანები უნდა იდგნენ სამშვიდობო ზონაში. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, ასე ფიქრობს ბევრი პატრიოტი და ამიტომ გწერთ თქვენ — „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას.

ყველაფერს თავისი დრო აქვს.

**ამირან ცქიტიშვილი,**
ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი.

## ინფორმაცია

### თარიღის აღსანიშნავად

26 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას ვაჟი რეჯებ ჟორდანია.

სტუმარმა საქართველოს პრეზიდენტს გააცნო თავისი ინიციატივა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის 80 წლისთავის აღსანიშნავად გაისად საერთაშორისო კონფერენციის გამართვის შესახებ.

ედუარდ შევარდნაძე მოწონებით შეხვდა სტუმრის წინადადებას და მხარდაჭერა აღუთქვა.

### „ბოინგი“ ჩვენს საჰაერო დერეფანში შემოდის

როგორც ვიუწყებოდით, სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა მიიღო კორპორაცია „ბოინგის“ საერთაშორისო სავაჭრო განყოფილების დირექტორი კრეიგ ჯონსი თანმხლებ პირებთან ერთად.

— ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ საქართველოს ავიაციის განვითარებას, დავეხმაროთ ქართულ ავიაკომპანიას განახორციელოს მის მიერ შემუშავებული პროექტი „ბოინგ“-737-300-ისა და 737-700-ის მოდიფიკაციის თვითმფრინავების სამწლიანი ლიზინგით ექსპლოატაციის თაობაზე, — განაცხადა კრეიგ ჯონსმა.

ამ პროექტის თანახმად ორი თვითმფრინავიდან პირველი ამა წლის ოქტომბერში, ხოლო მეორე 1998 წლის მარტში (ღირებულება 3 მილიონ 100 ათასი აშშ დოლარი) ლიზინგის წესით უნდა გადმოგვეცეს. ღირებულების 85 პროცენტს აშშ ბანკი „ექსიმბანკი“ გაიღებს კრედიტის სახით, ხოლო 15 პროცენტს — საქართველოს ავიაკომპანია. 2000 წელს ორივე თვითმფრინავი საქართველოს საკუთრებად გადაეცემა. „ბოინგის“ მიერ შემოთავაზებული ანაზღაურების ამგვარი ფორმა უაღრესად შეღავათიანია.

სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა აღუთქვა სტუმრებს.

### „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია

„უეფას“ მიერ „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის პროექტის დამტკიცების, „დინამოს“ იურიდიული სტატუსის განსაზღვრისა და უცხოელ ინვესტორებთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების საფუძველზე ივლისის შუა რიცხვებში დაიწყო სტადიონის რეკონსტრუქციის პირველი ეტაპის სამუშაოები, — აღინიშნა 26 ივლისს სახელმწიფო მინისტრთან ნიკო ლეკიშვილთან გამართულ შეხვედრაზე.

საქართველოს ხელისუფლების პირველი უმნიშვნელოვანესი წვლილი ამ საქმეში ფეხბურთის ფედერაციის, საზოგადოება „დინამოს“, საფეხბურთო კლუბ „დინამოსა“ და მერიისათვის სტადიონის უსასყიდლოდ გადაცემა იყო. დღეს კი თბილისის მერია 200 ათას დოლარს გაიღებს პროექტის განსახორციელებლად, ხაზგასმით აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა. სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების პროცესში ჩაერთვება საბაჟო და საგადასახადო სამსახურები, ყველა შესაბამისი სამინისტრო.

### ზაფხულში ცხოვრება უფრო იოლია

სტატისტიკოსები აღნიშნავენ, რომ 3 პროცენტით შემცირდა საცხოვრებელი მინიმუმის საერთო ეროვნული მაჩვენებელი, რაც, ალბათ, ზაფხულის თვეებით უნდა აიხსნას.

ერთ შრომისუნარიან მამაკაცზე იგი ახლა 108,6 ლარს შეადგენს, საშუალო მომხმარებელზე — 95,3 ლარს, ოთხი კაცისაგან შემდგარი საშუალო — სტატისტიკური ოჯახისათვის სამომხმარებლო კალათის ღირებულება 190,6 ლარს უდრის. მაისში იგი 6 ლარით უფრო ძვირი იყო.

კვლავ იზრდება სხვაობა საცხოვრებელი მინიმუმის საერთო ეროვნულ და თბილისურ მაჩვენებლებს შორის. დედაქალაქის მინიმუმი თითქმის 7 პროცენტით აღემატება საერთო ეროვნულს.

### 6 მილიარდ ლარს გადააჭარბებს

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ა.წ. პირველ ნახევარში გრძელდებოდა ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაციის პროცესი, რაც გამოიხატა წარმოებისა და მომსახურების ყველა დარგის საწარმოო აქტივობის ზრდაში. წინასწარი მონაცემებით, ეროვნულ ეკონომიკაში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების მოცულობამ 4,3 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 18,4 პროცენტით სჭარბობს 1996 წლის ანალოგიური მაჩვენებლის დონეს.

1997 წელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ, 6 მილიარდ ლარს უნდა გადააჭარბოს.

### მხოლოდ მაღალი ხარისხის

დასავლეთ საქართველოს პლანტაციებში გრძელდება ჩაის ფოთლის კრეფა. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ოპერატიული მონაცემებით, 24 ივლისისათვის მოკრეფილი და გადასამუშავებლად ჩაბარებულია 17 ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი. ეს თითქმის 1400 ტონით აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს. აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები სააქციო საზოგადოება „ქართულ ჩაიზე“ გაპიროვნებულ პლანტაციებში, რომლის წილად მოდის მოკრეფილი ნედლეულის ნახევარზე მეტი.

სეზონის დამლევამდე ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად უნდა ჩააბარონ სულ ცოტა 60 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ამასთან, მკრეფავებსა და საწარმოებს შორის მორიგების თანახმად, ნედლეული მხოლოდ მაღალი ხარისხისა უნდა იყოს.

### ქართული და ოსური პოლიცია ერთად მუშაობს

ქართული და ოსური პოლიცია ამჟამად იძიებს თამარაშენში ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის აფეთქების გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს. მოსალოდნელია, რომ ტერორისტებს უახლოეს მომავალში აღმოაჩენენ. რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობამ ამ რეგიონში განაცხადა, რომ არ არის გამორიცხული, აღნიშნული ფაქტი იყოს პროვოკაცია, მოწყობილი ჩრდილოეთ კავკასიელი ბოევიკების მიერ, რომლებიც ცდილობენ ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტის პროვოცირებას იმ ფონზე, როდესაც სულ უფრო იძაბება ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიაში ოსებსა და ინგუშებს შორის.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა-საქინფორმმა, „იბერიამ“, „მოამბე-ექსპრესმა“.

## უკანასკნელ საათს

ვლადიკავკაზი. პრიგოროდნოეს რაიონში მდგომარეობა განიმუხტა, მაგრამ ინგუშ ლტოლვილთა პრობლემის საბოლოო მოგვარებას წლები დასჭირდება, განაცხადა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ივანე რიბკინმა. მდგომარეობას ართულებს ადგილობრივი კანონები, რომელთა თანახმად, ყოველ ინგუშ ლტოლვილს თავის საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების ნება უნდა დართოს მთელმა სოფელმა, რომლის მოსახლეობასაც ოსები შეადგენენ.

ხოპარგალა. იჩქერიის წამყვანი პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა პრეზიდენტ ასლან მასხადოვს მოსთხოვეს გაუუქმოს ამნისტია დოკუ ზავგაევსა და ჩეჩნეთის მთელ რიგ ყოფილ ხელმძღვანელების მიმართ, ხოლო მოსკოვმა — გადასცეს ისინი ჯოპარგალას.

ალექსანდრია. გუშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ პალესტინის ავტონომიის ლიდერი იასირ არაფატი და ეგვიპტის პრეზიდენტი ხოსნი მუბარაქი, რომელიც შუამავლად გამოდის პალესტინა — ისრაელის მოლაპარაკებაში.

ჰავანა. აქ ზეიმით აღინიშნა 44 წლისთავი მონკადას ყაზარმების შტურმის დღიდან, როდესაც ახალგაზრდა იურისტის ფიდელის მეთაურობით აჯანყებულებმა დაამხეს ბატისტას დიქტატურა, რათა მეორე, კასტროს დიქტატურა დაემყარებინათ.

## ეკლესია

ვაშინგტონი. აშშ თვალსაჩინო საეკლესიო ლიდერებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „საკონსტიტუციო ხელისუფლებას აშშ-ში კრიზისი ემუქრება“. განცხადების ავტორები სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლები ბრალად სდებენ უზენაეს სასამართლოს „ხელისუფლების უზურპაციას“ და ხაზს უსვამენ, რომ სწორედ სასამართლო ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა ამერიკის საზოგადოების ზნეობრივი გახრწნისათვის და რომ სწორედ სასამართლოები იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც „ეწინააღმდეგება ხალხის სოციალურ და მორალურ მრწამსს“.

მოსკოვი. როგორც უკვე ვიუწყებოდით, პრეზიდენტმა ელცინმა უარყო „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების“ კანონპროექტი. ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია რუსეთელი მაჰმადიანების სინანული და კათოლიკების მოწონება. ახალი კანონის მიხედვით საეკლესიო ზედაფენა „მოქცეულია“ დემოკრატიულ სახელმწიფოში, როგორც სამართლის სუბიექტი, რომელიც პასუხს აგებს მთელი ეკლესიისათვის.

„ნეზავისიმაია გაზეტას“ ელექტრონული ვერსია.

საქართველოს რესპუბლიკა
№178. კვირა, 27 ივლისი, 1997 წელი.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ პირველი ვიზიტის შემდგომ განვლილ პერიოდში საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ. შეიცვალა კავკასიაც. სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ჩვენი რეგიონის ბუნებრივი და ინტელექტუალური რესურსებით სიმდიდრე, უნიკალური სატრანზიტო პოტენციალი. ყოველივე ამან განაპირობა დასავლეთის, კერძოდ აშშ მხრიდან ჩვენს რეგიონზე ყურადღების აქცენტირება. აშშ, ისევე როგორც დასავლეთის სხვა ქვეყნებმა, მკაფიოდ გამოხატეს კავკასიისადმი ინტერესი და სულ უფრო მეტ მზადყოფნას ამჟღავნებენ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისთვის. ყოველივე ამის განმსაზღვრელ ფაქტორს მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს მზარდი ეკონომიკური ინტერესები კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, უწინარეს ყოვლისა, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის საბადოების არსებობა, მათი საერთაშორისო ბაზრებამდე ტრანსპორტირების შესაძლებლობები, უფრო ზოგადად კი რეგიონის ფუნქცია, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნისა. ამ კონტექსტში აღიარებულია საქართველოს ადგილისა და როლის უნიკალურობა. ასეთ ფონზე წარიმართა ვიზიტი, რომელიც, პრეზიდენტის შეფასებით, უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა და დასაბამი მისცა საქართველოსა და აშშ მორის თანამშრომლობის თვისებრივად ახალ ეტაპს, უფრო მასშტაბურს და, შეიძლება ითქვას, ყოვლისმომცველს.

ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტმა გააქარწყლა გავრცელებული ხმები დიდ სახელმწიფოთა შორის გავლენის სფეროების გადანაწილების შესახებ. – კავკასია, მე ამას განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს, შეიძლება იყოს დიდ, პატარა და საშუალო სახელმწიფოთა თანამშრომლობის ასპარეზი და არავითარ შემთხვევაში – დაპირისპირებისა და ინტერესთა შეჯახების ასპარეზი, – განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა.

ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებული იყო შეხვედრები აშშ პრეზიდენტთან, ვიცე-პრეზიდენტთან, ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირებთან, სამინისტროთა ხელმძღვანელებთან, სენატისა და წარმომადგენელთა პალატების კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების თავმჯდომარეებთან, აგრეთვე, საქმიანი წრეებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებთან.

ვიზიტის უმთავრესი მოვლენა პრეზიდენტ კლინტონთან შეხვედრა იყო. ედუარდ შევარდნაძემ ეს შეხვედრა შეაფასა როგორც უაღრესად კონსტრუქციული და დინამიკური, სადაც ორმხრივ ურთიერთობებთან თუ რეგიონულ და გლობალურ საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა აზრთა ურთიერთგაცვლა. კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, თქვა საქართველოს პრეზიდენტმა, რომ ყველა პრინციპულ საკითხში ჩვენს შორის აზრთა სრული თანხვედრა იყო.

საუბრის მნიშვნელოვანი ნაწილი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების თემას დაეთმო. პრეზიდენტმა კლინტონმა კიდევ ერთხელ გამოხატა მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი და აღგვითქვა კვლავაც აქტიურად დაუჭიროს მხარი კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით საქართველოს წინადადებებსა და ინიციატივებს.

კერძოდ, მან გაიზიარა სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით გაეროს წამყვანი როლის აღდგენის და „საქართველოს მეგობრების" ჯგუფის აქტიურად ჩართვის აუცილებლობა. ერთი სიტყვით, დაგვეთანხმა მოლაპარაკებების ფორმატის შეცვლის აუცილებლობის თაობაზე და, ამ მიზნით, ჟენევის პროცესის განახლების მიზანშეწონილობაზე.

ედუარდ შევარდნაძის შეფასებით, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტ კლინტონის განცხადება კასპიის დიდი ნავთობის საერთაშორისო ბაზრებამდე ტრანსპორტირების მიზნით დასავლეთის მიმართულების, საქართველოს გამოყენების აუცილებლობისა და ამ მარშრუტის რეალიზაციაში ამერიკის სრული მხარდაჭერის თაობაზე. ასეთივე სულისკვეთებით ხასიათდებოდა შეხვედრა აშშ ვიცე-პრეზიდენტთან ელ გორთან, რომელიც კავკასიის პრობლემებით განსაკუთრებით არის დაინტერესებული.

– ალბათ, კომენტარს არ საჭიროებს მსოფლიოს წამყვანი დემოკრატიული სახელმწიფოს პირველი პირის მიერ საქართველოში მიმდინარე რეფორმების დარგში მიღწეული წარმატებების მაღალი შეფასება, – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. – მან განსაცვიფრებელი უწოდა ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიზაციისა და საბაზრო ურთიერთობების მშენებლობის გზაზე მიღწეულ შედეგებს. მნიშვნელოვანწილად ამ წარმატებებმა განსაზღვრა მომავალ საფინანსო წელს საქართველოსადმი აშშ მთავრობის დახმარების 100 მლნ დოლარამდე გაზრდის თაობაზე საშუალედო გადაწყვეტილების მიღება, რასაც პრეზიდენტმა კლინტონმა მხარი დაუჭირა. მან კმაყოფილება გამოთქვა, აგრეთვე იმ ძალისხმევის გამო, რასაც საქართველო მიმართავს რეგიონული მშვიდობისა და თანამშრომლობის დამკვიდრებისა და ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ძალისხმევის გამო. კლინტონმა მაღალი შეფასება მისცა „მშვიდობიანი კავკასიის" ინიციატივას, ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებასთან დაკავშირებულ რეგიონთაშორის პროექტებს და აღნიშნა, რომ ევრაზიის დერეფნის ასეთი სწრაფი განვითარება სწორედ საქართველოს ინიციატივებთან არის დაკავშირებული.

შეხვედრის შემდეგ მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება, რომელიც სრულად ასახავს მოლაპარაკების შინაარსსა და ორი ქვეყნის ურთიერთობის დღევანდელ დონეს.

პრეზიდენტი შეეხო ზოგადად ინიციატივების თემას და განაცხადა, რომ მომავალში საქართველომ აქცენტი ენერგეტიკის სფეროზე უნდა გააკეთოს.

– ჩვენი თითქმის ამოუწურავი ჰიდრორესურსები, საკუთარი თუ სატრანზიტო ენერგომატარებლები გვაძლევს საშუალებას, შევიმუშაოთ რეგიონული თუ საერთაშორისო მასშტაბის ენერგეტიკული პროგრამა, გაცილებით უფრო შთამბეჭდავი, ვიდრე დღეს გვაქვს, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს უდიდესი ქვეყნები და ინვესტორები დაუჭერენ მხარს, - აღნიშნა მან.

ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა კონგრესში გამართული მნიშვნელოვანი შეხვედრები და განაცხადა, რომ კანონმდებლების ცხოველი ინტერესი გამოიწვია საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, აფხაზეთის კონფლიქტის, რეფორმების მსვლელობის საკითხებმა. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო სენატისა და წარმომადგენელთა პალატის უცხოურ ასიგნებათა კომიტეტებსა და ქვეკომიტეტებში გამართულ შეხვედრებს. როგორც ცნობილია, ეს ის სტრუქტურებია, სადაც პრაქტიკულად იგეგმება და მტკიცდება უცხო ქვეყნებისადმი დახმარება. კონკრეტული დახმარების დონის განსაზღვრა ძალზე მკაცრი კრიტერიუმებით ხდება. სენატმა მიზანშეწონილად ჩათვალა საქართველოსთვის დახმარების 100 მლნ დოლარამდე გაზრდა, რაც რეფორმების შემდგომი გაღრმავების ხელშეწყობის მიზნებს მოემსახურება.

> **„ვიზიტი უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა და დასაბამი მისცა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობის თვისებრივად ახალ ეტაპს, უფრო მასშტაბურს და, შეიძლება ითქვას, – ყოვლისმომცველს"**

– ეს არის ძალზე ეფექტიანი ინვესტირება დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით. სხვადასხვა ქვეყნების, კერძოდ, ამერიკის ასეთი ინვესტიციების წყალობით მოხერხდა ის, რომ პლანეტას, სახელმწიფოთა თანამეგობრობას კიდევ ერთი ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფო შეემატა, – თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

ეს გადაწყვეტილება სენატის დონეზეა მიღებული და მას ახლო მომავალში წარმომადგენელთა პალატა განიხილავს. საქართველოს პრეზიდენტის აზრით, საბოლოო დადებითი გადაწყვეტილება ეჭვს არ იწვევს. წინასწარი გეგმით ეს თანხა ენერგეტიკის რესტრუქტურიზაციასა და განვითარებას, სანაპირო დაცვის სამსახურის სრულყოფას, სამართლებრივ რეფორმას, სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის სფეროში კადრების მომზადებას, სუფსის ნავსადგურის განვითარების გეგმის მომზადებას, სოციალურ პროგრამებს, ზოგიერთ სხვა მიმართულებას მოხმარდება.

აშშ კონგრესში საქართველოსადმი დიდი ინტერესი და კეთილი განწყობაა. უახლოეს ხანს სტუმრად გვეწვევა სენატისა და წარმომადგენელთა პალატის მაღალი რანგის სამი სხვადასხვა დელეგაცია.

ვიზიტის შედეგებს შორის პრეზიდენტმა განსაკუთრებით აღნიშნა სამხედრო სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივის გაფართოება.

– დღემდე ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა, ძირითადად, ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში ხდებოდა. ეს თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება. ამავე დროს, ვიზიტის დროს ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილი შეთანხმებით „მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილებისა და თავდაცვისა და სამხედრო ურთიერთობების გაღრმავების შესახებ", შეიძლება ითქვას, საფუძველი ეყრება ორმხრივ ურთიერთობას, რაც განსაკუთრებული ურთიერთნდობის გამომხატველიც არის, – განაცხადა მან.

სასაზღვრო ჯარებისა და სანაპირო დაცვის სამსახურის მშენებლობა დღეს ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა, თქვა შემდეგ პრეზიდენტმა. აშშ აქტიურად გვეხმარება აღნიშნულ სფეროში, ხოლო პენტაგონში შეხვედრისას გადაწყდა თანამშრომლობის არსებული დონის მნიშვნელოვნად გაზრდა.

საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირების მიზნით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას. როგორც ცნობილია, საქართველო აღნიშნულ ორგანიზაციაში ამჟამად დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობს, ხოლო სრულუფლებიან წევრად გახდომა ახლო მომავლის საქმეა. ყოველივე ამაში დიდია ამერიკელი ექსპერტებისა და იმ მხარდაჭერის წვლილი, რასაც ამერიკელი კოლეგები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვიწევენ. მათ აღნიშნეს, რომ რაც შეიძლება უნდა დაჩქარდეს საქართველოს გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ეს ბევრ სიკეთეს მოუტანს საქართველოს, აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

ედუარდ შევარდნაძე შეეხო აშშ ექსპორტ-იმპორტის ბანკში გამართულ შეხვედრას. ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც ამერიკულ კაპიტალს აბანდებს და ამით ხელს უწყობს ინვესტიციების განთავსებას. ბოლო დრომდე „ექსიმბანკი" არ ახორციელებდა საქართველოში განსათავსებელი ამერიკული კაპიტალის დაზღვევას, რაც გარკვეულწილად ზღუდავდა ინვესტიციების მოზიდვას. ვიზიტის დროს ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და „ექსიმბანკს" შორის ე.წ. სამოტივაციო შეთანხმებას, რაც ამ ბანკის მიერ საქართველოში ამერიკული ინვესტიციების დაზღვევის სამართლებრივი საფუძველია. თანამშრომლობის პირველი ამგვარი მაგალითია ამერიკულ კომპანიას „ნორთროპ გრუმენ" და „საქაერონავიგაციას" შორის ხელმოწერილი კონტრაქტით გათვალისწინებული ინვესტიციების დაზღვევა აშშ „ექსიმბანკის" მიერ. ეს არის 20-25 მილიონიანი კრედიტი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი დარგის განვითარებისა და საჰაერო უსაფრთხოებისათვის. კონტრაქტი გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე სანავიგაციო და კავშირგაბმულობის აღჭურვილობის დამონტაჟებას და ამით ფრენების უსაფრთხოების გაზრდას. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს თავზე უფრო გაბედულად იფრენენ უცხოეთის თვითმფრინავები, რაც დიდ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას. აღნიშნული პროექტი ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის კონტექსტში უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ასევე ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის ფარგლებში უნდა განვიხილოთ ფოთში საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობის პროექტი, რომელიც ცნობილმა ამერიკულმა კომპანია „სი ლენდ"-მა დაამუშავა. პროექტით გათვალისწინებულია ნავსადგურის გამტარუნარიანობის წელიწადში 100 ათას ცალ კონტეინერამდე გაზრდა. ვაშინგტონში ყოფნისას აღნიშნული პროექტის პრეზენტაციაც გაიმართა.

ვიზიტის დროს კიდევ ერთხელ დადასტურდა აშშ მზარდი ინტერესი საქართველოს ენერგოსექტორისადმი. უმსხვილესი ამერიკული კომპანიები „შელი", „არკო" გამოთქვამენ მზადყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის მოძიება-მოპოვებისადმი. როგორც ცნობილია, საქართველოში უკვე მოღვაწეობენ ამერიკული კომპანიები, როგორიცაა „ფრონტერა რისორსიზ" და მრავალი სხვა.

საერთოდ, ამერიკული ინვესტიციებით საქართველოში სხვადასხვა პროექტის განხორციელებას ძალიან შეუწყობს ხელს კავკასიის საინვესტიციო ფონდის შექმნა. ესეც ძალიან დიდი მონაპოვარია. საწყისი კაპიტალი 45 მილიონ დოლარამდე იქნება, რომელიც ყოველწლიურად გაიზრდება. ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტიციების ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმებას.

საქართველომ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ბოლო წლებში უსასყიდლოდ 15 მლნ დოლარის ღირებულების მაზუთი მიიღო, რაც, ძირითადად, თბილსრესის მიერ ენერგიის გამომუშავებას ხმარდებოდა. მიუხედავად ენერგოსექტორში ვითარების სტაბილიზაციისა, მომავალ ზამთარში კვლავ დაგვჭირდება აშშ დახმარება. ამერიკის მხარემ გაიზიარა ჩვენი თხოვნა და მაზუთისა და გაზის მოწოდებაზე პრინციპული თანხმობა მოგვცა. ასევე გაგრძელდება მომავალ წელსაც მარცვლეულის გამოყოფა.

ვიზიტის პროგრამა საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელებთან შეხვედრებსაც ითვალისწინებდა. საყოველთაოდ არის ცნობილი ამ ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტების წვლილი საქართველოში მიმდინარე რეფორმების წარმატებაში, ეკონომიკის გამოცოცხლებაში, მიღწევებში საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის მოადგილესთან ბატონ სტენლი ფიშერთან საუბარში გამოითქვა კმაყოფილება მიმდინარე რეფორმების საერთო კურსისა და ტემპების თაობაზე. აღინიშნა, რომ სავალუტო ფონდი საქართველოს ერთ-ერთ წარმატებულ პარტნიორად თვლის და კვლავაც გააგრძელებს მასთან აქტიურ თანამშრომლობას.

მსოფლიო ბანკის პრეზიდენტთან ბატონ ჯ. ვოლფენსონთან საუბარში ხაზი გაესვა აღნიშნული ინსტიტუტის დაფინანსებით მიმდინარე პროექტების მნიშვნელობას საქართველოს ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების განვითარების თვალსაზრისით. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ მსოფლიო ბანკსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, ჩნდება ახალი მიმართულებები, თანამშრომლობის ახალი ფორმები. განსაკუთრებით გაესვა ხაზი ენერგეტიკის და ნავთობსადენების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პროექტების მნიშვნელობას და ამ სფეროებში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების აუცილებლობას. საერთო ანგარიშით, მსოფლიო ბანკისა და დონორი ქვეყნების დახმარებით ენერგიის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი იქნება 52-დან 60 მილიონ დოლარამდე.

საკმაოდ გულუხვია დახმარება ტრანსპორტის განვითარებაზეც. ლაპარაკია დაახლოებით 20 მილიონ დოლარზე. საკმაოდ დიდი თანხაა გამოყოფილი რკინიგზის აღსადგენად, ზოგიერთი სხვა მიმართულებით. აღინიშნა, აგრეთვე, მუნიციპალური განვითარების პროექტი, რომელიც 20 მილიონ დოლარს ითვალისწინებს. ცალკე კატეგორიაში შევიდა შავი ზღვის გარემოს დაცვა. პრეზიდენტი შეგვპირდა, რომ შარშან დაწყებული ისტორიული საქმე – კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად თანხების გამოყოფა – კვლავაც გაგრძელდება. საგულისხმოა, რომ მსოფლიო ბანკი მონაწილეობს კომერციული კრედიტებით საქართველოს მრეწველობისა და ზოგიერთი სხვა დარგის აღორძინებაში. მაგალითად, მსოფლიო ბანკი არის "ბორჯომის" პროექტის ერთ-ერთი პარტნიორი და დამფინანსებელი. იგი ასევე აფინანსებს დიდი ნავთობის მილსადენის საპროექტო დავალებას. ესეც კიდევ ერთი საინტერესო არგუმენტია იმისა, რომ ნავთობის ერთ-ერთი მიმართულება საქართველოზე გაივლის.

შემდეგ პრეზიდენტი შეეხო გაეროში შეხვედრებს და აღნიშნა, რომ გენერალურ მდივანთან, „საქართველოს მეგობრების" ჯგუფთან და უშიშროების საბჭოსთან შეხვედრები აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემებს მიეძღვნა.

– კონფლიქტის მოწესრიგების ირგვლივ შექმნილი ვითარების გათვალისწინებით აღნიშნული შეხვედრების მიზანი სამშვიდობო პროცესის ახლებურად გააზრების, ახალი მიდგომების თაობაზე საქართველოს ხედვის, წინადადებების წარდგენისა და ამ საკითხებზე პარტნიორების მხრიდან პოზიციების განსაზღვრა იყო, – თქვა მან. – აქვე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის პოლიტიკური ფონი, რაც ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ტაჯიკეთში, ყარაბახში კონფლიქტების მოწესრიგების თვალსაზრისით მეტნაკლები პროგრესის შედეგად შეიქმნა. ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე, გარკვეული წინსვლა დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებაში, რაც სამშვიდობო პროცესში უკრაინის აქტიურმა ჩართვამ განაპირობა. ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისიც, რომ გაეროში შეხვედრები ვაშინგტონში ვიზიტის ფონზე შედგა და მნიშვნელოვნად იქნა განპირობებული ამერიკელ კოლეგებთან საუბრების შედეგებით.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი კოფი ანანი რამდენიმე თვეა რაც ხელმძღვანელობს გაეროს, იგი უაღრესად გამოცდილი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწეა. აღსანიშნავია, რომ ბატონი კ. ანანის „დიპლომატიური სპეციალობა" სამშვიდობო ოპერაციების დაგეგმვა და მათ განხორციელებაზე კონტროლი გახლავთ. მნიშვნელოვანია, რომ იგი ინიციატივიანი და აქტიური პიროვნებაა, რაც ასეთ საპასუხისმგებლო პოსტზე თანამედროვე პირობებში აუცილებელია. მას აქვს ძალიან საინტერესო გეგმები. მიუხედავად ახალ ამპლუაში ყოფნის მოკლე პერიოდისა, იგი არაერთი საყურადღებო წინადადებითა და ინიციატივით გამოვიდა, მათ შორის აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. მისასალმებელია, რომ მას გაცნობიერებული აქვს კონფლიქტთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების სირთულე და ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლის აუცილებლობა, მათ შორის გაეროს საქმიანობის გააქტიურება და სამშვიდობო პროცესში წამყვანი როლის შესრულება. სხვასთან ერთად, ეს კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე ჟენევაში მოლაპარაკებების პროცესის აღდგენასაც გულისხმობს. რაც შეეხება გაეროს ეგიდით სამშვიდობო ოპერაციას, გენერალურმა მდივანმა პრინციპულად მხარი დაუჭირა მის ჩატარებას, თუმცა მიაჩნია, რომ საჭირო იქნება დრო ფინანსური მომზადებისთვის და მსურველი ქვეყნების მოძიებისთვის. საერთოდ, ჟენევის პროცესის აღდგენის და სამშვიდობო ოპერაციის ჩატარების შემთხვევაში ეს კ. ანანის გენერალური მდივნის ამპლუაში ამ მასშტაბის პირველი აქცია იქნება, რაც მის პირად მოტივაციას უდავოდ ზრდის. ბატონმა კოფი ანანმა ბრძანა, რომ 3 წლის წინათ გაეროს სამშვიდობო ოპერაციის ჩატარებისთვის გაცილებით ნაკლები პირობები იყო, დღეს კი სხვა ვითარებაა. სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებული ფინანსური ასპექტი მას პრობლემად არ მიუჩნევია, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. სწორედ ფინანსური პრობლემები იყო ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი, როცა პირველი ვიზიტის დროს არ მოხერხდა დადებითი გადაწყვეტილების მიღება.

საყურადღებოა ისიც, რომ ბატონმა კ. ანანმა გაიზიარა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში აფხაზეთში მომხდარის მეტი პრინციპულობით და სამართლიანად შეფასების აუცილებლობა და იმედი გამოთქვა, რომ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით მორიგი რეზოლუცია, რომლის მიღება ახლო მომავალში იგეგმება, ამ თვალსაზრისით, წინამორბედებზე ბევრად უკეთესი იქნება, განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

ნაყოფიერი აღმოჩნდა შეხვედრა „საქართველოს მეგობრების" ჯგუფთან. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ინსტიტუტი უაღრესად კონსტრუქციულ და ქმედით საქმიანობას ეწევა და მზარდი ავტორიტეტით სარგებლობს. ამავე დროს, ბოლომდე არ არის გამოყენებული მისი პოტენციალი, ის უზარმაზარი პოლიტიკური რესურსი, რაც ამ ჯგუფში გაერთიანებულ სახელმწიფოებს აქვთ. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამის შესახებ აღინიშნა თეთრ სახლში საუბრის დროსაც. შეხვედრის მიზანიც სწორედ ამ რესურსების მეტი ეფექტურობით გამოყენების შესაძლებლობების განხილვა წარმოადგენდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს შეხვედრა უშიშროების საბჭოსთან. წინა შეხვედრის შემდეგ, რომელიც 3 წლის წინათ გაიმართა (საერთოდ ეს იშვიათი მოვლენაა, როდესაც სახელმწიფოთა მეთაურები ხვდებიან უშიშროების საბჭოს ასეთ პრობლემებთან დაკავშირებით), ბევრი რამ მოხდა და შეიცვალა ჩვენშიც და სხვაგანაც, ძირითადად, უკეთესობისკენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების მიმართულებით. უფრო მეტიც – ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას არა მარტო აფხაზეთში, არამედ რუსეთის სამხრეთ რეგიონებშიც. მიუხედავად დიპლომატიური აქტიურობისა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გაეროს 17-მდე რეზოლუცია, სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ფორუმების დოკუმენტები, პირველ რიგში ეუთოს უმაღლესი დონის შეხვედრებზე, სადაც დაგმობილია აფხაზი სეპარატისტების მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებები, პროგრესი მაინც არ ჩანს. უფრო მეტიც, განვლილი სამი წლის პერიოდში ეთნიკური წმენდის პოლიტიკა კვლავაც გრძელდებოდა, რასაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ასეთ ვითარებაში აუცილებელი ხდება კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში სერიოზული კორექტივების შეტანა და ეს ჩვენს მოხსენებაში რამოდენიმე პუნქტად იქნა ჩამოყალიბებული, კერძოდ:

1. კონფლიქტის მოწესრიგების სამშვიდობო პროცესს საფუძვლად აფხაზეთის სტატუსის თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ განსაზღვრული პრინციპები უნდა დაედოს.

2. ლტოლვილების შეუფერხებელი მასობრივი დაბრუნების მიზნით აუცილებელია განხორციელდეს გაეროს კლასიკური ფართომასშტაბიანი, მრავალეროვანი ოპერაცია შესაბამისი დაფინანსებითა და სხვა ატრიბუტებით.

3. კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში განხილულ უნდა იქნას აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების, ინფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარების, მოსახლეობის რეაბილიტაციის საკითხები, ანუ ის ფაქტორები, რაც დამატებითი სტიმული უნდა გახდეს კონფლიქტის მოგვარების გზაზე. ამ თვალსაზრისით, უაღრესად საშური იქნებოდა გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ფარგლებში ქართველებისა და აფხაზების თანაცხოვრების და რეგიონის განვითარების თაობაზე ყოვლისმომცველი პროგრამების შემუშავება.

4. გაერომ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად აქტიურად უნდა წარმართოს საქმიანობა ტერიტორიის განაღმვის მიმართულებით.

5. სეპარატისტული რეჟიმის მიერ ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის აღკვეთისათვის უნდა გააქტიურდეს ამ მიზნით შექმნილი ბიურო სოხუმში, ხოლო მის დასკვნებსა და რეკომენდაციებს უნდა შეეძლოთ პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა ხასიათის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა.

6. აფხაზეთში მომხდარ ტრაგედიას გაერომ პრინციპული და არაორაზროვანი შეფასება უნდა მისცეს. გაეროს მიერ აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდის ფაქტების ცნობა სეპარატისტებს „გაჯიუტების" საშუალებას არ მისცემს. ხოლო თუ მაინც არ გამოიჩენენ კომპრომისისკენ სწრაფვას, უნდა იცოდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში წარდგებიან საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე, და რომ გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულების მიზნით არსებობს ძალდატანების ინსტრუმენტებიც. საბჭოს აქვს ასეთი ინსტრუმენტები და იძულების საშუალებები, რომლებიც გაეროს წესდებაშია გათვალისწინებული.

7. გაეროს გენერალური მდივნის ინიციატივა კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით მოლაპარაკებების ჟენევის პროცესის აღდგენის თაობაზე უდავოდ მისასალმებელია და მხარს ვუჭერთ. ამავე დროს გვსურს გაერო ამ პროცესის სათავეში ვიხილოთ და არა მისგან, ასე ვთქვათ „გარიყული", როგორც ეს დღემდე იყო.

მოხსენების შემდგომ სიტყვით გამოვიდნენ და აზრი გამოთქვეს დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, აშშ და ჩინეთის წარმომადგენლებმა. მათ მაღალი შეფასება მისცეს საქართველოში მიმდინარე რეფორმებს, მიღწეულ წარმატებებს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში. რაც შეეხება აფხაზეთის კონფლიქტს, მათ მხარი დაუჭირეს ჟენევის შეხვედრის იდეას და გამოხატეს მასში აქტიური მონაწილეობისათვის მზადყოფნა. სამშვიდობო ოპერაციასთან დაკავშირებით თითქმის ყველა გამომსვლელმა რუსეთის შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების მიზანშეწონილობა [illegible] იქვე მხარი დაუჭირა პერსპექტივაში გაეროს ეგიდით ფართომასშტაბიანი მრავალეროვანი სამშვიდობო ოპერაციის ჩატარებას. ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ არ შეიძლება რუსეთის შესაძლებლობის უგულებელყოფა. გამოითქვა აზრი, რომ ასეთ სერიოზულ აქციას სათანადო მომზადება სჭირდება და ეს გარკვეულ დროს მოითხოვს. ამავე დროს, მათ დასძინეს, რომ ამგვარი მასშტაბური ოპერაცია არ უნდა იყოს მიმართული რუსეთის გამოდევნისკენ, პირიქით სხვა სახელმწიფოების ჩართვის შემდეგ რუსეთს უნდა განესაზღვროს თანამონაწილის ღირსეული ადგილი.

უნდა ითქვას, განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, რომ გაეროში შეხვედრები, ისევე როგორც ყველა სხვა შეხვედრა, უაღრესად სასარგებლო და დროული იყო. ამ შეხვედრების შემდეგ ჩვენ უფრო რეალურად შეგვეძლება არსებული შესაძლებლობებისა და რესურსების განსაზღვრა და, შესაბამისად, სამოქმედო გეგმის ოპტიმიზაცია. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში შეხვედრები ოპტიმიზმის სერიოზულ საფუძველს იძლევა.

მოსალოდნელია თუ არა ცვლილებები ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში ვაშინგტონის ვიზიტის შემდეგ? ვფიქრობ, რომ არა. ვაშინგტონში მიაჩნიათ, რომ ჩვენი უდიდესი მონაპოვარია კეთილი ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, მათ შორის, უწინარესად, მეზობლებთან, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩრდილოკავკასიის ხალხებთან.

ეს ფაქტი ხაზს უსვამს ჩვენი პოლიტიკის სისწორეს და, როგორც ვაშინგტონში ამბობდნენ, მის უნიკალურობას. ისიც მინდა დავძინო, თქვა პრეზიდენტმა, რომ ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში შეხვედრების დროს რუსეთის საწინააღმდეგო განწყობის ნატამალიც კი არ არსებობდა. ფაქტია, რომ დღევანდელი მსოფლიო, მათ შორის, ვაშინგტონიც, დაინტერესებულია რუსეთის სტაბილურობით, დემოკრატიული განვითარებით. ყველას სურს იხილოს ეს დიდი ქვეყანა სწრაფად განვითარებადი, მსოფლიოში მშვიდობისა და თანხმობის ფაქტორი, რომელიც არ ერევა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, მაგრამ რომელიც თავისი მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული კურსით ხელს უწყობს სხვა ქვეყნების, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, უახლოესი მეზობლების სუვერენიტეტის განმტკიცებას, დემოკრატიულ განვითარებას. არავითარი პრინციპული განსხვავება დასავლეთისა და საქართველოს პოზიციას შორის არ არსებობს.

საქართველოს პრეზიდენტმა უპასუხა ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს. კერძოდ, *კითხვაზე: ვიზიტის შედეგების გათვალისწინებით, ნაადრევი ხომ არ იყო საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე და როგორ განვითარდება მოვლენები,* ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა:

მე არ შემიძლია ვთქვა, რომ დადგენილება ნაადრევი იყო. მან გარკვეული როლი შეასრულა იმ თვალსაზრისით, რომ მოხდა ყველა იმ ძალის მობილიზება, რომელიც ჩართული იყო აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში, მათ შორის, რუსეთის დიპლომატიის სხვადასხვა დონის წარმომადგენლებიც.

პრეზიდენტის აზრით, პარლამენტის დადგენილებამ დააჩქარა აღნიშნული საკითხის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რამდენად შედეგიანი იქნება ეს ყველაფერი, ამას ცხოვრება გვიჩვენებს, – განაცხადა პრეზიდენტმა.

– ახლა ყველაზე დიდი პრობლემაა როგორ მოვიქცეთ. დღეს, ალბათ, არ მაქვს უფლება გიპასუხოთ, თუ რა ბედი ეწევა სამშვიდობო ძალებს, რადგან ამ დღეებში გაიმართება საქართველოს მეგობრების ინსტიტუტის მონაწილეობით ფართომასშტაბიანი, თვისებრივად და ხარისხობრივად ახალი შეხვედრა ჟენევაში.

ედუარდ შევარდნაძემ ჟურნალისტის თხოვნით კომენტარი გაუკეთა აფხაზეთში პარტიზანულ მოძრაობას. მან, კერძოდ, თქვა: გაეროს უშიშროების საბჭოზე გამოსვლისას განვაცხადე, რომ, თუ არ მოგვარდა კონფლიქტი, გაჩნდება ახალი ელემენტი, რომელიც არ არის დამოკიდებული იმაზე, დავეხმარებით პარტიზანულ მოძრაობას თუ არა. ამასთან, პარტიზანული მოძრაობა დიდ პრობლემებს შექმნის მშვიდობის დამყარებისათვის და გამოიწვევს არასტაბილურობის გაფართოებას თვით რუსეთის სამხრეთის საზღვრების ჩათვლით. მაგრამ იმ ადამიანების მოთმინება, რომლებსაც დაბრუნება სურთ, ამოუწურავი არ არის. თუ კონფლიქტის მოწესრიგება გაჭიანურდება, მათ სხვა გამოსავალი არ ექნებათ. ამას არც საქართველოს მთავრობა და არც მე პირადად, არ ვიზიარებთ, მაგრამ პარტიზანულ მოძრაობას, როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ვერაფერი შეაჩერებს, – განაცხადა პრეზიდენტმა.

*– ვაშინგტონში ამერიკელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს თქვენ განაცხადეთ, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობამ და დასავლეთის სახელმწიფოებმა შესაბამისი რეაგირება არ მოახდინეს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ რუსეთმა არ გადასცა იგორ გიორგაძე საქართველოს. თუ გააკეთეთ ასეთი განცხადება, რა უნდა გააკეთოს დასავლეთმა იმისათვის, რომ აღნიშნული საკითხი დადებითად გადაწყდეს?*

– ეს იყო კონსტატაცია ამ ფაქტისა, – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, – და მართლაც სერიოზული საყვედური დასავლეთის საზოგადოებრიობის მიმართ. იმიტომ, რომ როდესაც საერთაშორისო მასშტაბის ტერორისტს, იმ პიროვნებას, რომელსაც სახელმწიფო გადატრიალება უნდა მოეხდინა, პრეზიდენტი უნდა მოეკლა, რომელიმე სახელმწიფო იფარავს, ამან უნდა გამოიწვიოს საერთაშორისო აღშფოთება, თუ ვებრძვით ტერორიზმს, უნდა ვებრძოლოთ ერთად და ასეთი რამ შეუძლებელი უნდა იყოს ჩვენს დროში. ტერორიზმს საქმით უნდა ებრძოლოს ყველა ქვეყანა.

*შეკითხვაზე, გაიმართა თუ არა მოლაპარაკება გიორგი მახარაძის საქმის ირგვლივ და რა ბედი ელის მას მომავალში?* პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ვაშინგტონში იგი პირადად შეხვდა გიორგი მახარაძეს, როგორც ცნობილია, საგამოძიებო პროცესი დასრულდა, მიმდინარეობს სასამართლო გარჩევა. ჩვენმა გადაწყვეტილებამ დიპლომატიური იმუნიტეტის მოხსნის შესახებ, გამოიწვია ის, რომ მახარაძე აშშ-ში აღარ ითვლება ოდიოზურ პიროვნებად, ორი სახელმწიფოს ინტერესებში საერთო გადაწყვეტილების გამოძებნა, თქვა პრეზიდენტმა. მისი განცხადებით, მახარაძისათვის განაჩენის გამოტანის შემდეგ ამერიკისა და საქართველოს ხელისუფლებათა შორის შეთანხმებით შესაძლებელია მისი გადმოყვანა სამშობლოში, არსებობს პრაქტიკა პატიმართა გაცვლისა, მთავარია არ გავუსწროთ წინ მოვლენებს. გიორგი მახარაძე ადრე თუ გვიან თავის ქვეყანას უნდა დაუბრუნდეს, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა სხვა შეკითხვებსაც.

საქინფორმი

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

# საქართველოს შეუძლია და უნდა განვითარდეს კიდეც სტაბილურად და დინამიურად

სხდომის გახსნისას ქვეყნის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოში ერთობლივი ძალისხმევით გრძელდებოდა ეკონომიკური აღმავლობის პროცესი. კერძოდ, წლის დამდეგიდან სტაბილური რჩებოდა ეროვნული ვალუტის კურსი თავისუფლად კონვერტირებად უცხოურ ვალუტათა მიმართ. ინფლაციის ზრდის საშუალო-თვიური ტემპი 0,5 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. გარკვეულწილად გააქტიურდა და სრულყოფილი გახდა ფულად-საკრედიტო საქმიანობა. როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებში შეტანილმა საპროგრამო ცვლილებებმა ეს სისტემები გახადეს უფრო ქმედითი, რეფორმათა საკანონმდებლო ბაზის გაფართოებასთან ერთად გაიზარდა მათი ხარისხობრივი მაჩვენებელიც, ძნელად, მაგრამ მაინც თანდათანობით უმჯობესდება მართლწესრიგი, საშემსრულებლო დისციპლინა. როგორც პრეზიდენტმა თქვა, მთამბეჭდავია, რომ ყოველივე ამის შედეგად ქვეყანაში მთლიანი შინაპროდუქტის მატებამ 14,7 პროცენტი შეადგინა. გაყინული წერტილიდან დაიძრა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების პრობლემა. მაგრამ თვითდამშვიდებისათვის ჯერ კიდევ არ გვაქვს საფუძველი. საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, კანონიერების განუხრელი დაცვისთვის, გამკაცრდეს ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ ყველა მიმართულებით. ჯერ-ჯერობით ერთ-ერთ სუსტ ადგილად რჩება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შეუსრულებლობა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასეთი ტენდენცია თუ გაგრძელდა, წლის დამლევისათვის ყველა მაჩვენებელი შეიძლება გაუარესდეს. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტმა მოუწოდა სხდომის მონაწილეებს სერიოზული, შინაარსიანი და გულახდილი საუბრისათვის, რათა დავძლიოთ ჩამორჩენა და მივაღწიოთ მიმდინარე წლისათვის დასახულ მიზნებს.

სხდომაზე მოხსენებები გააკეთეს ეკონომიკის მინისტრმა ვლადიმერ პაპავამ, ფინანსთა მინისტრმა მიხეილ ჭკუასელმა, რეგიონული პოლიტიკისა და ადგილობრივი მმართველობის სამსახურის ხელმძღვანელმა ბადრი ხატიძემ. მომხსენებელთა მიერ გაკეთებულმა ანალიზმა, სხდომის მონაწილეთა გამოსვლებმა ცხადყვეს, რომ, სირთულეთა მიუხედავად, გასულ პერიოდებთან შედარებით, ეკონომიკურ ზრდას ძირითადად დაჩქარებული ტემპი ახასიათებს. უწინარეს ყოვლისა, დამაიმედებელია ის, რომ სამრეწველო წარმოება მთლიანად 11,8 პროცენტით გაიზარდა, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატორული გეგმით გათვალისწინებულ ზღვრულ დონეზე მეტია. ყოველივე ამასთან ერთად, სწრაფი ტემპია მიღწეული ისეთ მნიშვნელოვან ქვედარგებში, როგორიც არის სათბობის მრეწველობა, სადაც წარმოების მოცულობა 2,2-ჯერ გაიზარდა, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა და ამშენ მასალათა მრეწველობა — 151 პროცენტის ფარგლებში, აგრეთვე მეტალურგია — 119,4 პროცენტი, ელექტროენერგეტიკა — 115,6 პროცენტი და სხვა. ამავე დროს საშუალოდარგობრივ მაჩვენებლებთან შედარებით, დაბალია ზრდის ტემპი მანქანათმშენებლობაში — 108,7 პროცენტი და განსაკუთრებით — კვების მრეწველობაში, სადაც იგი 0,2 პროცენტს არ აღემატება.

უფრო დამაიმედებელი მიღწევებია სოფლის მეურნეობაში. მართალია, იქ მთლიანი პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი მხოლოდ 107 პროცენტს შეადგენს, მაგრამ იგი აღემატება როგორც გასული წლების შესაბამის მაჩვენებელს, ისე ინდიკატორული გეგმით დაპროგნოზებულსაც. ეკონომიკაში პოზიტიურ ძვრებზე საუბრისას, აღინიშნა, რომ ასეთი ძვრები მოინიშნა სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტზეც. ეს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაჩქარებულ განვითარებასთან ერთად, განპირობებულია ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის შესრულების გააქტიურებითაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, ძნელი იქნებოდა სარკინიგზო ტვირთზიდვის 36,8-პროცენტიანი, საავტომობილო ტრანსპორტით კი — 27,3-პროცენტიანი ზრდის მიღწევა. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე. ამავე დროს, თუ საჰაერო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის 7,3 პროცენტით შემცირება შეიძლება აიხსნას თვითმფრინავების მოძველებული პარკით და ნაწილობრივ არაორგანიზებული აღრიცხვით, ამას ვერ ვიტყვით საზღვაო ტრანსპორტზე. სადაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ტვირთზიდვა 12-ჯერ და მეტად შემცირდა.

დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სფეროში მიღწეული დადებითი შედეგები. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, წლის დამდეგიდან ქვეყანაში პრივატიზებულია 490-მდე ობიექტი, თანაც, ამჯერად საქმე ეხება შედარებით მსხვილ საწარმოებს. ამ საქმეში დადებითი მომენტია უცხოელ ინვესტორთა მონაწილეობა პრივატიზაციის პროცესში, რომელთა წილად რეალიზებული აქციების 20 პროცენტი მოდის. ამჟამად, ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით, ფულის სპეციალიზებულ აუქციონებზე ნულოვანი სასტარტო ფასით იყიდება 265 სააქციო საზოგადოების სახელმწიფოს კუთვნილი აქციების საკონტროლო პაკეტები, რომელთა საერთო ღირებულება 120 მილიონ ლარს აღემატება.

მართალია, აღინიშნა სხდომაზე, ამ ბოლო დროს იგრძნობა პოზიტიური ძვრები საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის მასშტაბისა და გეოგრაფიის გაფართოების თვალსაზრისით, მაგრამ მაინც, არადამაკმაყოფილებელია ექსპორტისა და იმპორტის შეფარდება. კერძოდ, წლის პირველ ნახევარში იმპორტის 50-პროცენტიანი ზრდის პირობებში, ექსპორტი მხოლოდ 5,9 პროცენტით გაიზარდა. სერიოზული სჯა-ბაასი გაიმართა იმის თაობაზე, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ. აღინიშნა, რომ სწორედ ამ მიმართულებით არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო, ჯერჯერობით არათუ ვერ ხერხდება ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბური ლეგალიზაციის პროცესის დაწყება, არამედ შესაძლებელიცაა მისი არეალის კიდევ უფრო გაფართოება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველა ეკონომიკური მაჩვენებელი საბოლოო ანგარიშით კონცენტრირებულად გამოიხატება ქვეყნის ბიუჯეტის მდგომარეობით. ამავე დროს, აქ საქმის ვითარება სასურველია გაცილებით უკეთესი იყოს. გრანტების გამოკლებით, ერთობლივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში მხოლოდ 87,4 პროცენტით შესრულდა, რის შედეგადაც ბიუჯეტს დააკლდა 41,4 მილიონი ლარი. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ 85,2 პროცენტი, ტერიტორიული ბიუჯეტებისამ კი — 95,7 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება საგადასახადო შემოსულობებს ერთობლივ ბიუჯეტში, მან 84,7 პროცენტი შეადგინა, ანუ ხაზინას დააკლდა 37 მილიონი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტში ამ მაჩვენებლებმა შესაბამისად 81,6 პროცენტი და 33,3 მილიონი ლარი შეადგინეს. გრანტების მოცულობას, რომელიც წლის პირველ ნახევარში 26 მილიონი დოლარის ოდენობით იყო მოსალოდნელი, 14 მილიონი დოლარისათვის არ გადაუჭარბებია.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ბიუჯეტის შევსების უმნიშვნელოვანესი რეზერვია გადასახადების გადამხდელთა სფეროში ჩრდილოვანი ეკონომიკის მოზიდვა, რომელსაც, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ბიუჯეტში თითქმის 40-პროცენტიანი შემოსავლის მოტანა შეუძლია. საშემოსავლო ნაწილის შესრულებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, აგრეთვე, არასაკმარისი შემოსულობანი ბიუჯეტში დამატებითი ღირებულებისა და მოგების გადასახადიდან. უმნიშვნელო საგადასახადო შემოსულობას იძლევა მომსახურების სფერო, აგრეთვე ქალაქის ბაზრები, რესტორნები, საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოები. კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობა და სხვა. ამასთან დაკავშირებით ითქვა, რომ საჭიროა განხორციელდეს რადიკალური ღონისძიებანი საგადასახადო კანონმდებლობის დამრღვევთა წინააღმდეგ. ამ საქმეში თავის როლს ასრულებს ისიც, რომ უკვე შემოდგომიდან ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია და ერთიანი სახელმწიფო ფონდების ანგარიშები თავმოყრილი იქნება ქვეყნის ხაზინაში. ხელმძღვანელების დაუდევრობის, ზოგჯერ კი მატყუებელი უპასუხისმგებლობის გამო ადგილებზე ჩაიშალა ბიუჯეტების შესრულება მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში. კერძოდ, სხდომაზე მკაცრად გააკრიტიკეს ქალაქ თბილისის ისნისა და სამგორის რაიონების, ახმეტის, ჩხოროწყუს, ხარაგაულის, ბაღდათის, ხონის, ბოლნისის, სამტრედიისა და მთელი რიგი სხვა რაიონების ადმინისტრაციათა მეთაურები და მათი საფინანსო-ეკონომიკური სამსახურები. ამის შედეგად, იმავე სამტრედიის რაიონში, მაგალითად, უკვე გასული წლის დეკემბრიდან არ გაუციათ ხელფასები პედაგოგებისათვის.

სხდომაზე პრინციპული სჯა-ბაასის საგანი გახდა საშემსრულებლო დისციპლინასთან, კერძოდ, ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების განუხრელ შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები. სწორედ ამ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა. აღნიშნა რა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფას, მან თქვა, რომ დადგა დრო, როცა უნდა შევიმუშაოთ სამინისტროთა და უწყებათა ახალი დებულებები საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მოთხოვნათა გათვალისწინებით, რადგან სწორედ ასეთ პირობებშია შესაძლებელი შესაბამისი სტრუქტურების მოქმედება მაქსიმალური უკუგებით.

სხდომაზე გამოვიდა ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ სჯა-ბაასის დროს მკაფიოდ გამოიკვეთა, თუ რა კეთდება ქვეყანაში, საითკენ მივიწევთ და რა ტენდენციებთან გვაქვს საქმე, შეეხო რა პოზიტიურ ძვრებს ეკონომიკაში, მან კიდევ ერთხელ დაასკვნა, რომ ინფლაციის საშუალო-თვიურ დონეს ქვეყანაში 0,5 პროცენტისათვის არ გადაუჭარბებია, მაშინ როცა, პროგნოზით იგი 1,9 პროცენტის ფარგლებში იყო გათვალისწინებული. სხვათა შორის, ასეთი მაჩვენებელი მრავალ მაღალგანვითარებულ ქვეყანასაც კი შეშურდებოდა. ეს საქართველოს დიდი მონაპოვარია და იგი მიგვანიშნებს იმას, რომ ქვეყანამ დაიწყო სტაბილურად და დინამიურად განვითარება და მასთან შეიძლება იქონიო საქმე. მარტო ივნისში დაფიქსირებულია ფასების თითქმის ორი პროცენტით შემცირება. ეს უფრო მნიშვნელოვანი ციფრიც შეიძლება ყოფილიყო, აგარის შაქრის კომბინატში შექმნილი პრობლემები რომ არა, იქ ამ ცოტა ხნის წინათ დაინიშნა ახალი დირექტორი — ძალზე ნიჭიერი და საქმიანი კაცი. მან მოაგვარა საწარმოს ნედლეულით მომარაგების საქმე, მაგრამ დირექტორს ხელს უშლიდნენ, რამაც გამოიწვია წარმოების ორი თვით გაჩერება. ამის შედეგად გაიზარდა შაქრის საბაზრო ფასები და ამან გავლენა მოახდინა სხვა პროდუქტის ფასებზეც.

როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში ერთობლივი ბიუჯეტის საერთო შემოსავლებმა 303 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 1,5-ჯერ აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის წარმოდგენა ჯერ კიდევ ორი-სამი წლის წინათ შეუძლებელი იყო. სტატისტიკოსთა გამოკვლევების მონაცემებით, იანვარ-ივნისში ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებული ადამიანების საშუალო-თვიურმა ხელფასმა 43 ლარი შეადგინა, მათ შორის საბიუჯეტო სექტორში მომუშავეთა ხელფასმა — 37 ლარი. ეს შარშანდელ მაჩვენებლებს შესაბამისად 1,9 და 2,9-ჯერ აღემატება. ამჟამად გამოინახა სახსრები საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასების, აგრეთვე პენსიონერებისა და ინვალიდების პენსიების 20 პროცენტით გადიდებისათვის. მართალია, ამ თანხის ნაწილი მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდისათვის გადაირიცხება, რომლის ტარიფებიც თანდათანობით უკვე მოდის წესრიგში, მაგრამ მეორე ნაწილი ხომ ადამიანებს დარჩება. როცა საქმე ეხება ქვეყანაში კრიმინოგენურ სტაბილიზაციას, უნდა გვახსოვდეს, რომ ამას პოლიტიკური სტაბილურობა უნდა მოჰყვეს, რაც მხოლოდ ეკონომიკური სტაბილურობის პირობებშია შესაძლებელი. ამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა იმ პერსპექტივებზე, რომლებიც დაისახა ქვეყნის წინაშე. უწინარეს ყოვლისა, ეს არის ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი, ეგრეთ წოდებული „აბრეშუმის გზის" აღორძინება, რომელიც უკვე რეალურად მოქმედებს. მან დამსწრეთ შეახსენა ის შემოსავლები, რომლებსაც აძლევს ბათუმს, აჭარასა და მთლიანად საქართველოს ყაზახეთიდან ნავთობის ტრანსპორტირება. მიმდინარე წელს ამ ნავთობის მოცულობა 1,5 მილიონი ტონას შეადგენს, გაისად კი ოთხ-ხუთ მილიონ ტონამდე გაიზრდება. როგორც პრეზიდენტმა თქვა, ამ დერეფნისადმი ინტერესს მოწმობს ისიც, რომ გაჩაღდა ინტენსიური კამათი სიგარეტისა და სპირტის თაობაზე. ეს ხდება იმიტომ, რომ საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის წყალობით, გაჩნდა რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით ამ საქონლის გადაზიდვის შესაძლებლობა. ეს კი დიდი ფულია. მაგალითად, მარტო სიგარეტით ქვეყნის ბიუჯეტს 27 მილიონი ლარი შემატა. ასეთივე მდგომარეობა იყო სპირტთან დაკავშირებითაც. მას შემდეგ, რაც საქართველო დაუკავშირდა ევროპას, ბალკანეთის სახელმწიფოებს, სხვა ქვეყნებს, დაიძრა ტვირთის ნაკადი ცენტრალური აზიის, რუსეთის მიმართულებით და თვენახევრის — ორი თვის განმავლობაში ხაზინაში დაახლოებით 8 მილიონი ლარი შევიდა. ჩვენ, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, აქ მოქმედ ფირმებს უნდა მივცეთ სრული უშიშროების გარანტია მათი ტვირთების ტრანსპორტირების დროს. საჭიროა შეიქმნას კარგად აღჭურვილი ტერმინალები ბათუმში, ფოთში, გორში, ყაზბეგში, მცხეთასა და სხვა ადგილებში, რათა ჩვენმა პარტნიორებმა იგრძნონ, რომ გადახდილი ფულისათვის მათ შესაბამის მომსახურებას უწევენ. შეიძლება მოვიყვანოთ აგრეთვე იმის მონაცემები, თუ რამდენჯერ გაიზარდა რკინიგზის, საზღვაო ნავსადგურების, საჰაერო ტრანსპორტის შემოსავლები. სხვათა შორის, მარტო თურქეთიდან საქართველოს ტერიტორიის გავლით გაატარეთ 37 ათასი ავტომანქანა ტვირთით, რომლის ნაწილი დარჩა ქვეყანაში, დანარჩენი კი აზერბაიჯანსა და ცენტრალურ აზიაში გაიგზავნა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, როგორც ცნობილია, საბაჟო სამსახურმა ბიუჯეტს 77 მილიონი ლარი შემატა და ეს სამსახური ასეთივე წარმატებით თუ იმუშავებს, წლის დამლევამდე ამ ციფრმა შესაძლოა 150 მილიონ ლარს მიაღწიოს. ტვირთის დიდი ნაკადი წამოვიდა უკრაინიდან. სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლა ამ ქვეყანასთან ნავთობით დატვირთული მთელი ეშელონების გადაყვანის შესაძლებლობას გვაძლევს.

საქართველო, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, თანდათანობით ხდება ნავთობის ტრანზიტის ქვეყანა. ჩვენი აზერბაიჯანელი, ამერიკელი და რუსი მეგობრების დახმარებით გადაწყდა „საადრეო" ნავთობის ტრანსპორტირების საკითხი, ეს კი წელიწადში 7-8 მილიონი ტონაა. მან გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ ამერიკის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა ნავთობის დიდი ნაწილი საქართველოს ტერიტორიასაც გაივლისო. შორი არ არის ის დღე, როცა საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი. ეს უბრალო პოლიტიკა კი არა, ცხოვრების დონის ევროპული სტანდარტიცაა. საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ნავთობის ტრანსპორტირების პროგრამის ანალოგიურად, უნდა შემუშავდეს გაზის ტრანსპორტირების ასეთივე საერთაშორისო მნიშვნელობის პროგრამაც. საქართველოს შეუძლია გახდეს ელექტროენერგიის ექსპორტიორიც. ქვეყანას აქვს უზარმაზარი ჰიდრორესურსები, რომელთა გამოყენება ამ ამოცანის გადაწყვეტას სავსებით რეალურს ხდის. ამავე დროს, ტყიბულის ქვანახშირის ათვისების გზით აშენდება დიდი თბოელექტროსადგური, რაც შექმნის რეგიონში არსებული შრომითი რესურსების ამოქმედების საშუალებას. საქართველო მდიდარია აგრეთვე ენერგიის არატრადიციული სახეობებით, რომლებიც ასევე უნდა გამოვიყენოთ ქვეყნის საკეთილდღეოდ. უნდა გვახსოვდეს, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, რომ საქართველოს აქვს ექსპორტიორი ქვეყნის უდიდესი პოტენციალი. საერთოდ, პატარა ქვეყანა უთუოდ უნდა იყოს ორიენტირებული თავისი პროდუქციის ექსპორტზე.

შეეხო რა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ამის მიღწევა სავსებით შესაძლებელია, თუ ყველა და თითოეული იქნება დაინტერესებული ქვეყნის განვითარებით. პოლიტიკური კულტურა, ეროვნული შერიგება ეს წინსვლაც არის, რაც ყველა პოლიტიკური ძალის პასუხისმგებლობას მოითხოვს. თუ არ შესრულდება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, წყალში ჩაიყრება ყოველივე ის, რაც ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში გაკეთდა. უხელფასოდ დარჩენილი მოქალაქეებისათვის დიდი ვერაფერი ნუგეშია ის ფაქტი, რომ გასულ წელთან შედარებით 1,5-ჯერ გაიზარდა ბიუჯეტის შემოსავალი. ეს აბსოლუტურად პრინციპული საკითხი, საქართველოს ღირსების საქმეა, რომელსაც მსოფლიო იმედის თვალით შეჰყურებს და სწამს, რომ დღეს თუ ეხმარებიან მას, ხვალ თავად საქართველო დაეხმარება სხვებს. როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, ინვესტიციები თითოეული ოჯახის კეთილდღეობის წყაროა. ჩვენ ყველამ უნდა დავუმტკიცოთ, რომ საქართველოში მათ საქმე სერიოზულ ადამიანებთან აქვთ. სწორედ ამიტომ, მიაჩნია პრეზიდენტს, საჭიროა ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზება, რომელიც, როგორც მან თქვა, ქვეყნის ბიუჯეტის ამჟამინდელი შემოსავლის 40 პროცენტს შეიცავს. სწორედ ეს გადამალული შემოსავლები იგულისხმებოდა, როცა ამუშავებდნენ პრეზიდენტისეულ საფინანსო პროგრამას, რომელიც დამატებით 116 მილიონი ლარის მოზიდვას ითვალისწინებს.

ქვეყნის მიერ დასახული მიზნების მიღწევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც საკუთარი რეზერვების, ისე იმ შესაძლებლობების გამოყენებას, რომლებიც ისახება უცხოელ პარტნიორებთან საქმიანი თანამშრომლობის პირობებში. სწორედ ასეთი თანამშრომლობის წყალობით შევძელით საქმის გამოსწორება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა და სხვა საწარმოებში. რაც შეეხება საკუთარ რეზერვებს, ისინი ჯერჯერობით გამოუყენებელია. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ტურიზმის სფეროში შექმნილი ვითარება. იქ საქმის გაყინული წერტილიდან დაძვრისათვის, საჭიროა ისევ და ისევ დავაინტერესოთ უცხოელი ინვესტორები გონივრულად და საფუძვლიანად შედგენილი ბიზნესგეგმებით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტურიზმი უდიდეს შემოსავალს შეიცავს. და საერთოდ, აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, უფრო შორეული პერსპექტივებიც უნდა დავისახოთ მიზნად. საამისოდ უკვე ახლა უნდა ვიზრუნოთ 10-15 წლისათვის გათვალისწინებული პროგრამების შემუშავებისათვის, რათა იმ სპეციალისტებს, რომლებიც ამჟამად საზღვარგარეთ ეუფლებიან ცოდნას, შინ დაბრუნების შემდეგ ჰქონდეთ საქმიანობის ფართო ასპარეზი.

ეკონომიკური რეფორმის დაწყებულმა მეორე ეტაპმა, თქვა პრეზიდენტმა, უკვე 2-3 წელიწადში უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მოქალაქეთა კეთილდღეობის რეალური ზრდა. საქართველო არ იქნება მხოლოდ მდიდრებისა და ღატაკების ქვეყანა. აქ იცხოვრებენ მხოლოდ მდიდრები და შეძლებული მოქალაქეები. მაგრამ ამისათვის უკვე ახლა უნდა შეიქმნას იმის პირობები, რომ ბიზნესმენებმა თავიანთი საქმიდან მიიღონ მაქსიმალური შემოსავალი და, შესაბამისად, სარგებელიც მოუტანონ სახელმწიფოს.

ედუარდ შევარდნაძე მიესალმა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე მოლაპარაკების დაწყებას ჟენევაში. მან აღნიშნა, რომ ეს პირველი ასეთი შეხვედრაა, რომელშიც კონფლიქტში ჩაბმულ მხარეებთან ერთად მონაწილეობენ „საქართველოს მეგობართა ჯგუფის" ქვეყნები — ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი. რაც შეეხება 31 ივლისს, როცა იწურება სამშვიდობო ძალების მანდატის მოქმედების ვადა, ჟენევის მოლაპარაკების შედეგების მიხედვით, პარლამენტთან ერთად მიღებული იქნება გადაწყვეტილება, რომელიც არ დაუშვებს ომის განახლებას და გახდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტი.

**ედუარდ ედიბერიძე,**
**თენგიზ გრიგალაშვილი,**
საქინფორმის კორ.

დასასრული.
დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

დეტალები

**ცალკე თემაა, თუ ცალკე მიმართულება ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტისა ეკონომიკის, ფინანსების თემა იყო, განსაკუთრებით, იმ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან მოლაპარაკება, რომლებიც ამ ქვეყანაში არის განლაგებული.**

**რა მივიღეთ ამ მოლაპარაკებებიდან?**

**მიხეილ ჭკუასელმა, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, რომელსაც ამ შეკითხვით მივმართე, საუბარი ამერიკის შეერთებული შტატების „ექსიმბანკთან" ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების კომენტარით დაიწყო, რადგან სწორედ ეს მიიჩნია ზემოთ დასახელებული თემის მნიშვნელოვან მომენტად. ახლავე გავიგებთ, რატომაც:**

# ინვესტირებული პროგრამები მხოლოდ შესაბამის სოციალურ გარემოში განხორციელდება

— ხელშეკრულება უზრუნველყოფს ფართო თანამშრომლობას, რომელიც განაპირობებს საქართველოსკენ მიმართული ინვესტიციებისა და საკრედიტო ხაზების ინტენსიურ ზრდას. ეს დადასტურდა იმავე დღეს, როდესაც „ექსიმბანკთან" გაფორმდა მეორე ხელშეკრულება საჰაერო ნავიგაციის პროექტისათვის საკრედიტო ხაზის გახსნის შესახებ.

**— უფრო მეტად რომ გაშიფროთ?...**

— ეს ნიშნავს, რომ ხელშეკრულება, რომელიც „ექსიმბანკთან" დავდეთ, უზრუნველყოფს ამ ქვეყნის საფინანსო რესურსების უფრო დანდობილად, ბევრად უფრო გარანტირებულად შემოტანას საქართველოში. ამ ბანკის ფუნქცია ინვესტორის წინაშე გარანტის ფუნქციის შესრულებაა, იგი კისრულობს პასუხისმგებლობას, რაც ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

ჩვენმა მეგობრებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთხმად აღნიშნეს „ექსიმბანკთან" დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობა, მიიჩნიეს იგი ვიზიტის ერთ-ერთ წარმატებულ შედეგად.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა მსოფლიო ბანკში, რომელიც გააფართოებს თავის მოღვაწეობას საქართველოში.

ამ ბანკმა წლეულს უკვე განახორციელა ორი პროექტი — გახსნა საკრედიტო ხაზი მუნიციპალურ პროექტზე და დააფინანსა შავი ზღვის ეკოლოგიური უსაფრთხოების პროგრამა.

მსოფლიო ბანკი მონაწილეობს, უფრო მეტიც, მნიშვნელოვანი როლი აკისრია საქართველოში მაკროეკონომიკური და ფინანსური რეფორმების, განსაკუთრებით, სტრუქტურული რეფორმების განხორციელებაში, და, პარალელურად, იწყებს მუშაობას კერძო პროექტების განსახორციელებლად. პრაქტიკული გადაწყვეტის ფაზაშია მოლაპარაკება, რომელიც უზრუნველყოფს კერძო ინვესტორების შემოსვლას ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო ბანკის გარანტიით. ლაპარაკია ინვესტიციებზე არანაკლებ ასი მილიონი დოლარის მოცულობით. მსოფლიო ბანკი ჩვენთან იმავე, მაგრამ გაცილებით ხელსაყრელი რეჟიმით მუშაობს, როგორითაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, იგი ხელს შეუწყობს კერძო ინვესტიციების მოზიდვას და არა მხოლოდ კრედიტების გამოყოფას საქართველოსათვის.

ამ შეხვედრამ მნიშვნელოვნად განაპირობა მთავრობის წარმომადგენელთა სამუშაო მოლაპარაკების წარმატება, რომელიც რამდენიმე დღეში განახლდება ამერიკის შეერთებულ შტატებში და რომელზეც განიხილავენ სტრუქტურულ რეფორმათა მეორე ეტაპის საკითხებს. აქ საუბარი მიმდინარეობს 40 მილიონამდე დოლარ თანხაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდში ერთი დაუგეგმავი შეხვედრა შედგა, რომელშიც ჩვენი მხრიდან მონაწილეობდნენ ტრანსპორტის, ენერგეტიკის, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა და ვაჭრობის, ფინანსთა მინისტრები, სახელმწიფო კანცელარიის შესაბამისი ხელმძღვანელები. ვისაუბრეთ ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობაზე და ჩვენთვის საინტერესო კონკრეტულ პროექტებზე.

4 აგვისტოს ველოდებით სავალუტო ფონდის მისიის ჩამოსვლას, მაშინ შევაჯამებთ 1997 წლის პირველ ნახევარში გაწეულ საქმიანობას. მისიის წევრები შეაჯერებენ და შეამოწმებენ საქართველოს მიერ აღნიშნული პროგრამების შესრულების მიმდინარეობას.

სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში რეფორმატორული საქმიანობა სწორი კურსით მიმდინარეობს და რეფორმების საერთო გამარჯვებას განაპირობებს.

რა თქმა უნდა, არის პრობლემები, მაგრამ ისინი სამუშაო პროცესშია წარმოქმნილი და გამიზნული საქმიანობით გადაილახება.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ის მომენტი, რომ ჩვენს პრეზიდენტთან შეხვედრების დროს აშშ მთავრობის წევრები, გავლენიანი სენატორები, კონგრესმენები საკუთარ პოზიციას აფიქსირებდნენ და დახმარების ხელს გვიწვდიდნენ. ეს იმის უცილობელი ნიშანია, რომ საქართველო მართლა მიიღებს კონკრეტულ დახმარებას, როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორი ქვეყანა.

პრეზიდენტის მიერ ჩვენთვის მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ძალიან საინტერესო მოლაპარაკებები გვქონდა კერძო კომპანიებთან. ჩვენი წარმომადგენლები დარჩნენ ამერიკაში და განაგრძობენ საქმიან ურთიერთობას მათთან. საქმე ეხება სასურსათო დახმარების პროგრამას, რომელსაც აფინანსებს აშშ მთავრობა, კერძოდ, ამ პროგრამის მნიშვნელოვნად გაზრდას საქართველოსათვის გამოყოფილი კრედიტების გზით. ეს არ არის ჰუმანიტარული დახმარება, რაც საქონლის მოწოდებით ხელის გამართვაა, ეს, უწინარეს ყოვლისა, გახლავთ ძალიან იაფი და დიდი მოცულობის საკრედიტო და საინვესტიციო რესურსები, რომლებიც 40-50 წლის განმავლობაში შეიძლება საქართველომ გამოიყენოს განვითარების მთელი რიგი პროექტების განსახორციელებლად.

არის სერიოზული პერსპექტივა, რომ საამისოდ საჭირო თანხები შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად იქნება გაზრდილი.

დავალება — ავითვისოთ უცხოეთის ქვეყნების თავისუფალი საკრედიტო-საინვესტიციო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს განვითარების პროექტების განხორციელებას, პრეზიდენტისგან მიღებული გვაქვს, რადგან ჩვენს ბიუჯეტს არა აქვს შესაძლებლობა დიდი მოცულობით დააფინანსოს, როგორც მცირე ბიზნესი, ასევე, პრიორიტეტული, ქვეყნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დარგები.

ვფიქრობ, რომ სერიოზული რესურსები, რომელთა შემოტანა ვიზიტის შედეგად რეალურად შესაძლებელი გახდა, ფეხზე დააყენებს ჩვენი ეკონომიკის მთელ რიგ დარგებს.

**— ჩვენ აქამდეც ხომ გვქონდა პარტნიორული ურთიერთობა აშშ კომპანიებთან, თავიდან ხომ არ ვიწყებთ ყველაფერს?**

— დღეიდან თვისებრივად ახალი ეტაპი იწყება. მაგალითად, ჩვენ ადრეც გვქონდა ურთიერთობა ერთ-ერთ უმსხვილეს საინვესტიციო კომპანიასთან „ნიუ სენჩერი ჰოლდინგთან", რომელიც საკმაოდ მსხვილ ინვესტორად ითვლება, მაგრამ ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრის დროს კომპანიის მესვეურები დიდად დაინტერესდნენ, და ეს ფრიად მნიშვნელოვანია, საქართველოში ფასიანი ქაღალდების, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრით. ისინი მზად არიან თვითონ შეისყიდონ და გამოჰყონ კიდეც თავისუფალი საკრედიტო რესურსები ამ ბაზრის ფორმირებისათვის, ითანამშრომლონ ჩვენს კომერციულ ბანკებთან, გაუწიონ მათ მნიშვნელოვანი ტექნიკური დახმარება და პროფესიული კონსულტაცია.

მამასადამე, ახლა ლაპარაკია არა ცალკეულ, ვთქვათ ასე, დოზირებულ, ერთჯერად ინვესტიციებზე, არამედ მთლიანი მიმართულების ჩამოყალიბებაზე.

ამ მაგალითიდან, მგონი, კარგად ჩანს, რა იყო და რა იქნება.

**— მაგრამ, ალბათ, არ შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც იქნება, მოწყვეტილია იმ ურთიერთობებს, რომლებიც უკვე ჩამოყალიბებული გვქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან...**

— პირიქით, გუშინდელი და ხვალინდელი დღე ორგანულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

პროცესი დაწყებული იყო, პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტას ელოდა, განსხვავებული იქნა და მოგვარდა, ურთიერთობა ახალ ორბიტაზე გავიდა.

ამ თვალსაზრისით, გამოვყოფდი შეხვედრას ოპიკში, რომელიც აძლევს ამერიკულ ინვესტიციებს და მისი აზრ[illegible] დამწყვეტია ამ ქვეყნის ინვესტიციების ასამოქმედებლად. საქართველოს პრეზიდენტის მოსვლამ ოპიკში, ქართული მხარის წინადადებებმა სრული მხარდაჭერა ჰპოვა, რეაქცია ადეკვატური იყო, რაც ნიშნავს, რომ ნავთობსადენის, ევრაზიის დერეფნის, საქართველოში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პროგრამები ინვესტირებული იქნა ამერიკული რესურსებით.

ვიზიტის გარდამტეხი მნიშვნელობა ორი ქვეყნის ურთიერთობაში იმითაც გამოიხატება, რომ დღეს აშშ უმდიდრესი შესაძლებლობები პრაქტიკულად სრული მოცულობით ხელმისაწვდომი გახდა ჩვენთვის. რეალურად არ არსებობს არანაირი პრობლემა ჩვენს მიერ წარდგენილი მნიშვნელოვანი პროექტების მხარდაჭერის საქმეში.

**— როგორ იმოქმედებს ურთიერთობათა ეს დიდი მასშტაბები ჩვენს ქვეყანაში, ვთქვათ, სოციალური საკითხების გადაწყვეტაზე? რას და როგორ იგრძნობს ხალხი?**

— იცით, რა? თქმა იმისა, რომ აი, დღეს ამერიკიდან ჩამოვიდა დელეგაცია და ხვალიდან ყველაფერი შეიცვლება, აბსოლუტურად პოპულისტური განცხადება იქნება.

მთავარი მომენტი, რომელიც ვიზიტის დროს გადაწყდა, არის ის, რომ გარემო, რომელიც დღეს საქართველოში ყალიბდება რეფორმების განხორციელებისა და ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, ერთი-ორად ძლიერდება და ფართოვდება ინვესტიციების მოზიდვის საფუძველზე.

რას მოგვცემს ინვესტიციები, რომლებიც ცალკეულ დარგებში იქნება დაბანდებული?

მოგვცემს იმას, რომ გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, ამ დარგებში დასაქმებული ადამიანები შესაბამის ანაზღაურებას მიიღებენ, გაჩნდებიან ახალი გადამხდელები, წელს მოიმაგრებენ ძველები და მნიშვნელოვან შენატანს მისცემენ ბიუჯეტს. ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდა კი ნიშნავს ყველა იმ სოციალური პროგრამის დაფინანსებას, რომლებიც დღეს სახელმწიფოს საკუთარ თავზე აქვს აღებული.

ამ ვიზიტმა დაადასტურა, რომ ჩვენ გამოვედით იმ მდგომარეობიდან, როდესაც შეძლებულ ქვეყნებს ჰუმანიტარულ დახმარებას ვთხოვედით. დღეს საუბარია საქართველოსთან პარტნიორობაზე, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მოკლევადიანი შედეგების მიღწევას მოხმარების თვალსაზრისით, არამედ მთელი დარგების, კონკრეტული საწარმოების ფეხზე დაყენებას, ფინანსური, სამეწარმეო — ეკონომიკური თვალსაზრისით. ეს უზრუნველყოფს, უწინარეს ყოვლისა, სოციალური პროგრამების უპირატეს განხორციელებას.

მოსახლეობის წინაშე ის პასუხისმგებლობა, რომელიც დღევანდელ, — და არა მხოლოდ წლევანდელ, — ბიუჯეტს აკისრია, მაკისრია მე, როგორც მინისტრს — პენსიის გაცემით დაწყებული, სტუდენტის სტიპენდიით დამთავრებული, ყველაფერი დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაფარული. ეს აუცილებელი ელემენტია რეფორმების განვითარების ჯაჭვში.

ქვეყანაში უნდა არსებობდეს შესაბამისი სოციალური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტირებული პროგრამების წარმატებით განხორციელებას.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე,**
„სრ". სპეც. კორ.
შენონი-თბილისი.

საქართველოს რესპუბლიკა
№178. კვირა, 27 ივლისი, 1997 წელი

## მართლწესრიგი

სახელმწიფოში წესრიგისა და კანონიერების აღდგენამ, სხვა სიკეთესთან ერთად, მოსახლეობაში მოხსნა შიშისა და კარჩაკეტილობის სინდრომი. რაკიღა ხალხმა ირწმუნა სამართალდამცველთა შეურიგებელი დამოკიდებულება საშიშ დამნაშავეთა მიმართ, უწყვეტ ნაკადად იწყო შემოსვლა საჩივრებმა გასულ წლებში მომხდარ მიჩქმალულ უმძიმეს დანაშაულებზე. საანგარიშო პერიოდში აღირიცხა წინა წლებში ჩადენილი 8 განზრახ მკვლელობა, 75 ყაჩაღობა, ადამიანის 26 გატაცება, 146 ქურდობა და სხვ. ამით უნდა აიხსნას იმ მაჩვენებლების ის უარყოფითი არითმეტიკული ცვლილებები, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკით არის დაფიქსირებული. რეალურად მდგომარეობა, როგორც ვთქვი, დამნაშავეობის კლების ტენდენციით ხასიათდება — მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დანაშაულის გახსნის მაჩვენებლებიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ოპერატიული მდგომარეობა კვლავ დაძაბული რჩება ზოგ ქალაქსა და რაიონში: ოზურგეთში, გარდაბანში, მარნეულში, დუშეთში, მცხეთაში, სენაკში, ახალქალაქში, ხარაგაულსა და ტყიბულში, თბილისის გლდანის, დიდუბისა და კრწანისის რაიონებში.

ოპერატიული მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სათანადოდ არ სრულდება სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 21 აპრილის ბრძანებულება „ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ", რომ მნიშვნელოვნად დავთმეთ პოზიციები ამ დანაშაულთან ბრძოლაში. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობის ფონზე ნარკოტიკების გასაღების ფაქტების გამოვლენის შემცირება.

ბრძოლა ამ მომაკვდინებელი სენის წინააღმდეგ არ გამოირჩევა სიმწვავით, იგი არანაირად არ შეესაბამება ქვეყანაში ამ მხრივ არსებულ რეალურ მდგომარეობას და ხშირად ფორმალური და მოჩვენებითი ხასიათისაა. ეს მაშინ, როცა ნარკობიზნესი, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, დღეს ერთ-ერთი ყველაზე სარფიანია და ორგანულად არის დაკავშირებული კორუფციასა და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან. ამ წლის დასაწყისში ქ. ბაქოში, ახლო და შუა აღმოსავლეთში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებით გამართულ გაეროს კომისიის სხდომაზე, საერთაშორისო ექსპერტებმა დელიკატურად გამოთქვეს ეჭვი, რომ აზიიდან ევროპაში ნარკოტიკების ტრანზიტი სწორედ საქართველოზე უნდა გადიოდეს მარშრუტით: პაკისტანი-ავღანეთი-ირანი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი და ბალკანეთის ქვეყნები.

ასეთ ვითარებაში მოუთმენელია, რომ შესაბამისი სამსახურების ყურადღება ძირითადად წვრილმან და უმნიშვნელო ფაქტებზეა გადატანილი, ხოლო გამოვლენილ ნარკოტიკებით მოვაჭრეთა უმრავლესობა შემთხვევითი პირები არიან. მათ შორის მრავალშვილიანი დედები, ინვალიდები, არასრულწლოვანები და სხვ.

პროკურატურის კოლეგიამ საანგარიშო პერიოდში ორჯერ იმსჯელა ამ მიმართებით საპროკურორო ზედამხედველობის ეფექტიანობაზე, არაერთმა პროკურორმა მიიღო მკაცრი სასჯელი. ორჯერ შევიტანეთ წარდგინება შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე, მაგრამ მდგომარეობა მაინც უცვლელია. თუ ასე გაგრძელდა, იძულებული ვიქნებით, უფრო ქმედითი ზომები მივიღოთ. ამ მხრივ სერიოზული პრეტენზიები გვაქვს საზღვრისპირა და კონფლიქტის კერებთან მიმდებარე: ყაზბეგის, ცხინვალის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, ახმეტის, ონის, ნინოწმინდისა და სხვა რაიონების სამართალდამცავებთან, დიდი ქალაქების, უპირველეს ყოვლისა, თბილისის რაიონების პროკურორებთან.

ალბათ დადგა დრო, ნარკობიზნესთან ბრძოლაში თავისი სიტყვა თქვან სახელმწიფო უშიშროების სპეცსამსახურებმა, საბაჟომ და სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა.

არსებული მონაცემების თანახმად, ბაზარზე ნარკოტიკულ ნივთიერებათა გაძვირებამ და სოციალურმა დაძაბულობამ, სტიმული მისცა ამ ნივთიერებათა შემცველი მცენარეების მოსაყვანი ნაკვეთებისა და გეოგრაფიის გაფართოებას, უპირველესად, ეს უნდა ითქვას: თიანეთის, ახალქალაქის, ცხინვალის, გალის, სვანეთისა და კახეთის ზოგიერთ რაიონზე.

კონტროლის წესით, საქართველოს პროკურატურის კოლეგია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, ნოემბერში კვლავ დაუბრუნდება ზემოაღნიშნულ საკითხებს და დამატებით ზომებს მიიღებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

უკანასკნელ ხანებში გავრცელდა ისეთი დანაშაულები, რომლებსაც, კრიმინალურ მახასიათებლებთან ერთად, სერიოზული სოციალურ-პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ეს არის დანაშაულები, თუ შეიძლება ასე ითქვას, საპენსიო ფონდისა და ბიუჯეტის წინააღმდეგ.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ ქვეყანაში გახშირდა პენსიების დატაცების შემთხვევები, როგორც შესაბამისი თანამდებობის პირების, ისე კრიმინალური ელემენტების მიერ.

შიდა ქართლის სამხარეო პროკურატურაში დამთავრდა გამოძიება კასპის სოცუზრუნველყოფის განყოფილების ყოფილი გამგის გურამ გზირიშვილისა და სხვათა (7 პირის) მიმართ, რომლებმაც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით დაიტაცეს 60 ათასამდე ლარის საპენსიო თანხები.

თერჯოლის რაიონის სოფელ საზანოს ფოსტის გამგემ ანა მაჩიტიძემ მიითვისა 4 ათასამდე ლარი, რომელიც პენსიონერებს ეკუთვნოდა.

ახალქალაქის რაიონის კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსმა კოსიანმა და „აგრომრეწვბანკის" რაიგანყოფილების გამგემ ოესეპიანმა პენსიონერებისათვის განკუთვნილი 15 ათასი ლარი ჩარიცხეს ელექტროენერგიის დავალიანების დასაფარავად, რითაც ასობით პენსიონერი 5 თვის განმავლობაში უსახსროდ დატოვეს.

4 აპრილს ტყიბულის ზონის სოფელ საწირის ტერიტორიაზე მოძრაობის დროს, ავტომანქანას, რომელსაც გადაჰქონდა მეშახტეთა პენსიები და ხელფასები ყაჩაღურად დაესხნენ და გაიტაცეს 80 ათასი ლარი. 15 ივლისს ხობის რაიონში თავს დაესხნენ მარტვილის რაიონის „აგრომრეწვბანკის" მუშაკებს და გაიტაცეს პენსიონერებისათვის განკუთვნილი 57 ათასი ლარი.

ამ ფაქტებზე პროკურატურასა და შს სამინისტროს საგამოძიებო ქვედანაყოფებში აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები და მიმდინარეობს გამოძიება.

ახალციხის პროკურატურამ და პოლიციამ ამხილეს საფინანსო განყოფილების გამგე კოსტანიშვილი და სახაზინო საწარმო „წყალთბილის" დირექტორი ერემაშვილი მასში, რომ კოსტანიშვილმა ერემაშვილს წინასწარი შეთანხმებით გადასცა ყალბი ავიზო და ქვითარი, თითქოს მან საფინანსო განყოფილებაში შეიტანა სახაზინო საწარმოდან რეალიზებული ხორბლის ღირებულება 3 ათასი ლარის ოდენობით. ფაქტობრივად ეს თანხა არსად არ ჩარიცხულა და იგი მიითვისეს ხსენებულმა პირებმა. საქმეზე გამოძიება გრძელდება.

პროკურატურას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტები მეტად საგულისხმოა და, გაზრდილ ოპერატიულ ყურადღებასთან ერთად, სხვა შესაბამისი უწყებების მხრიდან დამატებითი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.

მწირი მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობებისა და გამომძიებელთა შრომის ჯერ კიდევ მოკრძალებული ანაზღაურების მიუხედავად, დიდი დატვირთვით მუშაობდა პროკურატურის საგამოძიებო აპარატი. 6 თვეში გამოძიებით დამთავრდა 1300-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე: მკვლელების, ადამიანთა გამტაცებლების, სქესობრივი მოძალადეების, ბანდიტების, ტერორისტების, კორუფციონერებისა და სხვათა მიმართ. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 1600 პირი.

დამთავრდა ისეთ გახმაურებულ საქმეთა გამოძიება, როგორიცაა: თემურ ხაჩიშვილის, გიგა გელაშვილის და სხვათა მიერ ტერორისტული აქტების გზით სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, პარლამენტის წევრის სოსო მახალდიანის განზრახ მკვლელობა. დასრულდა აგრეთვე ე. წ. თბილსრესის საქმე: მისი გენერალური დირექტორის ბადრი დარჩიასა და სხვების (სულ 14 პირის) მიმართ, რომლებსაც ბრალად ედებათ 54 ათას ტონაზე მეტი სახელმწიფოს კუთვნილი მაზუთის დატაცება. დასკვნით ფაზაში შევიდა აფხაზეთში ქართველთა გენოციდის საქმის გამოძიება. მოპოვებულია ახალი ფაქტები და მტკიცებულებები. აფხაზეთის პროკურატურა გენოციდის უახლეს ფაქტებზე წარმართავს გამოძიებას. შინაგან საქმეთა და უშიშროების მუშაკთა ოპერატიულობის წყალობით, მოხერხდა ზოგიერთი პირის დაპატიმრება და გასამართლებაც კი.

პროკურატურამ, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების საგამოძიებო აპარატში, უხელმძღვანელა 2700-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას.

საანგარიშო პერიოდში დაპატიმრებულია 2700-ზე მეტი პირი, საიდანაც 30-ის მიმართ სანქცია გასაჩივრდა სასამართლოში. აქედან, ისეთ მძიმე დანაშაულში, როგორიც კორუფციაა, ბრალეულ 22 კაცს, რაიონის სასამართლოებმა პატიმრობა შეუცვალა უფრო მსუბუქი ღონისძიებით — თავდებობით, ან გაუსვლელობის ხელწერილით.

ამასთან დაკავშირებით გვინდა ვთხოვოთ საქართველოს უზენაეს სასამართლოს: განაზოგადოს შექმნილი ვითარება და პლენუმის საშუალებით გამოხატოს თავისი პოზიცია. იქნებ დაინტერესდნენ კორუფციის იმ საქმეებითაც, რომლებზე გადაწყვეტილებების მიღებაც სასამართლოებში მოუთმენლად ჭიანურდება, რაც ნეგატიურად მოქმედებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობაზე საერთოდ.

წლეულს პროკურატურაში დაფიქსირდა უკანონო პატიმრობის მხოლოდ ერთი შემთხვევა, რაც სამცხე-ჯავახეთის პროკურატურაში მოხდა. მართალია ეს ერთი ფაქტიც საგანგაშოა, მაგრამ წინა წლებთან შედარებით მაინც მდგომარეობის გაუმჯობესებად უნდა ჩაითვალოს.

თვითკრიტიკულად ვიტყვით, რომ, შესრულებული დიდი მოცულობის სამუშაოების მიუხედავად, გამოძიებას პროკურატურის სისტემაში ჯერ კიდევ აქვს სერიოზული ნაკლოვანებები. უპირველესად, ეს ითქმის საქმეთა უსაფუძვლოდ გაჭიანურებაზე, გამოძიების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე და მიღებული გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობასა და კანონიერებაზე.

საგამოძიებო ვადის დარღვევებზე სერიოზული პრეტენზიები გვაქვს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო აპარატის, გლდანის, კრწანისის, ჭიათურის, დმანისის, მარტვილის, სამტრედიის, ტყიბულის, სენაკის, ჩხოროწყუს, დუშეთის, ლანჩხუთისა და სხვა პროკურატურების მიმართ.

მარეაბილიტირებელი გარემოებებით არის საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეწყვეტილი: ჭიათურის, ნინოწმინდის, ყაზბეგის, ახალქალაქისა და ხარაგაულის რაიონებში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

საანგარიშო პერიოდში პროკურატურა მაქსიმალურად ცდილობდა უზრუნველეყო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კანონიერება, როგორც სხვა სამართალდამცავ დაწესებულებაში, ისე საკუთრივ თავის სისტემაში. ამ მხრივ, განსაკუთრებული დახმარება გაგვიწია საქართველოს პრეზიდენტის ცნობილმა ბრძანებულებამ „საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ", რომელმაც დიამეტრალურად შეცვალა სამართალდამცავთა დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი.

ჩვენს მიერ გამოქვეყნებული ნომრებით, დღეს უკვე ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ტელეფონით დაუკავშირდეს პროკურატურის სპეციალურ მორიგეს, მოითხოვოს ჩარევა და დარღვევებზე ოპერატიული რეაგირება. მომზადდა და ადგილებზე პროკურორებს დაეგზავნა ჩემი სპეციალური ბრძანება პრეზიდენტის ხსენებული ბრძანებულების პრაქტიკულად განსახორციელებლად — ადამიანის უფლებების დაცვა განისაზღვრა, როგორც პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება.

საზოგადოებრიობა დიდი მოწონებით შეხვდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ქვეყნის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის სპეციალური ინსტიტუტის შემოღებას და ამ მაღალ პოსტზე პრეზიდენტის მიერ ცნობილი პოლიტიკოსისა და მოღვაწის, ქალბატონ რუსუდან ბერიძის დანიშვნას, რომლის ხელმძღვანელობითაც სპეციალური კომისია უკვე შეუდგა მუშაობას და ღრმად გვწამს, რომ დიდად დაეხმარება სამართალდაცვით სისტემებში ადამიანის უფლებების დაცვაში სწორ, მიუდგომელ და სახელმწიფოებრივი ხედვის დამკვიდრებას.

სხდომას უნდა მოეახსენო, რომ გარკვეული პოზიტიური ძვრების მიუხედავად, ადამიანის უფლებების დარღვევა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხდება, როგორც სახელმწიფო უშიშროების, ისე შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოებში. უპირველესად ეს ეხება არასანქცირებული ქმედებების, უკანონო დაკავებისა და პასუხისგებაში მიცემის ფაქტებს. არის მოკვლევისას ძალისმიერი მეთოდების გამოყენების შემთხვევები და სხვა, რასაც ყოველთვის ეძლევა მკაცრი სამართლებრივი შეფასება.

კვლავ მძიმე მდგომარეობაა სასჯელთა აღსრულების დაწესებულებებში. უსახსრობის გამო გადაუჭრელ პრობლემად რჩება მსჯავრდებულთა დასაქმების, მათი საყოფაცხოვრებო პირობებისა და მკურნალობის გაუმჯობესების საკითხები, გადაუდებლად შესაკეთებელია ავჭალის №7 დაწესებულების სამი საცხოვრებელი კორპუსი, რომლებიც აშკარად ავარიულ მდგომარეობაშია.

სრულ ანაქრონიზმად იქცა სასჯელის ისეთი სახის მოხდა, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით. სპეცკომენდატურებში, სადაც ასეთი პირები არიან გამწესებული, დღეისათვის 1870 კაცია მიმაგრებული. მათი დიდი უმრავლესობა თითქმის არ მუშაობს და რეალურად საკუთარ სახლში იხდის სასჯელს, რაც ბევრ გაუგებრობასა და ანგარებით კანონის უხეშ დარღვევასთან არის დაკავშირებული, რომ აღარაფერი ვთქვათ სისხლის სამართლის ამ სასჯელის სრულ პროფანაციაზე. იმედია ახალი კანონმდებლობა უარს იტყვის სასჯელის ამ სახეზე.

ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, შარშანდელ წელთან შედარებით, ვითარებას აშკარად გაუმჯობესების ტენდენცია აქვს, თუმცა სასურველისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ.

ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო მთავარ სამხედრო პროკურატურაში, სადაც, როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა კომპლექსურმა შემოწმებამ გვიჩვენა, უხეშად ირღვეოდა კანონის მოთხოვნები. გამოვლინდა მოქალაქეთა უკანონოდ დაკავება-დაპატიმრების, უსაფუძვლოდ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და აშკარა კრიმინალებისადმი საეჭვო ლოიალობის შემთხვევები. სისტემატურად ჩიოდნენ მოქალაქეები, საფუძვლიანი პრეტენზიები ჰქონდა თავდაცვის სამინისტროს, იყო კორუფციის ფაქტებიც. პროკურატურის კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება მთავარი სამხედრო პროკურატურის გადახალისებისა და მუშაობის სტილის შესაცვლელად. დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდა მთავარი სამხედრო პროკურორი, ცვლილებები შეეხო კოლეგიის შემადგენლობას. ახალი სამხედრო პროკურორები დაინიშნენ თბილისის, ქუთაისისა და თელავის რეგიონებში. ამაღლდა სამემსრულებლო დისციპლინა, გაიზარდა მუშაკთა პირადი პასუხისმგებლობა.



# „თუ კორუფციის შენობის დანგრევა გვინდა, მას ჯერ „სახურავი" უნდა მოვხადოთ

### საქართველოს გენერალური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის გამოსვლა მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 1997 წლის 24 ივლისს

ენერგიულად შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ახალი მთავარი სამხედრო პროკურორი ბადრი ბიწაძე, რომელსაც კარგად აქვს შეგნებული ის ამოცანები, რაც დღეს ამ უწყების წინაშეა დასმული. უპირველესად ეს არის ბრძოლა არმიაში კორუფციისა და დეზერტირობის წინააღმდეგ.

ამ მიმართებით უკვე გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები: აღძრულია სერიოზული საქმეები სახელმწიფო ქონების დატაცებაზე, მექრთამეობასა და სხვა თანამდებობრივ დანაშაულებზე. გაანალიზდა დეზერტირობის გამომწვევი მიზეზები, რაზეც შესაბამისი ინფორმაცია ვაახლეთ საქართველოს პრეზიდენტს. ამჟამად, თავდაცვის სამინისტროსთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა იმ კონკრეტული ღონისძიებების შესამუშავებლად, რომლებმაც ზღვარი უნდა დაუდოს ჯარიდან გამოქცევის სამარცხვინო შემთხვევებს და ხელი შეუწყოს არმიაში სამხედრო დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებას.

განსაკუთრებით დაწვრილებით მინდა შევჩერდე კორუფციაზე, რომელთანაც ბრძოლა პრეზიდენტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იქნება რთული, უაღრესად მძიმე და ხანგრძლივი პროცესი". ცხოვრება დღითი-დღე ადასტურებს ამ პროგნოზის სრულ ჭეშმარიტებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, საანგარიშო პერიოდში გარკვეული მუშაობაა გაწეული ქვეყნის სამართალდამცავთა მიერ ანგარებით ჩადენილ თანამდებობრივ დანაშაულთა წინააღმდეგ. გასულ წელთან შედარებით უდაოდ პოზიტიური ძვრებია მომხდარი, თუმცა რაიმე წარმატებაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ნაადრევია, რადგან მიღებული ზომები აშკარად არ შეესაბამება არსებულ მდგომარეობას.

დღეს მსჯელობა შეიძლება მხოლოდ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების პირველ ნაბიჯებზე, პროცესზე, რომელიც დაიწყო და, საზოგადოებრიობის ჯანსაღი ნაწილის მხარდაჭერით, თანდათან უნდა მოღონიერდეს. საამისოდ კი, ვფიქრობ, უკვე ჩაყრილია სათანადო საფუძველი.

უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც სპეციალურად შექმნილმა კომისიამ შეისწავლა საქართველოს მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული აქტების კანონიერება.

რთულმა და დაძაბულმა შრომამ ერთ წელს გასტანა. გამომზეურდა ათასობით უკანონო აქტი, რომელთა ნაწილის მიღებაც ქვეყნის ექსტრემალურ მდგომარეობაში ყოფნით იყო გამოწვეული — არასტაბილურობისა და სოციალურ დაძაბულობათა მოსახსნელად. დოკუმენტების გარკვეული ნაწილი, სამწუხაროდ, ანგარებით, თანამდებობის არაკეთილსინდისიერად გამოყენების შედეგად არის მიღებული, რამაც ქვეყნის ინტერესებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ამის შესახებ კომისიის მიერ საზოგადოებრიობა დაწვრილებით არის ინფორმირებული. შემოწმებული აქტებიდან გადაირჩა 100-მდე მასალა, სადაც კომისიის აზრით, დანაშაულებრივი დარღვევები უნდა იყოს. მათ, ქვემდებარეობის მიხედვით, უკვე ამოწმებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო. დღეისათვის უკვე აღძრულია 30-მდე სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

დარღვევათა საილუსტრაციოდ მოვიტან ერთ პატარა ფრაგმენტს სისხლის სამართლის საქმიდან.

1994 წლის 2 თებერვალს მინისტრთა კაბინეტმა გამოსცა განკარგულება, რომლითაც სახელმწიფო რეზერვებიდან ტყვიავის საკონსერვო ქარხანას (იმ პერიოდში იგი საერთოდ არ მუშაობდა) გამოეყო ათასი დეკალიტრი სპირტი. პროდუქცია ქარხანაში არ შესულა და რატომღაც დიდი ფასდაკლებით გადაეცა კერძო ფირმა „ლეიარას". გამოძიებით ისიც გამოირკვა, რომ უფრო ადრე (1993 წლის 13 სექტემბერს), იმავე კერძო ფირმას სახელმწიფო რეზერვებიდან უკვე ჰქონდა მიღებული ფასდაკლებით ათასი დეკალიტრი სპირტი, საქართველოს პარლამენტის მაშინდელი აგრარული კომისიის თავმჯდომარის როინ ლიპარტელიანის ოფიციალური წერილის საფუძველზე.

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. გამოძიება გრძელდება.

წარსულში მთავრობის ცალკეული წევრების მიერ დაშვებული დარღვევების სალიკვიდაციოდ და სხვა შესაბამისი ზომების მისაღებად, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა სპეციალური განკარგულება „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1991-1995 წლებში მიღებული უკანონო აქტების გაუქმებისა და უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლების ორგანოებში კანონიერების დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ". მასში მოცემულია სამოქმედო პროგრამა და მექანიზმები, რომელთა შესრულებაზეც პასუხს აგებენ შესაბამის უწყებათა ხელმძღვანელები.

ცნობილია, რომ კორუფციასთან ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციას, რის გამოც ამ საკითხების შესასწავლად საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური განკარგულებაც კი არსებობს. თუ საბჭოთა პერიოდში, დღევანდელი გადასახედიდან, ჩრდილოვან ეკონომიკას რაიმე გამართლება მაინც ჰქონდა, რადგან იგი ხშირად კერძო ინიციატივის ჩახშობასთან იყო დაკავშირებული, დღეს მის არსებობას არანაირი გამართლება არა აქვს, რადგანაც იგი კორუფციის საშიშ ბუდეს წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, მინდა მოგახსენოთ კონტრაბანდაზე, რომლითაც ძირითადად არის დაკავებული არალეგალური ბიზნესი. კონტრაბანდის საგნად უმთავრესად აქციზური საქონელი გვევლინება.

გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ მთელი ე. წ. ბაზრობები, კომერციული მაღაზიები თუ ჯიხურები, ძირითადად ასეთი საქონლით ვაჭრობს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ისინი უმეტეს შემთხვევაში მალავენ რეალიზაციის ფაქტს და ამით თავისუფლდებიან შემოსავლებიდან გადასახადის გადახდისაგან, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი ზარალი ადგება ბიუჯეტს და რა ზღაპრული თანხები ილექება ცალკეული ვაიბიზნესმენებისა და მათი კორუმპირებული მფარველების ჯიბეში.

მაგალითისათვის მოვიყვან პატარა ანალიზს არყისა და ლუდის შემოტანასთან დაკავშირებით.

შარშანდელი წლის I ნახევარში საქართველოს საბაჟოში გაფორმდა სულ 6.310 ტონა არყისა და 9.484 ტონა ლუდის იმპორტი, მაშინ როდესაც წლევანდელი წლის 6 თვეში, შარშანდელთან შედარებით, ეს მაჩვენებლები არსებითად არის შემცირებული, ეს მდგომარეობა ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარს არ დასტყობია, რადგან იგი დღესაც გაჯერებულია ამ სახის იმპორტული საქონლით. ყოველივე ეს, დასკვნის სახით გვაფიქრებინებს, რომ იმპორტული ლუდისა და არყის უდიდესი ნაწილი არ ფორმდება საბაჟოში და კონტრაბანდული წარმოშობისაა.

ზოგჯერ შესაბამისი სამსახურები იმით აპელირებენ, რომ ჩვენი საზღვრები გამჭვირვალეა და ამიტომ საქონლის შემოტანა ყოველთვის ვერ კონტროლდება. ცალკეულ შემთხვევებში ეს შეიძლება მართლაც ასე იყოს, მაგრამ როგორ მოვიქცეთ მაშინ, როცა არის საბაჟოზე შესაბამისი სასაქონლო დოკუმენტების გაყალბების, ტვირთის ფაქტობრივი რაოდენობის ხელოვნურად შემცირების, ტვირთის რეჟიმის ფიქტიურად ჩვენებისა და საბაჟო კანონმდებლობის შეგნებულად არასწორად გამოყენების შემთხვევები, რაც ხელს უწყობს კორუფციას, გადასახადებისაგან თავის არიდებას და მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სახელმწიფო ბიუჯეტს. მაგალითად, საბაჟო საგუშაგო „ყაზბეგის" მუშაკებმა საქართველოში შემოტანილი 30 ათასი ლარის ღირებულების საავტომობილო ზეთი, ნაცვლად კანონით გათვალისწინებული 10 ათასი ლარისა, მხოლოდ 90 ლარით, დაბეგრეს, რითაც მნიშვნელოვნად იზარალა ბიუჯეტმა. ამ ქმედობის ჩადენის მოტივებს გამოძიება არკვევს.

იბადება კითხვა: ასეთ კრიმინოგენურ ფონზე როგორია ბრძოლა ქვეყანაში კონტრაბანდის წინააღმდეგ, რა მაჩვენებლები გვაქვს ამ მიმართებით? ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, შარშანდელი წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკაში სულ რეგისტრირებული იყო კონტრაბანდის 32 შემთხვევა, წლეულს კი ეს ციფრი 22-მდე შემცირდა, თანაც დანაშაულის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია არა აქციზური ან სხვა საქონლის, არამედ ნარკოტიკებისა და სხვა აკრძალული საგნების შემოტანასთან.

მდგომარეობა საგანგაშოა, რადგან კონტრაბანდული საქონლის გამოსავლენად პრაქტიკულად არაფერი არ კეთდება. ალბათ, შესაბამისმა ოპერატიულმა სამსახურებმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ და ქმედითი ზომები მიიღონ ვითარების შესაცვლელად.

აქვე არ შეიძლება არ შევეხო ისეთ მტკივნეულ თემას, როგორიცაა ე. წ. „სახურავების" პრობლემა. აღსანიშნავია, რომ მეწარმეთა მხრიდან მასზე დიდი მოთხოვნილებაა. სხვადასხვა ბიუროკრატიული დაბრკოლებისა თუ კრიმინალური კონკურენციისაგან თავის დასაღწევად, ბევრი ბიზნესმენი ცდილობს ხელისუფლებაში მყოფი გავლენიანი მფარველის მოძებნას, რომელსაც „წილში" სვამს და ამით უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის წარმატებას. სამაგიეროდ, ბიუჯეტში შესატანი თანხები გაედინება მაღალი რანგის მოხელის ჯიბეში, რითაც, საბოლოოდ ვიღებთ ღრმად კორუმპირებულ და კონსპირირებულ ორგანიზებულ დამნაშავეობას.

თუ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზეა საუბარი, უპირველეს ყოვლისა, ბრძოლა ასეთი პირების გამოვლენით უნდა დავიწყოთ, რაც თითოეული ჩვენგანის და, უპირველესად, შესაბამისი ოპერატიული სამსახურებისაგან, დიდ პროფესიონალიზმსა და სამსახურებრივ შემართებას მოითხოვს. თავის მხრივ პროკურატურა მზად არის ამ კატეგორიის საქმეთა სრულყოფილად გამოსაძიებლად.

აქვე მინდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ საქართველოს პროკურატურა არანაირ ბიზნესს არ მფარველობს, იგი არავისი სახურავი არ არის და არც არასოდეს ყოფილა. თუ ვინმეს ამაზე განსხვავებული აზრი აქვს, მზად ვართ დაუყოვნებლივ მივცეთ სათანადო განმარტება.

გულწრფელად უნდა ითქვას, რომ „სახურავის სტატუსის" მქონე თანამდებობის პირების წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩვენთან დღეს არსებული სისტემა ნამდვილად არაეფექტიანია. პრობლემის სირთულიდან გამომდინარე, იქნებ დავუბრუნდეთ ეროვნული უშიშროების საბჭოში ამ პროფილის სამსახურის შექმნის საკითხს, თუნდაც საკოორდინაციო ჯგუფის დონეზე, რომლის ავტორიტეტი და პოლიტიკური თუ ეკონომიკური მხარდაჭერა, საშუალებას მოგვცემდა ქმედითი ნაბიჯები გადაგვედგა ქვეყნისათვის ამ მეტად მძიმე და მტკივნეული პრობლემის მოსაგვარებლად.

კორუფციასთან ბრძოლაში ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ყველა დაინტერესებულ უწყებასთან და, უპირველეს ყოვლისა, პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებით საგამოძიებო კომისიასთან, საიდანაც შემოსულ ბევრ სერიოზულ მასალაზე აღძრულა სისხლის სამართლის საქმეები და მიმდინარეობს გამოძიება. კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან ვახტანგ ყოლბაიასთან ერთად, ამ დღეებში ესწრებოდა საქართველოს პროკურატურაში წლევანდელი წლის მუშაობის ექვსი თვის შედეგების განხილვას (რისთვისაც მათ ერთხელ კიდევ მინდა დიდი მადლობა მოვახსენო), სადაც დაწვრილებით გაერკვნენ ჩვენს პრობლემებში, დარწმუნდნენ, რომ მთელს სისტემას და მის ხელმძღვანელობას კარგად აქვთ გაცნობიერებული ის ხარვეზები, რაც ჩვენს მუშაობაში მოიპოვება და რის გამოც კოლეგიამ გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ არასაკმარისად შეაფასა.

და ბოლოს, შევჩერდები ერთ უაღრესად აქტუალურ პრობლემაზე — ეს გახლავთ ეროვნული შერიგების თემა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა პირველად ამა წლის 27 მაისს წამოჭრა პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური მოხსენების დროს და განავითარა შემდგომ გამოსვლებში (უპრიანი იქნებოდა გვეთქვა, რომ *დაუბრუნდა* ამ თემას, თორემ პირველად მან თავისი სათქმელი ჯერ კიდევ 1992 წლის 3 აგვისტოს მანიფესტში განაცხადა, რითაც იმ ეტაპზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა დიდი ეროვნული შერიგებისაკენ).

ექსპრეზიდენტის მომხრეთა მიერ ჩადენილ ქმედებათა დიდი ნაწილი პროკურატურამ გამოიძია და დღესაც, როგორც ზედამხედველი უწყება, მათთან გარკვეულ შეხებაშია. ბევრიც წასულია რესპუბლიკიდან და იძებნება. ასე, რომ, კარგად ვიცნობთ ამ პრობლემას.

ამიტომ მე, როგორც გენერალურმა პროკურორმა, ჩვენი მუშაკების დავალებით, მინდა სრული მხარდაჭერა გამოვხატო ქვეყნის პრეზიდენტის ამ დღესასწაულოვანი ინიციატივის მიმართ, რადგანაც ღრმად მჯერა, რომ ჩვენი დღევანდელი კონსტიტუცია და პრეზიდენტის კეთილი ნება დაპირისპირებულ თანამოძმეთა შორის სამუდამო დაზავებისა და მშვიდობის დამყარების გარანტიას იძლევა. ამას მოითხოვს ცხოვრება, ამას გვიკარნახებენ სამშობლოს ხვალინდელი დღის ინტერესები.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იაპონელები თავისებურად გამოეხმაურნენ მეტეოროლოგიური ბიუროს ცნობას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე წვიმების სეზონის დამთავრების შესახებ — 35 ათასამდე კაცი ერთად შეცვივდა აუზში.

## მოსკოვის ბირთვულ ობიექტებს ლოს-ალამოსიდან იცავენ

რუსები ამერიკელ ექსპერტებს ნებას რთავენ, იმუშაონ ყველაზე საიდუმლო ობიექტებში, წერს ბრიტანული „სანდი ტაიმსი". იგულისხმება ბირთვული ცენტრები „არზამას-16" და „ობნინსკი". ამერიკელი უშიშროების სპეციალისტები ამ ობიექტებში ყველაზე თანამედროვე დამცავ სისტემებს აყენებენ. გაზეთის მონაცემებით, პროგრამის საერთო ღირებულება 2 მილიარდ დოლარს შეადგენს, თანაც, მთელ ხარჯებს ისტუმრებს ამერიკის მხარე. რაც შეეხება მოსკოვის კურჩატოვის ინსტიტუტს, გამოსახულება იქ დაყენებული ვიდეოკამერებიდან მყისვე გადაიცემა ნიუ-მექსიკოს შტატის განთქმულ ლოს-ალამოსის ცენტრში. თუკი სისტემა ინსტიტუტის ტერიტორიაზე შეღწევის ცდას აღმოაჩენს, ამერიკელები ლოს-ალამოსიდან განგაშს ატეხენ მოსკოვში, წერს „სანდი ტაიმსი". ესოდენ უპრეცედენტო თანამშრომლობის მიზანი ის არის, რომ თავიდან აიცილონ ბირთვული მასალების შესაძლო მოპარვა რუსეთის ობიექტებიდან. „მოსკოვის ღამის კლუბებები გაცილებით უფრო უკეთ არის დაცული, ვიდრე ბირთვული ობიექტები", — განუცხადეს ამერიკელმა ექსპერტებმა „სანდი ტაიმსის" კორესპონდენტს.

## ინდონეზია გააწონასწორებს ჩინეთს?

აზია-წყნაროკეანის რეგიონში ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრობლემებს მიმართავს „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი. ავტორის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არ მოაკლოს ყურადღება რეგიონში ჩინეთის გავლენის ზრდას. ამ საუკუნის დამდეგს იაპონიის მიმართ შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შეცდომებს ხომ შედეგად მოჰყვა ის, რომ აზიაში გაჩენილმა პირველმა ზესახელმწიფომ რეგიონში წამოიწყო სამი ომი. ასეთივე საფრთხე რჩება ჩინეთის მიმართაც. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი აღნიშნავს, რეგიონში ჩინეთისადმი ბალანსის სახით საკვანძო როლის შესრულება შეუძლია 200-მილიონიან ინდონეზიას. ამერიკის მთავრობა ამჟამად ვერ ხედავს ინდონეზიისათვის საგარეო-პოლიტიკური მხარდაჭერის გაწევას იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში არ იცავენ ადამიანის უფლებებს. მაგრამ, ავტორის აზრით, შეერთებულმა შტატებმა არ უნდა უყუროს ინდონეზიას მხოლოდ ადამიანების უფლებებისადმი დამოკიდებულების პრიზმით. რადგან, უინდონეზიოდ ვერც იაპონია და ვერც აშშ მეშვიდე ფლოტი ვერ გახდება ჩინეთის ინტერესების საპირწონე, დასძენს „ნიუ-იორკ ტაიმსი".

## იაპონია კოსმოსშიც თავის გზას მონახავს

იაპონიამ უარი თქვა ამერიკული „შატლის" მსგავსი მრავალგზისი გამოყენების ავტონომიური კოსმოსური ხომალდის შექმნის გეგმებზე, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. ასეთი გადაწყვეტილება გამოწვეულია ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიძნელეებითა და ასიგნებათა შემცირებით. ამის მაგივრად აშენდება უფრო ეკონომიური — „სარაკეტო თვითმფრინავი", რომელიც ასევე შეძლებს კოსმოსში ფრენას. ახალი პროგრამა დაჯდება 862 მილიონი დოლარი, რაც წინანდელი პროგრამის ღირებულებაზე ხუთჯერ უფრო იაფია. გარდა ამისა, „სარაკეტო თვითმფრინავის" ყოველი გაშვება ეღირება მხოლოდ 8,5 მილიონი დოლარი. რაც შეეხება პილოტირებულ ფრენას, იაპონელი მეცნიერები ასეთ გეგმებს ჯერჯერობით არ ისახავენ.

## დიაბეტი - ახალი შემოტევა

განვითარებულ ქვეყნებს დიაბეტის გლობალური ეპიდემია ემუქრება, იუწყება ამერიკული გაზეთი „დეტროიტ ნიუზი". მონაცემებით, რომელიც გაზეთს დიაბეტის შემსწავლელმა საერთაშორისო ინსტიტუტმა მიაწოდა, დღეს მსოფლიოში დიაბეტით ავად არის 135 მილიონი კაცი. 2025 წლისათვის დიაბეტიანთა რიცხვი 300 მილიონს გადააჭარბებს. სიტუაციას ართულებს რამდენიმე მიზეზი. ჯერ ერთი, დიაბეტიან ავადმყოფთა ასაკი დღეს 20-30 წლამდე შემცირდა, მეორე, ინსულინი — 1921 წელს შემუშავებული დიაბეტის საწინააღმდეგო ერთადერთი ვაქცინა — პრაქტიკულად არ მოქმედებს ახალგაზრდა თაობაზე. ახალგაზრდებს მკურნალობაში ვერ შველის ვერც ტრადიციული მეთოდები — დიეტა და სპეციალური ვარჯიში, მესამე, საკმაოდ რთულია, ამოიცნო დაავადების დასაწყისი. ჩვეულებრივ კაცი უქეიფოდ გრძნობს თავს, რასაც თან სდევს ჩვეული თავის ტკივილი.

## რუსეთი ლიდერობს წყალწაღებულთა სიმრავლით

ზაფხულის დადგომისა და საბანაო სეზონის დაწყების შემდეგ ბრიტანული „ინდეპენდენტის" კორესპონდენტმა მოაწყო საკუთარი გამოძიება, რათა დაედგინა, თუ რამდენი კაცი იხრჩობა რუსეთში ყოველწლიურად. კორესპონდენტის აზრით, წყალწაღებულთა სიმრავლით რუსეთს სამართლიანად ეკუთვნის პირველი ადგილი მსოფლიოში. 1995 წელს რუსეთში დაიხრჩო 20,5 ათასზე მეტი კაცი, რაც ვიეტნამის ომში დაღუპული მთელი ამერიკელების მესამედს შეადგენს. თუ უახლოეს წლებში რუსეთში წყალწაღებულთა რიცხვი არ შემცირდება, მაშინ 30 წლის შემდეგ ქვეყნის მოსახლეობა 147-დან 123 მილიონამდე შეიძლება შემცირდეს, წერს დასასრულ „ინდეპენდენტი".



მსოფლიოში არ არის კუთხე, ეკოლოგიური პრობლემები რომ არ არსებობდეს. ბრაზილიისათვის ამ მხრივ დამაბულობის კერაა რიო-დე-ჟანეირო, რომლის 8-მილიონიანი მოსახლეობა ყოველდღიურად რამდენიმე ტონა ნაგავს ყრის გუანაბარის ყურეში.

## როგორ გადაარჩინონ პანდა?

ჩინელი მეცნიერები აწყობენ გიგანტური პანდის (ჩინური დათვი) კლონირების გეგმებს, იუწყება „იუ-ეს-ეი თუდეი". ცხვრის კლონირებაში შოტლანდიელ სპეციალისტთა წარმატება ჩინელ კოლეგებს უსახავს იმედს, რომ შეძლებენ გადაარჩინონ გაქრობის პირას მისული იშვიათი ცხოველი. როგორც ცნობილია, პანდა მხოლოდ ჩინეთში ცხოვრობს და მისი საერთო რიცხოვნობა ათას ეგზემპლარს არ აღემატება. მეცნიერებმა ვერ მიაღწიეს ამ იშვიათი დათვის ნორმალურ გამრავლებას ტყვეობაში და ამიტომ კლონირება ერთადერთ გამოსავლად მიაჩნიათ.

## რა ემუქრებათ ინდოელ ბავშვებს?

ინდოეთი ოდნავაც არ ზრუნავს ბავშვებზე, წერს გაზეთი „ტაიმსის" კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ბრიტანეთის ბავშვთა დაცვის ორგანიზაციის მონაცემებს. ფონდის ინფორმაციით, ინდოეთში ცხოვრობს მსოფლიოს ყველა დამშეული ბავშვის ორმოცი პროცენტი. გარდა ამისა, ინდოეთის ქალთა ეროვნული კომისიის მონაცემებით, დელის საროსკიპოების პერსონალის 60 პროცენტს ბავშვები შეადგენენ, მაგრამ ავტორს მიაჩნია, რომ „დამშეული ბავშვების" პრობლემა ინდოეთში ატარებს მხოლოდ და მხოლოდ ტერიტორიულ ხასიათს. ფაქტობრივად, ინდოეთი დაყოფილია „მშიერ" და „მაძღარ" რაიონებად, ერთი ეგ არის, რომ პირველთა რაოდენობა გაცილებით უფრო მეტია.

## პრეზიდენტობა მილოშევიჩის პროფესიაა

როგორც ვიუწყებოდით, სერბეთის ლიდერი სლობოდან მილოშევიჩი ოფიციალურად დაამტკიცეს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტად. იგი ამ პოსტზე ქვეყნის პარლამენტმა აირჩია 15 ივლისს და უნდა შეცვალოს ზორან ლილიჩი. ექსპერტთა აზრით, მილოშევიჩმა გადაწყვიტა იუგოსლავიის პრეზიდენტი გახდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეწურება სერბეთის პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის ვადა. სერბეთის კონსტიტუციის თანახმად, ამ პოსტზე არჩევა მხოლოდ ორჯერ შეიძლება. მილოშევიჩი კი სერბეთის განუყოფელი მბრძანებელია 1990 წლიდან. რაც შეეხება ხელისუფლებას, როგორც ასეთს, სერბეთის ლიდერი ისედაც იყო იუგოსლავიის ფაქტობრივი მბრძანებელი. შეგახსენებთ, რომ 1990 წლის ნოემბერში სწორედ სლობოდან მილოშევიჩმა მოაწერა ხელი სერბთა სახელით დეიტონის შეთანხმებებს ბოსნიის პრობლემის მოგვარების შესახებ.

## თავს სინანული სჯობია...

ბულგარეთში გამოიცა ქვეყნის ყოფილი კომუნისტური ლიდერის ტოდორ ჟივკოვის მემუარები, იუწყება „დეილი ტელეგრაფი". წიგნის საკმაოდ დიდი ღირებულების მიუხედავად, მთელი ტირაჟი ორ დღეში გაიყიდა და უკვე მზადდება ახალი გამოცემა. ჟივკოვს მოუვიდა სარფიანი წინადადებანი საბერძნეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის გამომცემელთაგან. წიგნის ლეიტმოტივი, ავტორის თქმით, შემდეგია: მან გამოიტანა დასკვნა, რომ მარქსიზმი ნონსენსია. ბრიტანელი ჟურნალისტის აზრით, ჟივკოვის აღიარებამ დაახლოებით 40 წლით დაიგვიანა.

## ვაშინგტონმა წყალობის თვალით გადახედა „მესამე სამყაროს"

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წამოაყენა რეკომენდაცია, შეიყვანონ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა შემადგენლობაში განვითარებადი ქვეყნები. „ტაიმსის" მიმომხილველის აზრით, ეს შეიძლება შევაფასოთ, როგორც პოზიციის ცვლილება. აქამდე, შეერთებული შტატები დაჟინებით მოითხოვდა, რომ უშიშროების საბჭოში ახალ მუდმივ წევრებად შეეყვანათ მხოლოდ გერმანია და იაპონია. მიმომხილველს გამოაქვს დასკვნა, რომ თავისი ნაბიჯით შეერთებულ შტატებს სურს „მესამე სამყაროს" ქვეყნებისაგან მიაღწიოს გაეროს რეფორმის მხარდაჭერას, რომელსაც გენერალური მდივანი კოფი ანანი ახორციელებს. უშიშროების საბჭოში შესვლის ფავორიტებად ანალიტიკოსებს მიაჩნიათ ინდოეთი, ბრაზილია და სამხრეთი ამერიკა. მაგრამ, წერს „ტაიმსი", საკმაოდ ძლიერი პოზიციები აქვთ არგენტინას, მექსიკას, ინდონეზიას, პაკისტანსა და ეგვიპტეს.

## პოლონეთი შეტკივნეულოდ შევა ნატოში

„ჯერმანი ლაივი" აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება პოლონეთის მზადებას ნატოში შესასვლელად. გაზეთი იუწყება, რომ პოლონეთის მთავრობის გაანგარიშებით, არმიის რეფორმირება და ნატოს საერთო-სამხედრო სისტემაში მისი ჩანერგვა ქვეყანას გაცილებით უფრო იაფი დაუჯდება, ვიდრე აქამდე ვარაუდობდნენ. გაზეთს მოჰყავს ექსპერტთა შეფასებები, რომელთა თანახმად, მთელ მოსამზადებელ ღონისძიებებზე პოლონეთმა მომდევნო თხუთმეტი წლის განმავლობაში უნდა დახარჯოს სულ მხოლოდ ორ-მილიარდ ნახევარი ზლოტი, ანუ მილიარდი აშშ დოლარი. გაზეთის აზრით, ეს გაანგარიშებები აქარწყლებს აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწის პროგნოზებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ნატოს გაფართოება შეუძლებელია ფინანსური მოსაზრებებით.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას" და „პლანეტა-ფორტეს" მასალების მიხედვით

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№178. კვირა. 27 ივლისი. 1997 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კონტროლზე!

# სამწუხაროდ, ისტორია მეორდება...

## პრეზიდენტის რეზოლუციები არის, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის

**„სრ“ დოსიედან:**

**გასული წლის 7 სექტემბერს ჩვენს გაზეთში სათაურით „ნუ მაჩუქებ თევზს, დაჭერა მასწავლე“ გამოქვეყნდა ჟურნალისტ ნარგიზა მგელაძის ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვების პროდუქტების ინოვაციურ ტექნოლოგიათა ლაბორატორიის ხელმძღვანელთან, საქართველოს აგროტექნოლოგიური აკადემიის აკადემიკოს თენგიზ ცინცაძესთან, რომელიც მრავალმხრივ იყო საყურადღებო. ინტერვიუში აღნიშნული იყო, რომ მთავრობა სათანადოდ ვერ იყენებს ქვეყნის მეცნიერულ პოტენციალს მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად, სასურსათო სიტუაციის გასაუმჯობესებლად, ქართული ჯარის სურსათით უზრუნველყოფის ოპტიმალური მოდელის შესაქმნელად ნათქვამი იყო ადამიანის კვებაში ცილების დეფიციტის დაძლევის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მიმართულების პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობაზე.**

**ამ პრობლემის მოსაგვარებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი სამსახური შესთავაზა საქართველოს მთავრობას. როგორი ბედი ეწია ამ ინიციატივას? ამის გასარკვევად ჟურნალისტი კვლავ ეწვია ბატონ თენგიზ ცინცაძეს.**

— რა უჭირს ყველაზე მეტად ჩვენს მოსახლეობას? არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი მწირ და ერთფეროვან საკვებს იღებს. ცუდი კვება იწვევს სასიცოცხლო ფუნქციათა დათრგუნვას, დაავადებებისადმი წინააღმდეგობების დაცემას, პიროვნების ფიზიკურ და გონებრივ დეგრადაციას. ეს განსაკუთრებით მავნეა მოზარდი თაობისათვის. არასრულფასოვანი კვება უარყოფითად მოქმედებს სწავლის პროცესზე. არავის ეგონოს, რომ გონებრივი შრომა, ადამიანის ტვინის მუშაობა ნაკლებ საკვებს მოითხოვს, პირიქით, ამ პროცესის ნორმალური წარმართვისათვის ცილებისა და ვიტამინების გაცილებით მეტი რაოდენობაა საჭირო. აღნიშნული მიზეზის გამო მოიმატა ისეთმა სოციალურმა დაავადებებმა, როგორიცაა ტუბერკულოზი, სისხლნაკლებობა, სხვადასხვა ინფექციები...

სიმბოლური ხელფასების და პენსიების მქონე მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი ერთობ დაბალია, მაშინ, როცა სურსათზე ფასები არაფრით ჩამორჩება საერთაშორისო ფასებს, იმ განსხვავებით, რომ ჩვენს ბაზარზე კვების პროდუქტების უმეტესობა ან ფალსიფიცირებულია, ან გაჯერებულია ქიმიური კონსერვატებით, სტაბილიზატორებით და ემულგატორებით. ახლახან უნივერსიტეტში ჩავატარეთ ყოველნაირი სასმელების და კვების სხვა პროდუქტების ექსპერტიზა, რის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათი 90 პროცენტი უხარისხო, არასტანდარტული და ფალსიფიცირებული იყო.

ასეთ სიტუაციაში ბაზარზე უნდა გამოჩნდნენ სახელმწიფო საწარმოები და სავაჭრო ორგანიზაციები, რომლებმაც აქ იაფი და უსაფრთხო სურსათი უნდა შემოიტანონ. სახელმწიფო უნდა იყოს ბაზრის აქტიური მონაწილე — პროდუქციის მწარმოებელიც, შემომტანიც და გამსაღებელიც. საჭიროა ქართველი გლეხის ფინანსური ხელშეწყობა, ადგილობრივი მეწარმის დაცვა, რათა მათ სასარგებლოდ მოხდეს მოგების გადანაწილება. საქმე ისაა, რომ მსოფლიო პრაქტიკისაგან განსხვავებით ჩვენში ლომის წილ მოგებას პროდუქციის მწარმოებელი კი არა, ვაჭარი, ანუ, აწ დაწუნებული ტერმინი რომ ვიხმაროთ, სპეკულიანტი იღებს.

იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სასურსათო სიტუაცია, დაეძლიოთ ადამიანების კვებაში ცილების დეფიციტი, შეღავათი მიეცეთ ხალხს — მოვამარაგოთ იგი იაფი და სრულფასოვანი სურსათით, საჭიროა სახელმწიფოსა და მეცნიერთა თანამშრომლობა, შედეგად შესაძლებელია ყოველმხრივ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ორგანიზება, ურომლისოდაც საქართველოს მომავალი არ უწერია. პრივატიზებმია იმის მტკიცება, რომ ყველა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას საბაზრო ურთიერთობანი მოაწესრიგებს. განუკითხაობის ატმოსფეროში მხოლოდ მაფია და კრიმინალური ელემენტები, სტიქიური საზოგადოებრივი პროცესების დროს მღვრიე წყალში იჭერენ ოქროს თევზებს.

***— არის თუ არა შესაძლებელი იაფი და ბიოლოგიურად სრულფასოვანი და უსაფრთხო ცილოვანი სურსათის წარმოება, რომელიც, ერთის მხრივ, სავსებით ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ სახის სურსათი აღმოფხვრის ადამიანის კვებაში არსებული ცილების მწვავე დეფიციტს?***

— ამ პრობლემის გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია, თუ საქართველოს პრეზიდენტი დაინტერესდება ზემოაღნიშნულით და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აღმოუჩენს საჭირო დახმარებას, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს თავის კედლებში რეალიზაცია გაუკეთოს თავისსავე ინოვაციურ ტექნოლოგიებს ახალი სახის მნიშვნელოვნად იაფი და მაღალხარისხოვანი ცილოვანი კვების პროდუქტების საწარმოებლად. უნდა ითქვას, რომ ეს სიახლე ეფუძნება ერთობ დაბალი ეფექტიანობის ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამსტადიური (მემცენარეობა-მეცხოველეობა-კვების პროდუქტი) ციკლის უფრო მარტივ და მოკლე ორსტადიურ (მემცენარეობა-კვების პროდუქტი) ციკლად შეცვლის შესაძლებლობას, სადაც გამოტოვებულია მეცხოველეობა. ამ სქემის განხორციელებისას ხდება მემცენარეობის პროდუქციის (სოია და სხვა) პირდაპირი ტრანსფორმაცია ხორცისა და რძის პროდუქტების ანალოგებად, სადაც გამორიცხულია რაიმე დანაკარგები, მაშინ, როდესაც ტრადიციული ტექნოლოგიის დროს, იკარგება ნედლეულში მყოფი ცილების 70-90 პროცენტი. ადვილი წარმოსადგენია ფინანსების და დროის რა უზარმაზარ ეკონომიასთან გვაქვს საქმე. სწორედ ამით აიხსნება, რომ ახალი ტექნოლოგიის განხორციელება საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ ცილოვანი სურსათი, რომლის რეალიზაცია შესაძლებელია 2 — 5-ჯერ უფრო დაბალ ფასებში. ამ ინიციატივის მხარდაჭერა ხალხზე ზრუნვის საუკეთესო გამოხატულება იქნება.

***— თქვენ იმის თქმა გსურთ, რომ მეცნიერთა მიღწევების ხორცშესხმა თავად მეცნიერებმა უნდა განახორციელონ? განვითარებულ ქვეყნებში თუ გვზულებათ ამის ანალოგები?***

— საწყის ეტაპზე ეს იქნებოდა მეცნიერულ სიახლეთა რეალიზაციის იდეალური ვარიანტი. ამიტომაც, ასე თუ ისე სოლიდურ მეცნიერულ ორგანიზაციებს, როგორც წესი, აქვთ საცდელი საწარმოები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღირსია ჰქონდეს ასეთი ექსპერიმენტული საწარმო, რომელიც მრავალმხრივ სასარგებლო ფუნქციას შეასრულებს. აქ შესაძლებელია და აუცილებელიც, მოეწყოს ადგილობრივი ნედლეულის უნარჩენო გადამუშავებისა და ახალი სახის კვების პროდუქტის საჩვენებელ-სამაგალითო წარმოება, სადაც განხორციელდება სუპერთანამედროვე ტექნოლოგიები და ჩვენი ნოუ-ჰაუ. აქედან მოხდება შემდგომში ამ ტექნოლოგიების ფართო ტირაჟირება ქვეყნის მასშტაბით. აქ იმუშავებენ და პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან უნივერსიტეტის შესაბამისი სპეციალობების სტუდენტები. ამით შესაძლებელი გახდება უმაღლესი სკოლის მეცნიერების თვითდაფინანსება. მრავალი წლის წინათ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მეცნიერულ მუშაობას ვეწეოდი, ყველგან, სადაც მომიხდა ყოფნა უნივერსიტეტებში, კვების ფაკულტეტებთან მუშაობდნენ მცირე სიმძლავრის საწარმოები — ხორცის გადამამუშავებელი, საკონსერვო ქარხანა, საკონდიტრო, ნაყინის და რძის პროდუქტების წარმოება და ა.შ. მსოფლიოში განთქმული მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (სადაც შეიქმნა ამერიკული წყალბადის ბომბი) გარშემო განლაგებულია მთელი რიგი საწარმოები, სადაც უმაღლესი სკოლის მეცნიერთა მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით მსოფლიოში ცნობილ პროდუქციას უშვებენ.

***— იდეა, იცოცხლეთ, მშვენიერია, მაგრამ როგორ გაქვთ წარმოდგენილი ყოველივე ამის რეალიზაცია, იგი ხომ მნიშვნელოვან ფინანსურ სახსრებს მოითხოვს, რომელთა გაღება სახელმწიფოს არ შეუძლია?***

— ჩვენ ამ სახსრებს სახელმწიფოს არ ვთხოვთ, ჩვენ ვთხოვთ საქართველოს მთავრობას, რათა ამ პროექტის რეალიზაცია მდიდარი ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების და განვითარების ფონდების შემწეობით მოხდეს. მსოფლიოში ამგვარი პრაქტიკა დიდი ხანია არსებობს და კარგ შედეგებსაც იძლევა.

ამჟამად, მსოფლიოს ეკონომიურად ყველაზე უფრო განვითარებულ შვიდ ქვეყანას ნებაყოფლობით აღებული აქვს ვალდებულება, რათა ღსთ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, გაუწიონ უსასყიდლო ფინანსური დახმარება, ამას წინათ უკვე იყო ასეთი პრეცედენტი: იაპონიის ელჩმა ტაპირო ტოგიმ საქართველოს პრეზიდენტს ამ დახმარების ხაზით, ორი მრავალმილიონიანი გრანტი გადასცა.

საქართველოს მთავრობის სათანადო ინიციატივის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ გაერთიანებული ერების სასურსათო ორგანიზაციამ (FAO), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდმა (IFAD) და სხვა განვითარებულმა ქვეყნებმაც გაგვიწიონ დახმარება სურსათის წარმოების სფეროში ინოვაციურ ტექნოლოგიათა სარქალიზაციოდ. თუ ჩვენი პრეზიდენტი დაეხმარება საქართველოს უმაღლესი სკოლის ფლაგმანს, მწამს, რომ ჩვენი პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ოცნებას ფრთები შეესხმება. ბატონ ედუარდს, რომ ყველა ქვეყანაში პატივს სცემენ, ამაში საკუთრივ მეც დავრწმუნდი, როცა ამას წინათ ეგვიპტეში მომიხდა ყოფნა, სადაც ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის ვიცე-პრემიერმა ბატონმა იუსეფ ვალიმ აუდიენცია მომიწყო. მან დიდი სიმპათიები გამოხატა ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიმართ, როგორც მსოფლიო მასშტაბის ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ და შორსმჭვრეტელ პოლიტიკურ მოღვაწეზე, როგორც არაბული სამყაროს დიდ მეგობარზე.

მე მწამს, რომ ჩვენი იდეის ხორცშესხმაში გადამწყვეტ როლს ჩვენი პრეზიდენტის მაღალი საერთაშორისო იმიჯი და პირადი ავტორიტეტი ითამაშებს.

უნივერსიტეტის ამ წინადადების რეალიზაცია იმითაცაა საგულისხმო, რომ როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, სწორედ მეცნიერული პროგრესის და ახალ ტექნოლოგიათა რეალიზაციის შედეგად ერთ დროს ჩამორჩენილმა ქვეყნებმა ჭეშმარიტ პროგრესს და ეკონომიკურ სასწაულსაც კი მიაღწიეს. იაპონიის, ისრაელის, სამხრეთ კორეის და ბოლოს ჩინეთის მაგალითები ამის ნათელი დასტურია. ამიტომაც, როცა საქმე ფინანსების ოპტიმალურ გამოყენებაზე მიდგება, უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიათა რეალიზაცია და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება ის სფეროა, რომლისკენაც, პირველ რიგში, უნდა იყოს მიმართული გრანტები, ინვესტიციები თუ კრედიტები.

საქართველომ მას შემდეგ, რაც იგი დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, რადიკალურად უნდა შეცვალოს მეცნიერების განვითარების ორიენტირები, გამოკვეთოს საკუთარი პრიორიტეტები, რომლებიც ხალხის და ქვეყნის უტილიტარული ინტერესებიდან გამომდინარეობს, ის, რაც ჩვენ ეკონომიკას და წარმოებას სჭირდება.

***— ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს შარშანდელ საუბარს, რომელიც ძირითადად ამავე საკითხებს — ქვეყნისა და ჯარის დაპურებას ეხებოდა. რა რეზონანსი ჰქონდა ამ ინტერვიუს? მითხრეს, ამ პრობლემამ საქართველოს პრეზიდენტის ყურადღება მიიპყრო. თუ ეს მართალია, რა შედეგი მოჰყვა ჩვენს მცდელობას?***

— დიახ, პრეზიდენტის რეაგირება ელვისებური, საქმიანი და სრულიად კონკრეტული იყო, რომელიც 1996 წლის 9 სექტემბრით თარიღდება: „შეისწავლეთ, განვიხილავთ მთავრობის სხდომაზე. ვადა — 10 დღე. ჩართეთ აპარატი“. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეზოლუცია კონტროლზე იყო აყვანილი, აპარატმა ეს საკითხი დიდხანს აცოდვილა, პრეზიდენტის დავალება არ შესრულდა, საკითხი მთავრობის სხდომაზე არ განუხილავთ. სამწუხაროდ, ისტორია მეორდება, რომელიც უკვე სამიში კანონზომიერების ტენდენციას იღებს. საქმე ის არის, რომ 1993 წლიდან მოყოლებული ერთ და იმავე საკითხზე ჩვენ ბატონ ედუარდ შევარდნაძის სამი რეზოლუცია დავგიგროვდა, რომელთაგან საქმის და უნივერსიტეტის სასიკეთოდ არც ერთი არ შესრულებულა. ჩვენი სურვილი — სწორ ლიანდაგზე დამდგარიყო საქართველოში კვების მრეწველობის სრულიად ახალი დარგის — ხორცის და რძის პროდუქტების ანალოგების წარმოების დაფუძნება და მეცნიერულ საფუძველზე მისი განვითარება, ქვიმაზე დასხმული წყლის მსგავსად ყოველთვის უკვალოდ უჩინარდება. ერთადერთი, რაც უშიშროების საბჭოს მეცადინეობით შესრულდა, ესაა თავდაცვის სამინისტროს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება, რაც თავისთავად დიდი საქმის დასაწყისია.

სამწუხაროდ, თავდაცვის სამინისტრო თავის ფინანსურ ვალდებულებებს დიდი დაგვიანებით ასრულებს, რაც საქმეს ძალიან ვნებს.

***— მიჭირს დაჯერება. პრეზიდენტის სამი უაღრესად საქმიანი რეზოლუცია და უშედეგოდ? კი მაგრამ, ვინ აკეთებს ამას და რატომ? კონკრეტულად რას ითვალისწინებს უნივერსიტეტის წინადადებები ქართული ჯარის მშენებლობასთან დაკავშირებით?***

— მე მეცნიერი კაცი ვარ და მხოლოდ ფაქტებს მოგახსენებთ.

თავდაცვის სამინისტროს შევთავაზეთ ჩვენი სამსახური არმიის სურსათით უზრუნველყოფის კონცეფციის შემუშავების, მისი კვების სტრუქტურის და ხარისხის გაუმჯობესების, მისი გაიაფების, აგრეთვე პირადი შემადგენლობისათვის მაღალეფექტური ბუნებრივი სამკურნალო საშუალებებით მომარაგების მიმართულებით.

ჯარის სათანადოდ აღჭურვა, მისი მომსახურება, პირადი შემადგენლობის ჩაცმა-დახურვა, ნორმალურად გამოკვება დიდ ფინანსურ სახსრებს მოითხოვს. პრობლემას ამძიმებს სუბიექტური ფაქტორიც: ელცინის არ იყოს, ჩვენს ჯარშიც იგივე რომ არ მოხდეს — ჯარისკაცი დასუსტდეს, გენერალი კი გასუქდეს. ის მცირე თანხა (2 ლარი დღეში), რაც სახელმწიფომ კვებაზე გამოყო, ჯარისკაცამდე სრულად უნდა მივიდეს. ჩვენთან ხშირია შემთხვევები, როცა გაქნილი საქმოსნები ატყუებენ კვების პროდუქტების ხარისხის შეცნობაში გამოუცდელ სამხედრო ინტენდანტებს, რის შედეგად სახელმწიფო ზარალდება. მდგომარეობის გამოსასწორებლად სურსათით მომარაგების და პირადი შემადგენლობის კვების დარგში საჭიროა შეიქმნას მთავარი ინსპექტორის პოსტი, რომელიც სამოქალაქო პირმა- მეცნიერმა და სპეციალისტმა უნდა დაიკავოს. იგი ღრმად უნდა ერკვეოდეს ჯარისკაცის კვების პრობლემატიკაში და ჰქონდეს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლება. საერთოდ კი მიმაჩნია, რომ ჯარის შესანახი და მისი მშენებლობისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლის და არმიაში კორუფციის შემთხვევათა გამოვლინების, მათი აღკვეთის მიზნით, მიზანშეწონილია უმაღლესი მთავარსარდლის დაქვემდებარებაში შეიქმნას ახალი საკონტროლო ორგანო — სახელმწიფო სამხედრო ინსპექცია, რომელიც პრეზიდენტის წინაშე იქნება პასუხისმგებელი. ამ ფორმით ასეთი სამსახურის ფუნქციონირების ეფექტიანობა გაცილებით უფრო მაღალი იქნება.

***— მართალია, სიტყვაც საქმეა და ჩვენც ხომ ამდენ ქვეყნის გულშემატკივრობა გვალაპარაკებს, მაგრამ მაინც საქმით, როგორ გესახებათ, რით ეშველება ჩვენს საუბარში წამოჭრილ პრობლემებს?***

— ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ მეცნიერული პოტენციალის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, მაგრამ პრაქტიკულად ამ მიმართებით არაფერს ვაკეთებთ და ბზარი სიტყვასა და საქმეს შორის კატასტროფულად იზრდება. აუცილებლად მიმაჩნია გასაქანი მიეცეს მეცნიერთა ინიციატივას, რათა ამოქმედდეს მათ წიაღში არსებული დღეისათვის გამოუყენებელი ინტელექტუალური კაპიტალი. მეცნიერება საწარმოო ძალაა და მისი ინფანტილურ მდგომარეობაში დატოვება, რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკური და ეკონომიკური სიბეცეა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ინტელიგენცია მატერიალურ სიდუხჭირეში არის, ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემათა გადაწყვეტისათვის ერჩით გული. მე მწამს, რომ ჩვენი პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ შევარდნაძე როგორმე მოიცლის აქ დასმული პრობლემების ბოლომდე გადაწყვეტისათვის. იქნებ ჩვენ ვცდებით, სინამდვილეში კი არა შეგვიძლია რა? ეს ხომ „ბურთმა და მოედანმა“, ანუ მოქმედების ასპარეზის მოცემამ უნდა გადაწყვიტოს?

***— იმ ხალხის ადგილზე რომ ვიყო, ვისაც ამ ინტერვიუში დასმული პრობლემების გადაწყვეტა, ევალება მეც ასე მოვიქცეოდი: თქვენნაირ, თუნდაც ხალხის კეთილდღეობისათვის ესოდენ „მოძალადე“ კაცს ან ბოლომდე ჩავყვებოდი და ვნახავდი „რა ძალა შესწევს ქადილისა“ ანდა ტყუილი ქადილისათვის დავსჯიდი და მეც მოვისვენებდი და სხვაც.***

ესაუბრა
**ნარგიზა მგელაძე**

GCF

# ლაზიერი

№10

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფედერაციაში

# კიდევ ორი საერთაშორისო ოსტატი!

ფიდეს სამდივნომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას აცნობა, რომ საერთაშორისო ოსტატობა მიენიჭათ ქუთაისელ სოფიკო ტყემელაშვილს და თბილისელ დავით ლობჟანიძეს. განხილვის სტადიაშია გიორგი ყაჭეიშვილისთვის საერთაშორისო დიდოსტატის, ხოლო რუსუდან გოლეთიანისთვის საერთაშორისო ოსტატის წოდების მინიჭების საკითხი.

სოფიკო ტყემელაშვილმა წლეულს დაამთავრა ქუთაისის სპორტული ლიცეუმი. ამჟამად საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის აბიტურიენტი, საქართველოს ქალთა წლევანდელი ჩემპიონატის მეორე პრიზიორია. უკვე რამდენიმე წელია, რაც მას გიორგი მენაბდე ამეცადინებს.

დავით ლობჟანიძე 28 წლისაა, ექიმი. საქართველოს ვაჟთა შარშანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზიორი. შარშან წლის ბოლოს და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ჩატარებულ ტურნირებში წარმატებით გამოსვლის შემდეგ მისმა 1 იანვრის რეიტინგმა – 2375 ფანტასტიკური პროგრესი განიცადა. მას 140 პუნქტი მოემატა. 1 ივლისის ოფიციალური მონაცემების მიხედვით დავით ლობჟანიძის რეიტინგი – 2515-ია.



სოფიკო ტყემელაშვილი



დავით ლობჟანიძე

## პრეტენდენტები კასანდრას სამშობლოში?

მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის პრეტენდენტთა ტურნირის მასპინძელი ქვეყნის ძიება უკვე მეორე წელია შედეგს არ იძლევა. ფიდე-ს სამდივნოდან გვაცნობეს, რომ ამ ტურნირით ვენესუელელები დაინტერესდნენ.

2-10 სექტემბერს კიშინიოვში ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართება. თუ ვენესუელა ოფიციალურად არ წამოაყენებს თავის კანდიდატურას, მაშინ ფიდე იძულებული გახდება, პრეტენდენტთა ტურნირი თავისი ხარჯებით ჩაატაროს.

## ედუარდ გუფელდის ოლიმპიური მიზნები

ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, რომ დიდოსტატი ედუარდ გუფელდი უკვე რამდენიმე წელიწადია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, ამის მიუხედავად ის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრად რჩება. გუფელდი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ტურნირებში, წერს წიგნებს.

ახლახან გუფელდმა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს შეატყობინა, რომ სურვილი აქვს თავისი ძალები მოსინჯოს საქართველოს ვაჟთა 1998 წლის ჩემპიონატში. მისი მიზანია საქართველოს ვაჟთა ოლიმპიური გუნდის საგზურის მოპოვება.

## ვულოცავთ!

სამოცდაათი წელი შეუსრულდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის დოცენტს **ზურაბ ჩაჩუას**. იგი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა ცნობილ ბათუმელ მოჭადრაკეს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს **გურამ ჭანტურიას** ეროვნული ოსტატის წოდება მიანიჭა.

## ფიდეს რეიტინგ-ლისტი

# ჩვენი სამეული – დიდ ასეულში

ფიდე წელიწადში ორჯერ აქვეყნებს მოჭადრაკეთა რეიტინგ-ლისტს, რომელშიც ითვალისწინებს მსოფლიოში გამართული მრავალი ტურნირის შედეგებს. დღეისათვის ასეთი რეიტინგი რამდენიმე ათას მოჭადრაკეს ეთვლება.

ფიდე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს 100 საუკეთესო ვაჟის და 50 საუკეთესო ქალი მოჭადრაკის სიას.

თუ ქალთა რეტინგ-ლისტში ქართველი მოჭადრაკეები ყოველთვის სოლიდურად იყვნენ წარმოდგენილი, სხვა მდგომარეობაა ვაჟთა ჭადრაკში. პირველ ასეულში დღემდე საქართველოს ორი მოჭადრაკე ვაჟი იყო – ზურაბ აზმაიფარაშვილი და გია გიორგაძე. სასიხარულოა, რომ მათ რიგებს შეემატა ზურაბ სტურუა.

„ლაზიერის“ ამ ნომერში მკითხველთა თხოვნით გთავაზობთ მსოფლიოს უძლიერესი ვაჟი და ქალი მოჭადრაკეების სიას.

საგრძნობლად აიმაღლა თავისი რეიტინგი გიორგი ყაჭეიშვილმა.



მისი რეიტინგი – 2550 საფუძველს იძლევა, ასეულში მალე მეოთხე ქართველი მოჭადრაკეც ვიხილოთ. გენადი ზაიჩიკის რეიტინგია – 2540, ელიზბარ უბილავასი – 2520, თამაზ გიორგაძის – 2515, დავით ლობჟანიძის – 2515.

50 საუკეთესო ქალს შორის ექვსი ქართველი მოჭადრაკეა. იმედია, წლის ბოლოს მათ რიგებს შეუერთდებიან მაია ლომინეიშვილი – 2350 და ნატო ეძგვერაძე – 2340.

**სურათზე:** ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე და ზურაბ სტურუა.

(იხილეთ მე-8 გვ.)

## ინფორმაცია

### ზურაბ აზმაიფარაშვილი – მეორე ადგილზე

სლოვენიის ქალაქ ლუბლიანაში დამთავრდა მე-15 კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი. მასში 6 დიდოსტატი ორ წრედ ასპარეზობდა. დიდოსტატ ზურაბ აზმაიფარაშვილის მეტოქეები იყვნენ ალექსანდრე ბელიავსკი და გეორგ მორი (ორივე სლოვენია), ალექსანდრე ჩერნინი (უნგრეთი), ძდენკო კოჟული (ხორვატია) და ვადიმ ზვიაგინცევი (რუსეთი).

6,5 ქულით პირველი ადგილი ზვიაგინცევმა დაიკავა. 5,5 ქულით ზურაბ აზმაიფარაშვილმა მეორე შედეგი აჩვენა. ამდენივე ქულით მესამე ადგილზეა კოჟული.

### არჩილ წერეთელმა ყველა პარტია მოიგო

გუშინწინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს პირველობა სენიორთა შორის. ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად გაიმართა. ყოველგვარი კონკურენციის გარეშე იასპარეზა ცნობილმა თბილისელმა მწვრთნელმა არჩილ წერეთელმა. მან შვიდივე პარტია მოიგო. II-V ადგილები – 4,5-4,5 ქულით გაიყვეს გიორგი ელიოსიძემ, რევაზ სიგუამ, ნოდარ ალდგომელაშვილმა და ნოდარ გოგაძემ. კოეფიციენტების სისტემამ ისინი ამ თანმიმდევრობით გაანაწილა სატურნირო ცხრილში. შეჯიბრება დაამშვენა საერთაშორისო ოსტატ ალა ჩაიკოვსკაიას მონაწილეობამ.

**თამარ მეშვილდიშვილი.**

## სამი ტურით ადრე

პოლონეთის ქალაქ ზაგანში დასასრულს უახლოვდება მსოფლიო ჩემპიონატი 20 წლის მოჭადრაკეთა შორის. საქართველოდან ტურნირში ასპარეზობენ ევროპის შარშანდელი ჩემპიონი მაია ლომინეიშვილი, დიანა დარჩია და გიორგი ყაჭეიშვილი. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 13 ტურად ტარდება. გოგონათა ტურნირში 9 ტურის შემდეგ 7 ქულით მაია ლომინეიშვილთან ერთად დაწინაურდნენ პოლონელი იოანა დვორაკოვსკა და ერევნელი დიდოსტატი ელინა დანიელიანი. მეათე ტურში, სამწუხაროდ, მაია დამარცხდა. ამ ტურში დიანა დარჩიამ გამარჯვებას მიაღწია და ახლა მას 6 ქულა აქვს.

მეათე ტურის პარტია გიორგი ყაჭეიშვილმაც მოიგო და 6,5 ქულით ლიდერთა ჯგუფს შეუერთდა.

დარჩენილ სამ ტურში წარმატებით თამაშის შემთხვევაში ჩვენი მოჭადრაკეები მედლების მოპოვების შანსს ინარჩუნებენ.

## ანონსი

# ცხელი აგვისტო

მომავალ თვეში ჭადრაკის ქართველ გულშემატკივართა ყურადღება არგენტინის და ესტონეთისკენ იქნება მიპყრობილი.

არგენტინაში 5 აგვისტოს სტარტს აიღებს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი 26 წლამდე მოჭადრაკეთა შორის. ჩვენი ნაკრები წინა ჩემპიონატის გამარჯვებულია და ამჯერადაც წარმატების იმედი გვაქვს.

9 აგვისტოს კი ტალინში 10, 12, 14, 16 და 18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყება. [illegible] ახალგაზრდებს თავის გამოჩენის [illegible] შესაძლებლობა ეძლევათ [illegible], იმედია, ისინი შანსს ხელიდან არ გაუშვებენ.

ზაფხულის ბოლო თვე საერთაშორისო ტურნირების სიუხვითაც გამოირჩევა. თითქმის ყველა ქართველი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი სხვადასხვა ევროპულ ტურნირში იასპარეზებს.

ფიდეს რეიტინგ-ლისტი

# ჩვენი სამეული – დიდ ასეულში

**ვაჟები**

1. გ. კასპაროვი 2820
2. ვ. კრამნიკი 2770
3. ვ. ანანდი 2765
4. ვ. ტოპალოვი 2745
5. ა. კარპოვი „ –“
6. ვ. ივანჩუკი 2725
7. გ. კამსკი 2720
8. ა. ბელიავსკი 2710
9. ა. შიროვი 2700
10. ბ. გელფანდი 2695
11. მ. ადამსი 2680
12. ვ. სალოვი „ –“
13. კ. გეორგიევი 2670
14. ი. პოლგარი „ –“
15. ე. ბარეევი „ –“
16. მ. სადლერი 2665
17. ვ. აკოფიანი 2660
18. ა. ალექსანდროვი „ –“
19. ნ. შორტი „ –“
20. პ. სვიდლერი „ –“
21. ჟ. ლოტიე „ –“
22. ლ. ვან ველი 2655
23. ა. ხალიფმანი „ –“
24. ა. ერმოლინსკი 2650
25. ს. რუბლევსკი „ –“
26. მ. კრასენკოვი 2645
27. ე. როზენტალისი „ –“
28. ლ. ოლლი „ –“
29. **ზ. აზმაიფარაშვილი**„-“
30. ა. ჩერნინი 2640
31. ა. იუსუპოვი „ –“
32. რ. ვაგანიანი „ –“
33. უ. ანდერსონი „ –“
34. ა. დრეევი „ –“
35. ი. სოკოლოვი 2635
36. პ. ლეკო „ –“
37. ვ. ზვიაგინცევი „ –“
38. ვ. მილოვი „ –“
39. ი. პიკეტი 2630
40. ი. სპილმენი „ –“
41. პ. ნიკოლიჩი „ –“
42. ი. სეირავანი „ –“
43. ა. ონიშჩუკი 2625
44. **გ. გიორგაძე** „ –“
45. ი. ტიმანი „ –“
46. ხ. გრანდა ზუნიგა „ –“
47. მ. გურევიჩი 2620
48. ჯ. ნანი „ –“
49. ვ. მალანიუკი 2615
50. ზ. ალმაში „ –“
51. ს. დვოირისი „ –“
52. ბ. ალტერმანი „ –“
53. ვ. ტკაჩოვი „ –“
54. ვ. კორჩნოი 2610
55. ი. იაკოვიჩი „ –“
56. ი. ელვესტი „ –“
57. ლ. იუდასინი „ –“
58. ა. ხუზმანი „ –“
59. ლ. პორტიში „ –“
60. უ. ადიანტო „ –“
61. ზ. კოზული 2605
62. ფ. ნიჯბოერი „ –“
63. ი. ჰიარტარსონი „ –“
64. ზ. ჰრაჩეკი „ –“
65. ბ. ლალიჩი 2600
66. ლ. ნისიპეანუ „ –“
67. ა. ფედოროვი „ –“
68. ი. სმირინი „ –“
69. ი. მოროვიჩი „ –“
70. გ. კაიდანოვი „ –“
71. გ. ჰანსენი „ –“
72. ი. დორფმანი„ –“
73. დ. კომაროვი „ –“
74. ვ. სპასოვი „ –“
75. ა. მაილსი 2595
76. რ. დაუტოვი „ –“
77. მ. ვალსი „ –“
78. ა. გოლდინი „ –“
79. ა. ვიქმანავინი „ –“
80. ს. ატალიკი 2590
81. ი. ჰოდგსონი „ –“
82. ე. სუტოვსკი „ –“
83. ს. ვინგორნი „ –“
84. ი. პინტერი „ –“
85. ქ. ლუტცი „ –“
86. ი. ნოვიკოვი „ –“
87. ე. კენგისი „ –“
88. კ. საკაევი „ –“
89. ა. მოროზევიჩი „ –“
90. ს. ტივიაკოვი „ –“
91. გ. მილოსი „ –“
92. ი. იბრაგიმოვი 2585
93. ვ. ბოლოგანი „ –
94. ლ. ფტაჩნიკი „ –“
95. ვ. კოტრონიასი „ –“
96. ა. შაბალოვი „ –“
97. მ. ილესკასი „ –“
98. ა. ნენაშევი „ –“
99. ა. სოკოლოვი „ –“
100. **ზ. სტურუა** „ –“
101. ს. ლპუტიანი „ –“
102. ფ. ჰელერსი „ –“
103. ე. ვლადიმიროვი „ –“

**ქალები**

1. ი. პოლგარი 2670
2. ჟ. პოლგარი 2565
3. **მ. ჩიბურდანიძე** 2525
4. პ. კრამლინგი 2520
5. **ნ. იოსელიანი** „ –“
6. ჩუ ჩენი 2515
7. სე ჯუნი 2495
8. ს. პოლგარი 2475
9. ს. მატვეევა 2470
10. კ. პეპტანი 2460
11. ა. მარიჩი „ –“
12. ა. სტეფანოვა 2450
13. ა. გალიამოვა 2445
14. **ქ. არახამია** 2430
15. ქ. ფოიშორი 2415
16. **ქ. კახიანი** „ –“
17. **ნ. ხურციძე** „ –“
18. ნ. ბოიკოვიჩი „ –“
19. ნ. ლაკოში „ –“
20. ე. დონალდსონი – ახმილოვსკაია 2410
21. ი. ლევიტინა 2405
22. ე. სედინა 2400
23. ზ. პენგი „ –“
24. ვ. მისანოვიჩი 2395
25. ტ. ვასილევიჩი 2390
26. ა. სკრიპჩენკო 2385
27. ი. კადიმოვა „ –“
28. ს. პრუდნიკოვა „ –“
29. ტ. შუმიაკინა „ –“
30. ე. დანიელიანი 2380
31. ა. ბრუსტმანი „ –“
32. ლ. კალინინა „ –“
33. პ. ვანგი „ –“
34. ს. ვაიდა 2375
35. ი. მადლი „ –“
36. ს. ლალიჩი „ –“
37. ე. პიტამი „ –“
38. ე. ბორულია „ –“
39. ლ. ვანგი „ –“
40. **ნ. გურიელი** 2370
41. კ. ქვინი „ –“
42. კ. ამურა 2365
43. ი. გაპონენკო „ –“
44. ვ. რამონი „ –“
45. ჰ. ჰანტი 2360
46. მ. ბობროვსკა „ –“
47. ლ. ზაიცევა „ –“
48. გ. ოლარასუ 2355
49. **ნ. გაფრინდაშვილი** „ –“
50. ა. ბელაკოვსკაია „ –“
51. ე. ბერენდი „ –“
52. ზ. ლელჩუკი „ –“
53. ი. დიომინა „ –“

დასასრული.
დასაწყისი იხ. მე-7 გვ.

ინტერვიუ

**ამას წინათ პოლონეთის ქალაქ სვიდნიცაში დამთავრდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 200-მდე დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა. მოასპარეზეთა შორის იყო ჩვენი თანამემამულე ზურაბ სტურუა. მან 10 შესაძლებლიდან 7,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა, მხოლოდ უკრაინელმა ვლადიმირ მალანიუკმა გაუსწრო ნახევარი ქულით.**

**ამჟამად ზურაბ სტურუა მეუღლესთან — დიდოსტატ ნინო გურიელთან ერთად შვეიცარიაში ბილის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს, იქიდან კი ბერლინის საერთაშორისო ტურნირზე გადაინაცვლებს.**

**შვეიცარიაში გამგზავრებამდე ვესაუბრეთ ბატონ ზურაბ სტურუას.**

# გზა — დიდოსტატური

– ჩემი ბავშვობისას ეზოში ხშირად იყრიდნენ თავს უფროსები და თავდავიწყებით თამაშობდნენ ჭადრაკს – იგონებს დიდოსტატი – ვუყურებდი მათს ორთაბრძოლებს. ასე ვისწავლე ჭადრაკის თამაში დამოუკიდებლად ხუთი თუ ექვსი წლისამ. ჩემი დაინტერესება რომ შენიშნეს, მშობლებმა „განთიადის“ საჭადრაკო კლუბში მიმიყვანეს ოთარ ალხანიშვილთან.

*— როგორ ფიქრობთ, იღბლიანი გამოდგა თქვენთვის ეს გზა?*

– ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილო არ ვარ. 15 წლისამ პირველად ვიასპარეზე საქართველოს პირველობაზე და ჩემპიონი გავხდი. მომდევნო წლებში კიდევ ოთხჯერ მოვიპოვე ეს ტიტული. 1982 წელს საერთაშორისო ოსტატის წოდება მომანიჭეს, 1991 წელს კი – საერთაშორისო დიდოსტატისა. რამდენიმე საერთაშორისო ტურნირიც მოვიგე, მათ შორის შარშან ბილისა და ბერლინისა, სადაც ახლა ნინოსთან ერთად მივემგზავრები.

*— ამ ტურნირებზე, ალბათ, ორმაგად გექნებათ სანერვიულო: ჯერ ერთი, რომ მეუღლის თამაშზეც უნდა იდარდოთ და, მეორეც, თქვენ ხომ საუკეთესო მოჭადრაკეთა ასეულის წევრი ბრძანდებით და...*

– როცა ნინოსთან ერთად გამოვდივარ ტურნირზე, ცხადია, განცდები მეტია. ასე იქნება ამჯერადაც, ამის მიუხედავად, მაინც წარმატებისთვის ვიბრძოლებ, რომ საუკეთესოთა ასეულში ადგილი შევინარჩუნო.

*— საჭადრაკო ცხოვრებიდან რას გაიხსენებდით?*

– ყველაზე მეტად 1975 წელი დამამახსოვრდა. გარდა იმისა, რომ მაშინ საქართველოს ჩემპიონი გავხდი, თბილისში საკავშირო ტურნირშიც ვიასპარეზე. ბოლო ტურში თუ გავიმარჯვებდი, სპორტის ოსტატის ნორმატივს ვასრულებდი. მეტოქედ ცნობილი დიდოსტატი რატმირ ხოლმოვი მყავდა. ჩემდა ბედად, იგი სათამაშოდ საკმაოდ შეზარხოშებული მოვიდა. ამით ვისარგებლე და დაახლოებით მე-20 სვლისათვის, ფაქტობრივად, მოგებული პოზიცია მივიღე, მაგრამ ხოლმოვი ნელ-ნელა გამოფხიზლდა. მან ჯერ გაათანაბრა პოზიცია, შემდეგ უპირატესობაც მიიღო და მომიგო.



*— ხშირად წაგიგიათ ასეთი გადამწყვეტი პარტია?*

– შარშან ერევანში, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე, ბოლო ტურში უზბეკებს შევხვდი. სამწუხაროდ, საიდალი იულდაშევთან დავმარცხდი. ის პარტია რომ მომეგო, ალბათ, ბრინჯაოს მედლებს მოვიპოვებდით.

*— თქვენს დიდოსტატურ ოჯახში თქვენი მეუღლე უფრო ტიტულოვანია. ხომ არ „გშურთ“?*

– რას ამბობთ, ის კი არა, გული მწყდება, რომ ნინოს მედლები მისი ნიჭის ექვივალენტური არ არის. ვფიქრობ, მას თავის გამოჩენის საშუალება კიდევ არაერთხელ ექნება.

*— ბატონო ზურაბ, ახლა ბევრს ლაპარაკობენ მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ილუმინოვისეულ სისტემაზე, რომელსაც მომხრეც ბევრი ჰყავს და მოწინააღმდეგეც. თქვენ რომელ ბანაკს ეკუთვნით?*

– ჩემპიონატის ჩატარების უნიკალური ფორმა არ არსებობს. ცხადია, ილუმჟინოვის „ნოკაუტ-სისტემასაც“ აქვს თავისი უარყოფითი მხარეები, მაგრამ ამ ეტაპზე მსოფლიო ჩემპიონატის ამგვარად ჩატარება გამართლებულია, რადგან ჭადრაკი ამით უფრო დინამიური ხდება და სპორტს ემსგავსება, თანაც მოჭადრაკეებისთვისაც მეტი სტიმულია – პროფესიონალებს ფულის შოვნის დამატებითი საშუალება ეძლევათ.

*— კასპაროვმა რომ უარი თქვა ჩემპიონატში მონაწილეობაზე?*

– ეს მისი საქმეა. ვერ გეტყვით, მსოფლიო ჩემპიონს შეეშინდა-მეთქი, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ოლიმპიური სისტემით ჩატარებულ შეჯიბრებაში, სადაც პარტიათა რაოდენობა მინიმალურია, შემთხვევითობის ფაქტორი იზრდება.

ისე, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ მარტო ჭადრაკი კი არ უნდა იმსახურო, არამედ, მისთვისაც შეძლო ამბიციების დათმობა.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**

ინფორმაცია

# „გოშა“ ნონასთან ერთად

წლეულს მეორედ ჩატარდა ევროპის კლუბების თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის. ჭადრაკის მოყვარულებს რა თქმა უნდა ახსოვთ, რომ შარშან თბილისის „მერანმა“ I-II ადგილები გაიყო. სამწუხაროდ, წლეულს შეუძლებელი აღმოჩნდა საქართველოდან ამ ტურნირში გუნდის წარდგენა. ნუგეშად ის უნდა ვიკმაროთ, რომ თასის მფლობელი გახდა იუგოსლავიის კლუბი „გოშა“, რომლის შემადგენლობაშიც წარმატებით ითამაშა ნონა გაფრინდაშვილმა.

ევროპის კლუბების თასი ვაჟთა და ქალთა შორის სულ უფრო პოპულარული ხდება. მართალია, საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია რეგულარულად ატარებს საქართველოს საკლუბო ჩემპიონატს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერ ხერხდება შეძლებული ფირმების და ორგანიზაციების დაინტერესება. ეს, მით უმეტეს სამწუხაროა, რადგან ძლიერი ქალთა გუნდის ჩამოყალიბების შემთხვევაში ნებისმიერ ფირმას დიდი რეკლამის გაკეთება შეუძლია.

აბიტურიენტი -97

# მეორე შემხვედა

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში არსებობს ჭადრაკის სპეციალიზაცია, რომელიც არსებობის მეოცე წელს ითვლის. მას წლების მანძილზე ხელმძღვანელობს საერთაშორისო არბიტრი დოცენტი თენგიზ გიორგაძე. ამ ხნის მანძილზე განყოფილება დაამთავრა მრავალმა მოჭადრაკემ და მწვრთნელმა, მათ შორის ზურაბ აზმაიფარაშვილმა, გია ბალათუროვმა, იგორ ეფიმოვმა, ნოდარ გელენავამ და სხვ.

აკადემიაში უკვე დაიწყო მისაღები გამოცდები, მიმღები კომისიის წინაშე წარსდგებიან ჭადრაკის სპეციალიზაციის აბიტურიენტებიც.

**გივი ნემსაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონულ ფედერაციებში

# კარგი თაოსნობა

რუსთავის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა რუსთავის ჭადრაკის ფედერაციასთან ერთად მეტად საინტერესო ღონისძიებას ჩაუყარა საფუძველი.

მეტალურგთა კულტურის სასახლის ცისფერ დარბაზში 62 მოხლის ციხფერ ... მოჭადრაკე ჩაება ტურნირში, რომელშიც მეტად ორიგინალური პრიზები იყო დაწესებული. შეჯიბრებაში ყველა ასაკის მოჭადრაკეები ასპარეზობდნენ.

8,5 ქულით 9 შესაძლებლიდან გაიმარჯვა ხვიჩა ფოლადაშვილმა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა რობერტ ლომიძე. მესამე ადგილზეა ვეტერანი მოჭადრაკე სურენ სააკიანი. ჯილდოებიც შესაფერისი იყო – „ფილიპსის" ფირმის ვიდეომაგნიტონი, „კოდაკის" ფირმის ფოტოაპარატი და ასე შემდეგ.

მრავალშვილიან მოჭადრაკეებში საუკეთესო შედეგების მქონემ ერთი ტომარა შაქრის ფხვნილი მიიღო, ქალაქის იმ უბნის მოჭადრაკეებს, რომლებიც რიცხობრივად აღემატებოდნენ სხვა უბნის მოჭადრაკეებს, 100 ბოთლი ლუდი გაუგზავნეს. ლამაზი თამაშისათვის ქალბატონმა თათუნა ლეჟსაიამ ერთი ტომარა ფქვილი მიიღო.

ტურნირის საზეიმო დახურვაზე ყველა კმაყოფილი ჩანდა. იმედია, სხვა ქალაქების ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტებიც მიბაძავენ მათი რუსთაველი კოლეგების ამ საინტერესო წამოწყებას.

# „ქობულეთი-97"

ქობულეთში ნანა იოსელიანის და ზურაბ აზმაიფარაშვილის სახელობის საჭადრაკო სკოლის გახსნის შემდეგ რეგულარულად ტარდება სხვადასხვა სახის ტურნირები. 10 ივნისიდან კი ქობულეთში ამ სკოლამ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან ერთად ჩაატარა საერთაშორისო ტურნირი „ქობულეთი-97". შეჯიბრებაში აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს 72 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

ძირითად ტურნირში 9 თამაშიდან 7,5 ქულით სენაკელმა საერთაშორისო ოსტატმა რომან სიჭინავამ გაიმარჯვა. მას ქულით ჩამორჩნენ ვალერი გაფრინდაშვილი და ვახტანგ ჩიქოვანი. ქალთა მორის დაწესებული პრიზი სოფიკო გოგიტიძემ (ქობულეთი) მიიღო.

10 წლის მოჭადრაკეებში 8 ქულით ბაქოელმა ფარხად ტახიროვმა გაიმარჯვა. გოგონებში უძლიერესი იყო ბათუმელი სალომე მელია.

14 წლის მოჭადრაკეებში 7 ქულით პირველ ადგილზეა მიხეილ ქანთარია (ბათუმი), გოგონებში საუკეთესო შედეგი აჩვენა ნინო ბაციაშვილმა (ბათუმი).

ტურნირის საზეიმო დახურვაზე გამარჯვებულებს გადაეცათ სპეციალური პრიზები, რომლებიც ქობულეთის გამგებელმა ტარიელ ხალვაშმა დააწესა.

ამ ზაფხულს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ქობულეთის ნანა იოსელიანის და ზურაბ აზმაიფარაშვილის სახელობის საჭადრაკო სკოლის ბაზაზე კიდევ სამ ტურნირს ჩაატარებს: 30.07-8.08; 10-19.08 და 21-31.08.

მოჭადრაკეებს, განსაკუთრებით კი ნორჩებს აქტიური დასვენების შესანიშნავი შესაძლებლობა ექმნებათ და იმედია, მათი მშობლები ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებენ.

ინფორმაცია ქობულეთის ტურნირების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ თბილისში (99-95-21) და ქობულეთში (6-68-51).

შედევრი

# შორს გამიზნული მანევრით

მიხაილ გურევიჩი ადრე ხარკოვში ცხოვრობდა და მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის „შტაბის" წევრიც იყო. შემდეგ იგი ბრიუსელში დასახლდა, მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებში, მისი პარტიები და თეორიული ანალიზი ხშირად ქვეყნდება საჭადრაკო ჟურნალ-გაზეთებში. პარტია, რომელსაც ახლა გთავაზობთ, დამახასიათებელია მისი ენერგიული სტილისათვის. გურევიჩის მეტოქეა ახალგაზრდა რუსი დიდოსტატი ანდრეი ხარლოვი, რომელსაც იუგოსლავიის 1995 წლის ღია ჩემპიონატში შეხვდა.

**გურევიჩი — ხარლოვი**
**ინგლისური დასაწყისი**

**1. c4 e5 2. მc3 მf6**
**3. g3 d5 4. cd მd5**
**5. კg2 მb6 6. მf3 მc6**
**7. ეb1 f6 8. a3**

გურევიჩი თავიდანვე ცდილობს გადაუხვიოს თეორიულ გაგრძელებებს და, ამავე დროს ბრძოლის გამწვავებისკენ მიისწრაფვის.

8.... მd4!? 9.d3 კg4
10. 0-0 ლd7

თუ 10... მf3, მაშინ 11 ef კh5 12. g4 კg6 13. f4 კd3 14. კb7 კb1 15. კc6 და თეთრებს სახიფათო იერიში აქვთ.

11. მd4 ed 12. მe4 მd5
13. ლc2 0-0-0 14. ეe1 h5 !
15. მc5! ლc6 16. b4 b6
17. კb2!

ფიგურის მოულოდნელი, მშვენიერი შეწირვაა, რომლის შემდეგ ბრძოლა უკიდურესად მწვავდება.

17. ... bc 18. კd4 h4
19. bc hg 20. hg f5
21. ლb3! f4

აი აქ კი ხარლოვმა აშკარად გადააფასა პოზიცია. მას უნდა გაემეორებინა სვლები 21. კh3 22. კf3 კg4 23. კg2 კh3



22. კe5! კc5?

თუ 22... fg 23. კg3 კc5 24. ე ec1 კe2 25. d4 ლb6 26. ეc5 ლb3 27. ეb3 მეტად ბუნდოვანი პოზიციით. ან 22... f3 23. ef კh3 24. d4 კg2 25. მფg2 კვლავ რთული, ბუნდოვანი თამაშით.

23. ეec1! ლb6

შავებმა შორიდან გათვალეს და ამ პოზიციაში ლაზიერის მანევრის იმედი ჰქონდათ. მათ მხედველობიდან გამორჩათ კიდევ ერთი შეწირვა.

24. ეc5 ლc5 25. ლb7 მფd7
26. d4!

თეთრებს ეტლი აკლიათ, მაგრამ აუღელვებლად განაგრძობს იერიშს.

26. ... ლc6 27. კd5 ლb7
28. ეb7 ეc8 29. f3! კe6
30. კe6 მფe6 31. gf ფორმალურად თუ ვიმსჯელებთ, თითქოს შავებს ხარისხი აქვთ კუსა და ორ პაიკში, მაგრამ სინამდვილეში მათი პოზიციის დაცვა შეუძლებელია. თეთრების პაიკების „მუშტი" სწრაფად წყვეტს ბრძოლის ბედს.

31. ... მფd5 32. ეa7 ეb8
33. ე c7 ეb1 34. მფg2 ეb2

თუ 34. .. ეbh1 35. e4 მფe6 36. f5X

35. ეc5 შავები დანებდნენ.

გასაგებია 35... მფe6 მოჰყვება 36. d5 მფf5 37. კb2

მიხეილ გურევიჩმა ალმაცერით ჩაატარა იერიში.

**გივი გამრეკელი.**

# წერილი საინგილოდან

მე საინგილოში მცხოვრები ქართველი ვარ. კახიდან ამ ბოლო დროს ხშირად მიწევს ჩამოსვლა თბილისში. მიზეზი ჩემი 9 წლის შვილიშვილის მიხეილ ქიტიაშვილის ჭადრაკით გატაცებაა. ის ხამი წლის წინ ეზიარა ამ ბრძნული თამაშის საიდუმლოებას. მას მამიდა ბელა ქიტიაშვილი ამეცადინებს, რომელიც კახის სპორტსკოლაში ჭადრაკის მწვრთნელად მუშაობს.

მიხეილმა საქართველოში ჩატარებულ ბავშვთა სამ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და მართალია გამარჯვებულთა შორის ვერ მოხვდა, მაგრამ გამოცდილება მიიღო და მომავალში შეეცდება გამოასწოროს ის ნაკლოვანებები, რაც ამ ტურნირებში გამოვლინდა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის გულთბილი დამოკიდებულება, რაც ჩვენს მიმართ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელებმა გამოიჩინეს. სამივე ტურნირში მათ თავის თავზე აიღეს ჩვენი ცხოვრების ხარჯები, გადმოგვცეს საჭადრაკო ინვენტარი, გამოგვკითხეს საინგილოს მოჭადრაკეთა მდგომარეობა.

ჩვენ მივიპატიჟეთ საინგილოში ქართველი მოჭადრაკეები სხვადასხვა საჭადრაკო ღონისძიებების ჩასატარებლად, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში და საინგილოში მცხოვრებ მოჭადრაკეთა, და არა მარტო მოჭადრაკეთა, შემდგომ დაახლოებას.

**ელიზაბეთა ქიტიაშვილი.**

წარსულის ფურცლები




# ჰანს კმოხის მონაწილეობით

„1934 წლის შემოდგომაზე მსოფლიო პირველობის იმდროინდელი პრეტენდენტი მაქს ეივე (ჰოლანდია) და მისი მწვრთნელი, მაესტრო ჰანს კმოხი (ავსტრია) საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ. სტუმრებმა ლენინგრადის ოსტატთა ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. მაგრამ მერე, სექტემბერში, კმოხმა თბილისში, ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატთა ტურნირში ითამაშა.

ჩვენი დედაქალაქი პირველად მასპინძლობდა ტურნირს უცხოელი მაესტროს მონაწილეობით. ალბათ, ამიტომაც მან თბილისელების დიდი ინტერესი გამოიწვია. ტურნირს უამრავი მაყურებელი დაესწრო.

სარბიელზე იყვნენ კმოხი და 13 ახალგაზრდა ოსტატი, რომლებიც ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, უკრაინას, ბელორუსიას და ლენინგრადს წარმოადგენდნენ. საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელსაც სასიქადულო პოეტი პაოლო იაშვილი თავკაცობდა, მონაწილეებს ბრძოლის საუკეთესო პირობები შეუქმნა. მოჭადრაკეები საქართველოს პროფსაბჭოს სვეტებიან დარბაზში (მერე სასტუმრო „თბილისის" რესტორანი) თამაშობდნენ.

თითქმის ყველა თბილისელი ვიქტორ გოგლიძეს ქომაგობდა.

– სტუმრების მრცხვენოდა, რადგან ჩემი პარტიის დამთავრებისთანავე დარბაზი ცარიელდებოდა. მერე ეს ამბავი ჟურნალმა „შახმატი ვ სსსრ"-მაც აღნიშნა, – მიამბობდა ვიქტორი. – კიდევ კარგი, რომ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ბოლომდე რჩებოდნენ. ჩემი ერთი პარტიაც არ გაუცდენია მწერალ ნიკო ლორთქიფანიძეს.

ვიქტორს თავიდანვე კარგად აეწყო თამაში და ბრწყინვალედ დაამთავრა ტურნირი: 13-დან 9,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე იყო ვლადიმერ მაკოგონოვი (ბაქო) – 8, მესამე – მეხუთე ადგილები გაიყვეს კმოხმა, ვ. როგოზინმა (ლენინგრადი) და ვ. რაუზერმა (კიევი) – 7-7. (შედეგების ცხრილი იხ. „ქართული ჭადრაკის მატიანეში", 1995 წ., გვ. 287).

ჰანს კმოხმა ასეთი შეფასება მისცა პირველი ქართველი ოსტატის თამაშს ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ"-ში (1934 წ. № 11): „გოგლიძემ 1,5 ქულით გაასწრო უახლოეს მეტოქეს, დამსახურებულად და დამაჯერებლად გაიმარჯვა. მის თამაშში ყველაზე მეტად მომეწონა ის საოცარი სიმსუბუქე, როგორითაც მიჰყავს თავისი პარტიები. მან ბრძოლის ყველა სტადიაში შესანიშნავი ცოდნა გამოამჟღავნა. თუ მხედველობაში მივიღებთ მის ასაკს (29 წელი), დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი დღესაც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა".

ბრწყინვალე გამარჯვებამ ვიქტორ გოგლიძეს მოსკოვის 1935 წლის დიდი საერთაშორისო ტურნირის კარი გაუღო.

აი, ვიქტორის ერთ-ერთი კარგი პარტია თბილისის ტურნირიდან:

ლაზიერის გამბიტი

**ვ. გოგლიძე — ვ. რაუზერი**

1. d4 d5 2. c4 e6
3. მc3 მ f6 4. მf3 კe7
5. e3 0-0 6. კ e2 b6
7. 0-0 კb7 8. b3 მbd7
9. კb2 c5 10. cd მd5
11. მd5 კd5 12. ეc1 ეc8
13. კa6 ე c7 14. ლe2 ლa8
15. ეfd1 კb7 16. კb7 ლb7
17. dc dc5 18. ლc4! ე7c8

აგებდა 18.... ეfc8, 19. კe5 ეd7 19. ... კc6 20. მd4! 20. ეd7 ლd7 21. b4! მოგებით.

19. ლg4 f6? 20. მd4

არაფერს იძლეოდა 20. b4, 20.... ლc4-ის გამო. ახლა 20.... ლc4 შეუძლებელია. მუქარაა 21. მe6 მ e6 22. ლe6 მფh8 23. ეc8 ეc8 24. ეd7 მოგებით.

20.... ლd7?

სჯობდა 20... ლc4, თუმცა 21. ლc4 მc4 22. მc6 თეთრების უპირატესობით.

21. b4 h5 22. ლg6 მa4
23. მf5! ლd1 24. ეd1 ეf3
25. კd4 კb4 26. ლf5. შავები დანებდნენ.

გოგლიძის გამარჯვებამ დიდად გაახარა პაოლო იაშვილი. მან საიამოვნებით იკისრა თამადობა ტურნირის დამთავრებისადმი მიძღვნილ ბანკეტზე. კმოხის სადღეგრძელო ფრანგულად წარმოთქვა. მერე მაგიდის ქვეშ საგანგებოდ დამალული ტორტი (ჭადრაკი დაფა, თეთრი და ყავისფერი კრემისგან ჩამოსხმული ფიგურები) მიართვა. ამან კმოხი და სხვები აღაფრთოვანა.

სწორედ მაშინ წარმოთქვა ექსპრომტად პაოლო იაშვილმა ვიქტორ გოგლიძისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც ასე მთავრდება:

არავის არ სძინავს ისე აბნეულად,
როგორც რომ ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს.

**თენგიზ გიორგაძე.**

**სურათზე:** ჰანს კმოხისა და ვლადიმერ როგოზინის შეხვედრა. ამ პარტიით დაინტერესდა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე გიორგი სტურუა.

საქართველოს რესპუბლიკა
№178. კვირა. 27 ივლისი. 1997 წელი

კომპოზიცია

# პაიკთა „ტრანსმიგრაცია" ეტლების დაბოლოებაში

ცნობილია, რომ ყოველი საეტიუდო თემა გამოსახვის სპეციალურ საშუალებებს მოითხოვს. ეტლი სწორხაზოვანი ფიგურაა, ამიტომ მისი საშუალებით კარგად გამოისახება სხვადასხვა ტიპის სისტემატური მოძრაობანი, რომელიც პაიკთა პოტენციურ შესაძლებლობებზე დაყრდნობით ხორციელდება. აღნიშნული მასალა საშუალებას იძლევა აგრეთვე განვახორციელოთ ნაირფეროვანი კომბინაციები, რომელთაც საფუძვლად გეომეტრიული მოტივები უდევს. ჩვენს მიერ დასახელებული საეტიუდო იდეები ორგანულად შეერწყა ეტლების მასალაზე აგებულ ეტიუდებს. ერთ-ერთი ასეთი იდეაა მსუბუქი ფიგურის გაცოცხლება. ჯერ ენახოთ სხვადასხვა ფიგურის გაყვანის მაგალითები, ხოლო შემდეგ „ტრანსმიგრაციის" რთული შემთხვევა განვიხილოთ.

№ 1 დიაგრამაზე გამოსახულ ეტიუდში ახლადგაყვანილი მხედარი ეტლის წინააღმდეგ.

**ვ. ბრონი, 1929 წ.**



თეთრები იგებენ

1. ეe5! ეe5 2. d7 ეe6
3. მფg5 ეb6 4. d8მ! ეb8
5. მc6 მოგებით.

მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი ნაწარმოებია.

№ 2 დიაგრამაზე წარმოდგენილ ეტიუდში სისტემატიური მოძრაობის ფონზე ხორციელდება კუს და ლაზიერის გაყვანის იდეები.

**ვ. კალანდაძე, 1984 წ.**



თეთრები იგებენ

1. ეa2! ეd1 2. მფe8!! ეd2
3. ეa1 ეe2 4. მფf7 ეf2
5. მფg7 ეg2 6. მფh6 ეg8!
7. hgკ!! და იგებენ.
6. ... ეg1 7. h8ლ ეa1
8. ლa1 მფg2 9. ლg7 მფf1
10. ლc7!! მფg1
11. ლg3 მფf1 12. ლh2!!

ეხლა გავეცნოთ ეტიუდს, სადაც ეტლის გაცოცხლებაა წარმოდგენილი.

**ი. ლაზარი, 1956 წ.**



თეთრები იგებენ

1. ეh7 მფa8! 2. ეg7 ეg2!
3. h7 h2 4. h8ე!! h1ლ
5. ეh1 ეh2 6. ე7g1!

ფორმისა და შინაარსის ჰარმონია სუფევს ამ მომხიბლავ მინიატურაში.

ეტლების დაბოლოებაში პაიკთა სრულ „ტრანსმიგრაციაზე" სულ რამდენიმე ნაწარმოებია შექმნილი. ერთ-ერთი მათგანი წარმოდგენილია № 4 დიაგრამაზე, სადაც ნაჩვენებია პაიკთა გაცოცხლების ყველა შესაძლებლობა მცდარ კვალში.

**ვ. კალანდაძე, 1975 წ.**



თეთრები იგებენ

1. f7 ba 2. ეa2 ეc7 3. ეa5! ეe5! 4. ეe5 მფg6 5. ეg5! (მხოლოდ ასე! თეთრების მიერ ფიგურების გაცოცხლების ყველა ცდა უშედეგოდ მთავრდება)

I. 5. h8ლ ეh7 6. მფg8 ეh8 და ყაიმია.

II. 5. f8ე მოყვება მუდმივი ქიში.

III. 5. f8კ ეh7 6. მფg8 ეg7 ყაიმით.

IV. 5. f8მ მფf6 6. ეe4 e5 7. მh7 მფg6 და კვლავ ყაიმია.

5... მფf7 6. ეg7 მოგებით.

პაიკთა სრული „ტრანსმიგრაციის" თემა საკმაოდ რთულია, ამიტომ მისი განხორციელება კომპოზიტორისგან მოითხოვს მაღალ ტექნიკას და ფანტაზიას.

**ველიმირ კალანდაძე,**
საერთაშორისო ოსტატი.

რეგიონულ ფედერაციებში

# ტრადიცია აღდგა

80-იანი წლების დასაწყისამდე გორში სისტემატურად იმართებოდა საქალაქო პირველობები ჭადრაკში. სხვადასხვა დროს ჩემპიონები იყვნენ შალვა თოთლაძე, გურამ მუკნიაშვილი, ჯემალ ინჯია... შემდეგ საქალაქო პირველობები რატომღაც მიივიწყეს.

გაზეთ „სპორტული გორის" და ტელესტუდია TV-9-ის თავკაცების ინიციატივით და ხელშეწყობით ტრადიცია კვლავ აღდგა.

ამას წინათ, დიდი შესვენების შემდეგ, გორის საჭადრაკო კლუბ „მთიებში" გაიმართა პირველობა 15 მონაწილეს შორის. 12,5 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა გურამ მუკნიაშვილმა. მას ქულით ჩამორჩნენ საერთაშორისო ოსტატი ციალა ქასოშვილი და ხვიჩა ვანიშვილი.

# გამგებელი ჭადრაკზეც ზრუნავს

იყო დრო, საგარეჯოში საჭადრაკო ცხოვრებას გამორჩეული ადგილი ეჭირა, მაგრამ შემდეგ ენთუზიაზმი ნელ-ნელა მინელდა. ბოლო დროს რაიონული ფედერაციის შექმნასთან ერთად საჭადრაკო საქმიანობა კვლავ გამოცოცხლდა. მისი სულისჩამდგმელი გახდა საგარეჯოს რაიონის გამგებელი თენგიზ ოქროცვარიძე, რომელიც ახლახან ჭადრაკის რაიონული ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. იმედია, საგარეჯოში ჭადრაკს უფრო მეტი ყურადღება მიექცევა.

კონკურსი

# „მოსიაშვილი -50"

საქართველოს საჭადრაკო კომპოზიციის კომისია აცხადებს საერთაშორისო კონკურსს ორსვლიანი ამოცანების შედგენაში.

კონკურსი ეძღვნება ცნობილი პრობლემისტის გ. მოსიაშვილის დაბადების 50 წლისთავს.

ნაწარმოებები უნდა გაიგზავნოს 1998 წლის 1 მარტამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, 380009, კოსტავას ქ. № 37, ჭადრაკის სასახლე.

კონკურსის შედეგები შეჯამდება გაისად მაისში და გამოქვეყნდება „ლაზიერის" ერთ-ერთ ნომერში.

ხსოვნა



გარდაიცვალა უხუცესი ქართველი პრობლემისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **გიორგი ბასილაია**. ბატონი გიორგი 1913 წელს დაიბადა. პირველი საჭადრაკო ამოცანა დაბეჭდა 1935 წელს „ახალგაზრდა კომუნისტში". მისი ამოცანები სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთებში: „მუშა" „თბილისი", „ვეჩერნი თბილისი", „ლელო". რამდენიმე ამოცანა „შახმატ ვ სსსრ"-ში გამოქვეყნდა.

გთავაზობთ გ. ბასილაიას ორსვლიან ამოცანას, რომელიც 1939 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ"-ში.



ამოცანას ხსნის ეფექტური სვლა 1. მe5! ლამაზი შამათებით 1.... de 2. ეd4X; 1... d5 2. მe6X.

# კონკურსის შედეგები

„ლაზიერის" წინა ნომერში შემოგთავაზეთ ვაჟა დადიანიძის საიუბილეო კონკურსის შედეგები ეტიუდების შედგენაში. დღეს კოოპერაციული ამოცანების სექციაში გამარჯვებულებს წარმოგიდგენთ.

**ალექსეი ივუნინი**
**ალექსანდრე პანკრატიევი**
**I-II პრიზი**



**კოოპერაციული შამათი 2 სვლაში**

**სერგილ სუხიტაშვილი**
**I-II პრიზი**



ამოცანის პირობაა: დაუმატეთ შავი ფიგურა ნებისმიერ უჯრაზე და კოოპერაციული შამათი 2 სვლაში (დუპლექსი)

რეტროანალით მტკიცდება რომ c1-ზე უნდა დავსვათ შავი ლაზიერი. 1. ეb2 კf7 2. მფb1 მa3X

როცა სვლა თეთრებისაა, მაშინ 1. მc7 ლ f4 2. მa8 მc6X.

1. მd1 მd3 2. კg4 კ f7 X.
მფd5 – c3-ზე 1. კg4 კf7 2. მe3 მe4X.
მფd5 f4-ზე 1. მe3 მe4 2. მd1 მd3X.

თეთრი და შავი ფიგურების სვლების ციკლური მონაცვლეობა დაბმისაგან თემატური განთავისუფლების მომენტებით.

**დავით გურგენიძე**
**III პრიზი**



**კოოპერაციული შამათი 2 სვლაში**

1. ლh1 ლc6 2. ლe4 ლf6X
პაიკი g5 – d4-ზე 1. ლg1 ლg7 2. ლg6 ლe5X.

ლელო და ზიარი
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, ვაჟა გაერეჯელი, თენგიზ გიორგაძე, ზურაბ გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, მაია მუსელ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზნეობა

შალვა მარდი

# XX საუკუნის შეთქმულება

## ფსევდორელიგიური სექტა და სექსუალური მანიაკები

### რონ ჰაბარდის სექტა

**(შვეიცარია, გერმანია)**

რონ ჰაბარდი არის დამფუძნებელი და სულიერი ლიდერი სექტისა, რომელსაც „სამეცნიერო ეკლესია ეწოდება“ და რომელიც მოქმედებს ევროპაში, უმთავრესად, შვეიცარიასა და გერმანიაში. მან შეიმუშავა დოქტრინა, რომლის თანახმად გარე სამყაროსთან სრული ჰარმონიის მისაღწევად საჭიროა, უწინარესად, განვთავისუფლდეთ ყოველდღიური საზრუნავისაგან. ვერაფერს იტყვი, ერთი შეხედვით საინტერესო დებულებაა. მართალია, მისი რეალიზაციისათვის ჰაბარდი გვთავაზობს ფრიად ორიგინალურ რეცეპტს: უნდა მოიშორო თავიდან ყველაფერი, რაც გაბადია (უძრავ-მოძრავი ქონება, ფული და სხვა ყოველივე დანარჩენი), თანაც მოიშორო ძალზე მარტივი ხერხით — გადასცე ყოველივე ეს... სექტას, რომელსაც ჰაბარდი ხელმძღვანელობს. შემდეგ, უფრო ზუსტად კი, იმავდროულად, უნდა შეხვიდე მის სექტაში და შეასრულო შესაბამისი ყოველდღიური რიტუალები (ლოცვა, მედიტაცია, სპეციალურად შემუშავებული ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსი), და დაადგე ერთადერთ სწორ გზას, რომელიც მიგიყვანს უკვდავებაში.

სექტაში არის საგულდაგულოდ შერჩეული „პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა“ — სპეციალისტების (ჰიპნოტიზიორებისა და ექსტრასენსების) ჯგუფი, რომელიც, იყენებს რა მიზანმიმართულ ზემოქმედებას სექტანტთა გონებასა და სულზე, ფრიად წარმატებით არჯულებს და ათვინიერებს ახალ მოწაფეებს, რის შემდეგაც აღარ უჭირს მათს ცნობიერებაში ნებისმიერი ფსიქოლოგიური დებულების ოპერატიული დანერგვა.

ყოველდღიური შეგონების და გარკვეული საკულტო რიტუალების შესრულების შედეგად, სექტის წევრებს გამოუმუშავდებათ და ეჭედებათ თავში ერთი და იგივე idee fixe — ისინი ყველანი წყვეტენ უაღრესად სერიოზულ მსოფლიო პრობლემებს. ღმერთმა სწორედ ისინი მიიჩნია ღირსად, წარმდგარიყვნენ მისი სახით მთელი კაცობრიობის წინაშე და, შესაბამისად, სწორედ მათ აკისრიათ პასუხისმგებლობა ყველა ხორციელის სვე-ბედისათვის.

დროთა განმავლობაში სექტის წევრებს თანდათან გამოუმუშავდებათ უფლის წინაშე ბრალის მწვავე და შეუნელებელი გრძნობა ცოდვებისათვის, რომლებიც იმ, წინანდელ, ცხოვრებაში ჩაუდენიათ, მათ განუწყვეტლივ აწვალებთ სინდისის ქეჯნა იმისათვის, რომ ამ ცოდვას ვერაფრის დიდებით ვერ გამოისყიდიან. ამრიგად, ყალიბდება და მკვიდრდება სექტის წევრთა აბსოლუტური დამოკიდებულება გურუსა და მის თანაშემწეებზე — მორალი, მატერიალური და, საერთოდ, ყოველგვარი. პიროვნება საბოლოოდ ისპობა. ადამიანი ვარდება მდგომარეობაში რომელიც ახლოს არის სომნამბულურთან , და მზად არის შეასრულოს მის სულიერ მოძღვართა ნებისმიერი ბრძანება.

მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც ფორმალურად არ უნდა, დაუკავშირდეს რონ ჰაბარდის სექტას და მიუხედავად ამისა, სურს შეიტყოს, მაინც, რა არის ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში ამ ერთობ პოპულარული სექტის სულიერი ლიდერის რელიგიური დოქტრინის არსი. ზოგი რამ ჰაბარდს მართლაც უნდა დაუფასო: იგი არათუ არ ყრის გარეთ ცნობისმოყვარეებს, არამედ პირიქით, უტარებს მათ სპეციალურ კურსებს ან სემინარებს, სადაც თვით ჰაბარდი, ან მისი თანაშემწენი აცნობენ შეკრებილთ თავიანთ კრედოს. ყოველივე ეს ფრიად პომპეზურად არის გაფორმებული და კურსების დამთავრების შემდეგ ყველას, ვინც ისინი მოისმინა, ეძლევა მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული ლამაზად გაფორმებული დიპლომი, რომელიც მოწმობს, რომ ეს და ეს კაცი, რომელიც აქ და აქ ცხოვრობს, ამიერიდან დიპლომირებული სწავლულია. დიპლომის გადაცემის ცერემონია გაცილებით უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე ვთქვათ, უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხის მინიჭების დიპლომის გადაცემისა (მართალია, ამასთან მოკრძალებით სდუმან იმაზე, რომ ახალგამოჩეკილ „მეცნიერს“ გვარიანი თანხა დაადებინეს, რათა მეცნიერი გამხდარიყო). ყოველივე ამას თან სდევს საზეიმო განცხადებები, რომ დიპლომის მფლობელს ამიერიდან უფლის მადლის კვალი აჩნია, ხოლო ამ დოკუმენტს ასდის რაღაც ღვთაებრივი გამოსხივება, რომელიც ხელს უწყობს მის კეთილდღეობასა და აყვავებას. ამის შემდეგ, დიპლომირებული „სპეციალისტი“, როცა კი შესაფერისი მომენტი ჩაუვარდება, ტრაბახობს თავისი დიპლომით და მისი ნაცნობებიც, რომლებსაც ასევე შეუჩნდებათ იდუმალი, მისტიკური და გაუგებარი მოძღვრების დაუფლების ჭია, თავქუდმოგლეჯილი გარბიან იგივე კურსებსა და სემინარებზე.

რონ ჰაბარდი თავის გამოსვლებში ამტკიცებს, რომ განსაკუთრებით სასიკეთო გავლენას ახდენს სოციალური და ეკონომიკური ჯაჭვების ტვირთისაგან „გათავისუფლება“ (ანუ, სექტის სასარგებლოდ საკუთარი უძრავ-მოძრავი ქონებისა და დანაზოგის გადაცემა) ავადმყოფ და სნეულ ადამიანებზე. თავის წიგნში „Dianetik“ იგი წერს, რომ სრული „ინდოქტრინაციის“ შემდეგ (ანუ მისი რელიგიური დოქტრინის სრული და უცილობელი მიღების შემდეგ, რასაც სულ ცოტა შვიდი წელიწადი სჭირდება) ავადმყოფებს მოსდით რაღაც წარმოუდგენელი რამ“:. მთლიანად უქრებათ ტკივილები სახსრებში, გული იწყებს აბსოლუტურად ნორმალურ ფუნქციონირებას, არ რჩება ასთმის არავითარი ნიშანი, ისპობა სკლეროზული მოვლენები სისხლძარღვთა სისტემაში, ნორმალური ხდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობა და ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე ინკურნება“. მაგრამ ეს, გამუდმებით ჩასჩიჩინებს პაციენტებს ჰაბარდი, თავისთავად როდი ხდება, ამის საფასურია სრული და უცილობელი უარის თქმა საკუთარ თავზე, საკუთარ ქონებაზე, წინა ცხოვრების წესზე; ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ სექტის წევრებთან, მისი საქმიანობის საიდუმლოს სრული დაცვა, გამუდმებული თვალყურის დევნება სექტის სხვა წევრებისათვის (თუ რაიმეს შეამჩნევენ, დაუყოვნებლივ უნდა მოახსენონ სექტის ხელმძღვანელობას). თითქოს უბრალო რამ არის — საჭმლის მიღება, მაგრამ რონ ჰაბარდის სექტაში ისიც კი ემყარება „მეცნიერულ“ საფუძველს: სექტის წევრმა არ უნდა მიიღოს საჭმელისაგან არავითარი სიამოვნება, ვინაიდან ეს არის მხოლოდ და მხოლოდ შიმშილისა და წყურვილის მოკვლის აქტი. თუმცა, ალბათ იმისათვის, რომ როგორმე შეულამაზონ ასეთი ულიმღამო ტრაპეზი, სექტის წევრებს ყოველთვის ურევენ ულუფაში, თვით ჰაბარდის თქმით, „მცირე დოზის დამაწყნარებელ ბალახებს,“(მართალია, რატომღაც ოპიუმის სახით).

მაგრამ, „სამეცნიერო ეკლესიის“ ნამდვილი თვალია კოლექტიური წარმოდგენა სექტის ვეტერანთა მონაწილეობით, როდესაც ეს უკანასკნელნი „დამაწყნარებელი ბალახების გვარიანი დოზის მიღების შემდეგ ტრანსში ვარდებიან და იწყებენ მოგვობას „უფლის ენაზე“. შემდეგ, როგორც ნარკომანებშია მიღებული, ისინი ტრანსიდან ღრმა ძილში გადადიან, და რომ გამოეღვიძებათ, უყვებიან ახლადმოქცეულ სექტის წევრებს, რომ საკუთარი თვალით ნახეს „საიქიო“, სადაც ადამიანები და ანგელოზები მუდმივი ნეტარების მდგომარეობაში არიან, რომ მოიარეს გალაქტიკის ფარული კუთხე-კუნჭულები, მოინახულეს ქრისტე, ესაუბრნენ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ სხვადასხვა გამოჩენილ პირებს. ამ ზღაპრებს ყურადღებით იწერენ და სექტანტთა უახლოეს კრებაზე აანალიზებენ და აკლასიფიცირებენ. ამასთან,გაუთავებლად უჩიჩინებენ, რომ ღმერთი და მისი აპოლოგეტები სულიერ კავშირს ამყარებენ მხოლოდ მათთან, რონ ჰაბარდის სექტის წევრებთან და ეს უკვდავების უფლებას იძლევა. როგორც სექტის მეთაური აცხადებს, სწორედ „ცოცხალ მოწმეთა“ ჩვენებებზე დაფუძნებული საიქიოში ცხოვრების შესწავლისადმი მიდგომა შეადგენს „სამეცნიერო ეკლესიის“ მოძღვრების არსს, ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს სექტაში ახალ წევრთა განუწყვეტლივ შემომატებას.

„პროფესორ- მასწავლებელთა შემადგენლობა“, რომლის მიზანია სექტის რიგითი წევრები გადააქციოს რობოტებად, გაუთავებლად რომ იმეორებენ ერთსა და იმავე მიხვრა-მოხვრას, და წარმოთქვამენ ერთსა და იგივე ლოცვის ტექსტებს, რომელთა აზრი ბოლომდე არცკი ესმით, მუდმივ, ყოველდღიურ კონტროლს უწევს სექტანტებს, ათაყვანებს და საბოლოო ანგარიშით გადააქცევს თავისებურ ნარკომანებად, რომლებისთვისაც უცილობელი მორჩილება განუხრელი წესის და სიგიჟის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

და აი, ბოლოს, „სამეცნიერო ეკლესიის“ მოძღვრება ზიარების უკანასკნელი ეტაპი: სექტის წევრმა, რომელმაც „ინდოქტრინაციის“ყველა ეტაპი გაიარა, უნდა გამოიცვალოს სახელი და გვარი და, ამრიგად, საბოლოოდ გაწყვიტოს უკანასკნელი კავშირი იმ წინანდელ ცხოვრებასთან, რომელშიც ჰყავდა ოჯახი, ჰქონდა პროფესია, საკუთარი სახლ-კარი. ამიერიდან, მთელი დარჩენილი სიცოცხლე მან უნდა მიუძღვნას ღვთის მსახურებას იმ თვალსაზრისით, როგორც ეს ესმით მის სულიერ დამრიგებლებს, პირწმინდად რომ გაღლიტეს „უკვდავების“ უფლების მინიჭების სანაცვლოდ. მაგრამ, რა ქნას, თუკი უბედურს გამოელია ფული, თუკი ამოეწურა საბანკო ანგარიში?

იმუშაოს. რადაც უნდა — მენაგვედ, მზარეულად. სექტა მუქთამჭამელებს ვერ იტანს. თანაც, მისი ხელმძღვანელების აზრით, რაც უფრო ნაკლები თავისუფალი დრო რჩება სექტანტს, მით უკეთესი, ნაკლებს იფიქრებს იმაზე, თუ რა მოსდის, თორემ, ღმერთმა ნუ ქნას, ამიერიდან მის „უკვდავ სულში“ შეიძლება ეჭვმაც დაისადგუროს. ხოლო თუ ეს ეჭვები მაინც გაჩნდა, მაშინ რა ქნას? მაშინ საკითხი უბრალოდ წყდება: „უკვდავს“ ისტუმრებენ იქ, სადაც მას შეუძლია ბოლოს და ბოლოს ხორცი შეასხას ბატონი ჰაბარდისა და კომპანიის პრეტენზიებს მათი მრევლის უკვდავების მოძღვრების „მეცნიერულობაზე“. ისე კი, კაცმა რომ თქვას, ჯერ იქიდან არავინ დაბრუნებულა, რასაც ალბათ, სულ არ ნანობენ ჰაბარდი და ძმანი მისნი.



დრო და დრო რონ-ჰაბარდი იშორებს ნიღაბს და ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, თან მოურიდებლად ესვრის ლაფს იმ სისტემას, რომელშიც თვითონვე არსებობს: „დემოკრატია — ეს არის წმინდა წყლის თავის მოტყუება იმათთვის, ვისაც სწამს იგი. სწორედ დემოკრატია აძლევს კარიერისტებს შესაძლებლობას ჩადგნენ ხელისუფლების სათავეში, რათა შემდეგ დაბეგვრის გზით ყოველდღიურად და მეთოდიკურად ძარცვონ ხალხი. დემოკრატიას შედეგად მოსდევს არა მარტო ეკონომიკური ინფლაცია, არამედ რაც გაცილებით უფრო საშიშია, — სულიერ ღირებულებათა ინფლაცია და ამას ვერსად გაექცევი.

ფული იძლევა საშუალებას გახელისუფლდე და ხალხზე მაღლა დადგე. ხოლო ეს ფული ცოდვილებისა და დამნაშავეების ხელშია. ჩვენი ეკლესია მოწოდებულია გზაზე დააყენოს თავისი ჭეშმარიტი შვილები, რომლებიც დაეხმარებიან მშობლებს გაიცნობიერონ, რომ მხოლოდ უკანონოდ ნაძარცვის მსხვერპლად გაღების გზით შეძლებენ გამოისყიდონ თავიანთი წინანდელი შეცოდებანი და ჩასწვდნენ სიცოცხლის ჭეშმარიტ აზრს“.

რონ ჰაბარდი ყოვლად უსინდისოდ ეწევა სპეკულირებას დემოკრატიის სუსტი მხარეებით (რაც დემოკრატიას უდავოდ აქვს) და ცდილობს დათრგუნოს ყოველი ჩვენგანის ბუნებრივი სურვილი, იყოს მატერიალურად დამოუკიდებელი, შეძლებული. მას სულაც არ ანაღვლებს ის გარემოება, რომ საბოლოო ანგარიშით შეწირულობა, რომლებზეც გაუთავებლად ლაპარაკობს, შედგება მრავალი წლის დაძაბული შრომით შეძენილი ფულისაგან. „ფულს სუნი არა აქვს, ხოლო მკვდრები არ იჭრინებიან“ — ასეთია „სამეცნიერო ეკლესიის“ დამაარსებლის ცხოვრებისეული პრინციპი, რომელსაც იგი ახორციელებს და რომლის რეალიზაციისათვის არ ერიდება არც სხვის გაუბედურებას, და არც ფიზიკურ ლიკვიდაციას.

გამოჩენილმა ფსიქიატრმა, ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰანს კინდმა რელიგიურ-ფსიქოლოგიური ტერორის მსხვერპლად ქცეული ახალგაზრდების მშობლების თხოვნით გამოიკვლია „სამეცნიერო ეკლესიის“ სექტის რამდენიმე წევრი. შედეგები ფრიად უნუგეშო გამოდგა: ყველა ეს ადამიანი მეტნაკლებად განიცდიდა ჰიპნოზური ზემოქმედების შედეგებს, მათი საქციელი აშკარად არაადეკვატურია, მათ არა აქვთ რეალობის გრძნობა და კრიტიკული დამოკიდებულება მოვლენებისადმი, მათ ირგვლივ რომ ხდება.

ისინი გამოფიტული არიან სულიერად და ფიზიკურად, ისინი ყველანი ავტომატებივით იმეორებენ, რომ უკვე გამოისყიდეს თავიანთი ძველი ცოდვები, ბოლოს და ბოლოს იხილეს „ჭეშმარიტი სიმართლე“ და ახლოს არიან იმასთან, რომ მთლიანად „განიკურნონ“ და უკვდავენი გახდნენ... კი მაგრამ, მაინც სად მიდის ის ფული, რომელიც შეწირულებათა სახით ირიცხება „სამეცნიერო ეკლესიის“ ხელმძღვანელთა საბანკო ანგარიშზე? როგორც წესი, შეწირულებანი გადასახადით არ იბეგრება, სულ ერთია, რა თანხასაც უნდა შეადგენდეს (ვარაუდობენ, რომ სხვათაშორის, ჰაბარდის სექტის ყოველწლიური შემოსავალი მილიარდ დოლარს სჭარბობს). მაგრამ აი, სად მიდის ეს ფული, ვინ და როგორ განკარგავს მას, — საიდუმლოდ რჩება. არც პოლიცია, არც საგადასახადო ორგანოები, მით უმეტეს, არც სხვა რელიგიური ორგანიზაციები, — არავინ კითხულობს ამ ამბავს. ყველანი სდუმან, ყველას წყალი ჩაუგუბებია პირში. რატომ? ამ კითხვაზე პასუხი არ გვქონია გუშინ, არ გვაქვს დღეს და საეჭვოა, მივიღოთ ხვალ.

### მისტიკური სექტა „ტმ“

**(ტრანსცედენტული მედიტაცია)**

ეს სექტა სელიმბერგში (შვეიცარია), ურნერის ტბის მახლობლად ჩამოაყალიბა ინდოეთიდან ჩამოსულმა შარლატანმა ჰიპნოტიზიორმა, რომელიც თავის თავს მახარიში მახეშ იოგი გურუს უწოდებს. სექტის წევრები თავიანთ თავს უწოდებენ „ზესკნელში მფრენთ“, ვინაიდან მათი ლიდერის მოძღვრების თანახმად, სწავლის, მედიტაციისა და სპეციალური წვრთნის მრავალწლიანი კურსის შემდეგ მათ ეძლევათ შესაძლებლობა სრულიად თავისუფლად, ყოველგვარი ქანგბადის ხელსაწყოებისა და სკაფანდრების გამოუყენებლად იფრინონ კოსმოსში.

იოგები არწმუნებენ ამ სწავლების მიმდევრებს, რომელთა შორის არის ათასობით ახალგაზრდა ინტელექტუალი, მათ შორის, სახელმწიფო მოხელენი, რომ ენერგია, რომელიც ატომური ბომბის აფეთქების შემდეგ გამოიყოფა — არაფერია იმ იდუმალ ენერგიასთან შედარებით, რომლითაც მათ ასაზრდოებს კოსმოსი.

შვეიცარიის გაზეთებში დაბეჭდილი ცნობების თანახმად, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც სექტის ცალკეული წევრები, რომლებიც ჰალუცინაციურ მდგომარეობაში ვარდებიან და თავს იჯერებენ, რომ ეს ენერგია უკვე მიიღეს, ცდილობენ პრაქტიკულად განახორციელონ ახლადშეძენილი უნარი — იფრინონ სივრცეში, და ხშირად ხტებიან ხოლმე ზედა სართულების ფანჯრებიდან ან კლდის წვერიდან. ეფექტი კი, სამწუხაროდ ყოველთვის ერთია: დამსხვრეული სხეული, დამსხვრეული სიცოცხლე და სული, რომელიც სამუდამოდ გაუჩინარდა.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ.**

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. „სრ“ № 155, 161, 168

## შეეწიეთ

### შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდის ანგარიშზე შემოიტანეს თანხები:

თსუ ახალციხის ფილიალი (დირექტორი მ. ბერიძე) – 50 ლარი;
შპს ფირმა „ძველი“ (დირექტორი გ. ზედგინიძე) – 10 ლარი;
აკადემიკოსი ევგენი ხარაძე – ერთი თვის ხელფასი;
ახალციხის აგრომრეწვბანკი (მმართველი ო. აღომაშვილი) – 50 ლარი;
ახალციხის ელკავშირის ტერიტორიული ფილიალი (უფროსი შ. ბერიძე) – 100 ლარი;
საქართველოს ფოსტა (გენერალური დირექტორი ც. ღიბრაძე, დირექტორი – დ. ხვედელიძე) – 200 ლარი;
საფოსტო ბანკი (დირექტორი ხ. იაკობიძე) – 300 ლარი;
შპს „ზემო ვერა“ (დირექტორი ზ. გვახალია) – 20 ლარი;
შპს „სოლოლაკი“ (დირექტორი დ. ჭანუყვაძე) – 50 ლარი;
შპს „დევი“ (დირექტორი ლ. კობერიძე) – 50 ლარი;
შპს „ხელოვნება“ (დირექტორი ა. გრიგალავა) – 50 ლარი;
გამომცემლობა „სამშობლო“ (დირექტორი ჯ. ქარაზანაშვილი) – 50 ლარი;
შპს „თინათინი“ – 20 ლარი;
შპს ბუკინისტი – 10 ლარი;
შპს „სოლოლაკი“ (დირექტორი ლ. ჭანუყვაძე) – 50 ლარი;
შპს „ხვამლი“ (დირექტორი მ. ასათიანი) – 100 ლარი;
შპს „ავრორა-95“ (დირექტორი ც. ბზიკაძე) – 50 ლარი;
ქ. თბილისი, სახაზინო საწარმო მაღაზია (დირექტორი ა. თიკანაშვილი) – 20 ლარი;
ქ. თბილისში მცხოვრები დ. ყიფიანი – 90 ლარი.

შემოწირულობის შემოტანა გრძელდება.

**შესაწირი შეგიძლიათ გადარიცხოთ შემდეგ მისამართზე: ასპინძის კომერციული აგრომრეწვბანკი, შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდი. ანგარიშის № 700265. მფო 521062.**

## საზოგადოებრიობას

### მათ, ვისთვისაც სულერთი არ არის ქართული წიგნის ბედი

ჩვენი ერის სულიერი საუნჯე – ქართული წიგნი – შველასა და თანადგომას საჭიროებს, ქომაგსა და გულშემატკივარს ელის. დღეს მას, ისე როგორც არასდროს, ჰაერივით სჭირდება შემწე და ხელის გამმართველი. „ბურჯი ეროვნებისა“ განსაცდელშია!...

თითქმის წელიწადია „საქწიგნისა“ და ინტელიგენციის წარმომადგენლების ინიციატივით დაფუძნდა „ქართული წიგნის გადარჩენის ფონდი“, რომლის უმთავრესი მიზანი ქართული წიგნის გადარჩენა-აღორძინებაა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ამ საშური, მეტად მძიმე და საპატიო საქმის განსახორციელებლად მხოლოდ მონდომება და ენთუზიაზმი არ კმარა. საჭიროა სათანადო მატერიალური სახსრები, ფინანსები, რათა ეს წამოწყება კეთილად დაგვირგვინდეს – ქართულმა წიგნმა არსებობა არ შეწყვიტოს, მომავალმა თაობებმა, შთამომავლობამ ათასწლეულობით ნალოლიავები კულტურული, სულიერი მემკვიდრეობა შეინარჩუნოს, ერი უწიგნოდ არ დარჩეს.

მოგმართავთ ყველას, ვისთვისაც სულერთი არ არის ქართული წიგნის ბედი, ვინც ზრუნავს ჩვენი ეროვნული კულტურის ხვალინდელ დღეზე, ვისაც შესწევს უნარი ამ მეჭირვების ჟამს მეოხად და გულშემატკივრად მოევლინოს ქართულ წიგნს, გამოიჩინოს გულისხმიერება და შეეწიოს ქართული წიგნის გადარჩენის საქმეს, იზრუნოს ერის სულიერი საგანძურის შენარჩუნება-აღორძინებაზე.

გვაქვს თქვენი გულისხმიერებისა და თანადგომის იმედი.

ჩვენი რეკვიზიტები: საქართველოს აქციონერულ-კომერციული „ივერთბანკი“ ანგ. № 300700530 მფო 522942 პ. იაშვილის ქ. № 18, სავალუტო ანგარიში № 400070571.

## გახსენება



### ჩვენო დოდო!

დასავით თბილო, ტკბილო, როგორ გაგვამწარე, გაგვიყინე გონება. ჯერ კიდევ ვერ გამოვრკვეულვართ თავზარდამცემი ამბისგან. არადა, რაღაცისმთქმელი 40 დღე უკვე გასულა. დიახ, რაღაცისმთქმელი. თორემ, ისე რამდენი 40 დღეც დაგვრჩენია, ყოველთვის ჩვენს გვერდით იქნები.

ოჯახისათვის თავდაუზოგავო, ბურჯო დედავ, სამსახურებრივი საქმისათვის თავდადებულო, ყოველთვის მზად იყავი ყველას დახმარებოდი, შენ კი ერიდებოდი სხვის შეწუხებას. არავის აშფოთებდი შენი მდგომარეობით – სხვა რომ შეგატყობდა ცუდად იყავი, შენ მაინც ამბობდი – არა, კარგად ვარ. ახლაც ასე იყო – გიორგის მზერას არ გამოპარვია შენი ცუდად გახდომა, შენ შვილი არ შეაშინე თუ... – არა-უშავს, გამივლის, არავის დაუძახო, არავინ შეაწუხო... და აი, რა მოხდა.

გიორგის ზრუნვა არ მოაკლდება – მამა, მამიდები, ბიძები, ბებია ათმაგად იზრუნებენ მასზე, ჩვენც არ მოვაკლებთ ყურადღებას, მაგრამ შენი ერთი მოფერება, შენი ერთი ჩახუტება მილიონთა ალერსს ერჩივნა.

ჩვენ შენი ლაბადების დღისათვის ვემზადებოდით, შენ კი... შენმა დაობლებულმა ოჯახმა – მეუღლემ, შვილმა მაინც გადაგიხადეს დაბადების დღე სახლშიც და აქ, სამსახურშიც. იცი, თითქოს, არა, თითქოს კი არა, ნამდვილად ვხედავდით შენს ღიმილიან სახეს, შენს მოციმციმე დიდრონ თვალებს, გვმასპინძლობდი ზეიმურად, ჩვენც ვეძალებოდით „შარბათს“, რომ მოჩვენებითი არედან, თვალთაგან არ დაგვკარგვოდი.

შენ ჩვენთან ხარ! ასე იქნება მუდამ. გვჯერა, შენი გიორგი შეისწავლის ბასკურს, შენს სადისერტაციო თემას, უკვე დამთავრებულს, ღირსეულად დაიცავს შენივე სახელით და მარადიულ სანთელს დაგინთებს. ჩვენო დიდთვალება, გულკეთილო, სულგრძელო დოდო, ყველა ერთი საზარელი დედის – სიკვდილის შვილები ვართ. ადრე თუ გვიან ერთად შევიკრიბებით... ამით ვიიმედებთ თავს.

ასე უეცრად, ასე ახალგაზრდა რომ გამოგვაკლდი, ველარ ვერევით მტანჯველ ფიქრებს.

არ გემშვიდობებით, მუდამ ჩვენს გვერდით გიგულებთ და შენი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებით გეჩურჩულებით.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
რედაქციის თანამშრომლები.

### ზინაიდა ლეფსვერიძე



უშენოდ მოვიდა მეორე ზაფხული, ზინა. შენზე ფიქრსა და დარდში ღამდება ყოველი დღე.

ამ ორ წელიწადში შესრულდა ყველაფერი, რასაც შენ მთელი სიცოცხლე ელოდებოდი: შენი ქეთი ბედნიერად გათხოვდა, ლამაზი გოგონა შეეძინა, ინსტიტუტი დაამთავრა. დედის მაგიერი ამაგი დასდო ქალბატონმა ეთერიმ ქეთინოს, მადლობა მას ყველაფრისათვის.

ზინა, შვილიშვილი შალვასაც მიულოცე, თინიკოს ბიჭი უკვე ერთი წლისაა...

ვცხოვრობთ უთქვენოდ, უსიხარულოდ, ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სული.

ოჯახი.

## ხსოვნა



### გოგი დოლიძე

გოგი დოლიძე გარდაიცვალაო... წამიერად გაიელვა ამ ფრაზამ და ექოსავით მოედო მთელ ქალაქს. გარდაიცვალა – გარდაისახა და მარადიულობას შეუერთდა მისი უკვდავი სული...

წინა დღით დასასვენებლად გააცილა მისი პაწაწინა გუგა, მერე კი სამსახურში შემოიარა ახალგაზრდული შემართებით, ჯანსაღი გამომეტყველებით, მას ხომ სულ ახლახანს, ვარდობისთვეს შეუსრულდა 50 წელი; მოკრძალებული ღიმილით შემოვიდა ოთახში და მისთვის ჩვეული იუმორით ცდილობდა ყველასთვის გაეზიარებინა ის სითბო, რაც ამ სამი თვის მონატრებით დაგროვებოდა... სიცილით, ხუმრობით, მომავლის დიდი რწმენით გავაცილეთ იმ დღეს, არც დაგვემშვიდობა, შეგვპირდა – პარასკევს შემოივლიდა, მაგრამ... გულმა ველარ დაიტია ამდენი სიყვარული და გათენებისას გარდაიცვალა...

ძალიან გვიჭირს გამოთქმა იმ დიდი ტკივილისა, რაც გოგი დოლიძის ამქვეყნიდან წასვლამ მოგვაყენა თითოეულ ჩვენთაგანს, გვიჭირს მისი ოჯახის ნუგეშისცემა უზომოდ მზრუნველი მეუღლის, მამისა და უსაყვარლესი ბაბუის დაკარგვის გამო...

მაგრამ გვწამს მისი უკვდავი სულის არსებობისა, მოყვასის მოყვარული, სხვისი ჭირისა თუ ლხინის გამზიარებელი მომავლის რწმენით ავსებს მის უკეთილშობილეს ოჯახს.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის საქართველოს მადლიანი მიწა, ჩვენო გოგი!

მეგობრების ჯგუფი.

---

დედა რისიმე ლორია, მეუღლე თალიკო ჯაყელი, შვილები მაკონა, კახა, შვილიშვილები ეკა, ნანუკა, სალომე, რძლები თამუნა ჯაფარიძე, ირა იმნაიშვილი, ძმისწული მანანა, ცოლისდა ნინო (ფუფუ) ჯაყელი, დისწულები ნანა და ზურაბ რუსიძეები, მძახლები დალი და ვაჟა ჯაფარიძეები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მამია ანტონის ძე თარგამაძე**

პანაშვიდი 29, 30 ივლისს 17 სთ-ზე, გამოსვენება 31 ივლისს 15 სთ-ზე. მიცკევიჩის ქ. № 17.

---

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია და ვეტერანთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შინაგან საქმეთა ორგანოების ღვაწლმოსილი მუშაკი, გადამდგარი პოლკოვნიკი

**მამია ანტონის ძე თარგამაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს შ ს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თადარიგის პოლკოვნიკი

**მამია თარგამაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მარგალიტა, რუსუდან, გიორგი, ქეთევან, დათო, ეკა ბერიძეები, ნუნუ ალბერტ მახარაძეები, ირა ბაქუნაშვილი, რეზო, ლევან, თენგიზ ღლონტები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ავთანდილ კონსტანტინეს ძე ბერიძე**

პანაშვიდი 29, 30 VII, 4 სთ, დაკრძალვა 31 VII, 3 სთ. დოლიძის ქ. № 7.

---

მეუღლე მარიამი, შვილები თემური, ნუგზარი, რამაზი, რძლები ნანა, ვიკა, თინა, შვილიშვილები მარინა, ირა, ნუკრი, მაკო, ნუცა, რეზიკო, ანა, ნიკუშა. ძმის ცოლი ტატიანა, ძმისწულები მერაბი, ჯემალი, სერგო, ელზა მანჯგალაძეები, მძახლები რეზო, ლამარა დოლიძეები, ცოლის ძმები ჯიმი, ზურაბ მინდელები, ცოლის დები ნუნუ, ნინა მინდელები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შალვა სპირიდონის ძე მანჯგალაძე**

პანაშვიდი 27.28 VII, 4 სთ. გამოსვენება 29 VII, 3 სთ. დგებუაძის ქ. № 1. მე-9 სადარბაზო, მე-7 სართული.

---

ალიკო და ქეთინო სოლტიშები ოჯახით იუწყებიან

**შალვა სპირიდონის ძე მანჯგალაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები მარინა, გოგა, შვილიშვილები ზურიკო, ლევანი, ელენე, დისწული ნუკრი სულაბერიძე, რძალი ნატო სულხანიშვილი, სიძე ლევან ლამბაშიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნათელა შალვას ას ხეჩინაშვილი**

პანაშვილი 27, 28 VII, 5 სთ. გამოსვენება 29 VII 3 სთ. იოსელიანის ქ. 37. II სადარბაზო.

---

საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ტრანსპორტის სამმართველო ღრმა თანაგრძნობას უცხადებს ამავე სამმართველოს თანამშრომლებს ბატონებს ლევან და თენგიზ ხანიაშვილებს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ ზოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.